



# ივანე ჯავახიშვილი

კანდი, რეპეღეაჲ  
საქარტველოჲს გონი  
უეცჲვალა

**კასი, რომელმაც საქართველოს  
გონი უცვალა**



**ივანე ჯავახიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვნის თსუ-ის დამაარსებელს, დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე ჯავახიშვილს. პუბლიცისტური ნარკვევი, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული და რომელშიც დროისა და მოვლენების ივანე ჯავახიშვილთან ურთიერთმიმართებაა წარმოჩენილი, ვფიქრობთ, დააინტერესებს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიის, უნივერსიტეტის ისტორიის, დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებს, რომელთაც უნდა იცოდნენ – ვისი დაარსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? ვის სახელს ატარებს იგი? ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი და რატომ იქცა იგი ერის სიმბოლოდ?

ჩვენი ამოცანა – მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს კრებულთა სერიულ გამოცემებს, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკველებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

## **კრებულის შემდგენელი და რედაქტორი:**

ნინო კაკულია

## **კონსულტანტი:**

ზურაბ გაიპარაშვილი

## **სარედაქციო ჯგუფი:**

მაია ტორაძე

მანანა ჯურხაძე

## **კომპ. უზრუნველყოფა:**

ზაზა გულაშვილი

## სარჩევი

წინასიტყვაობა (ნინო კაკულია) .....	5
თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას სიტყვა .....	9
1 ივანე ჯავახიშვილი — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე (ნინო კაკულია) .....	13
2 ივანე — უნივერსიტეტის დამაარსებელი (მაია ტორაძე) ..	20
3 ნიკო მართან ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი (მაია ტორაძე).....	31
4 რექტორის ნაბიჯები (ნინო კაკულია) .....	36
5 როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან — საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები (ნინო კაკულია).....	46
6 უნივერსიტეტის წითელი პროფესურის ფიზიონომია — დრო, მოვლენა, ადამიანები (ვახტანგ გურული) .....	62
7 ქართული მეცნიერების პატრიარქი (მაია ტორაძე).....	75
8 ივანე ჯავახიშვილი ემპირიული სოციოლოგიის სათავეებთან საქართველოში (იაგო კაჭკაჭიშვილი).....	102
9 მიჩქმალული სიმართლე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (ვახტანგ გურული).....	106
10 დამოკიდებულება მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი (მანანა ლილუაშვილი და ზურაბ გაიპარაშვილი) .....	117
11 გადასახლებული სტუდენტების წერილი თუ დაგებული ხაფანგი? (ზურაბ გაიპარაშვილი).....	124
12 ის, რაც არ ცვდება დღევანდელი სტუდენტის თვალთ (ლევან ლორთქიფანიძე) .....	129
13 პიროვნული შტრიხებით „ნაძერწი“ ივანე ჯავახიშვილი (ნინო კაკულია).....	133

14	ლექციის კითხვისას დასრულებული სიცოცხლე .....	145
15	თსუ-სთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭება იყო ხაზგასმა უნივერსიტეტის ეროვნული ხასიათისა (მაია ტორაძე).....	151
16	შთაგონების წყაროდ ქცეული ძეგლი (მაკა ლდოკონენი).....	152
17	სად „ცხოვრობს“ დღეს ივანე ჯავახიშვილი (მაია ტორაძე).....	155
+ -18	ივანე ჯავახიშვილის წარდგინება „საქართველოს დიდ ათეულში“ ( მიხეილ ქურდიანი).....	163
	ბოლოთქმა .....	166

## წინასიტყვაობა

პოლიკარზე კაკაბაძის ნაწარმოებების მიხედვით რუსთაველის თეატრში დადგმული რობერტ სტურუას სპექტაკლ-ფანტაზიის — „ასულნის“ — ნახვის შემდეგ რწმუნდები, რომ პერსონაჟად ქცეული ათი ასულის სახიერებით „ერის“ როკვა ის ფერადი კარნავალი აღარაა, ქართველთა თავქარიანობას რომ ლამაზად „ფუთავდა“... ნებისმიერ სიტყვაზე, ქმედებასა თუ არჩევანზე პასუხისმგებლობის აღება რას ნიშნავს — ათივე ასულისთვის ისევე გაუცნობიერებელია, როგორც, ზოგადად, და, მწარედ კონკრეტულად, ქართული საზოგადოებისთვის. ამ ხასიათის მატარებელი „ერის“ ორგანიზმი მხოლოდ უდღეურ პოლიტიკოსებს ბადებს, რომლებიც ჟივილ-ხივილით აჰყავს მას კვარცხლბეკზე და შემდეგ თავადვე ანადგურებს მათ — ეს ამბავი ერთადერთია, რომელიც სპექტაკლში ხდება და გამუდმებით მეორდება ლაიტმოტივად ქცეულ ასულთა ფრაზასთან ერთად: „მოვკვდებით და არავინ დაგვიტირებს...“ ამ სრული გამოუვალობის შეგრძნებით დასრულებული სპექტაკლის შემდეგ მაყურებელს ერთი რამ რჩება — თავად დაიწყოს გამოსავალზე ფიქრი. „ხელოვნება ვერ გადაგვარჩენს!“ — ასეთი პესიმისტურია ზოგიერთის „მიმქრალი იმედი“, თუმცა, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ილიასეულ სარკეში ჩახედვისას კათარზისის პროცედურას გადის, ერის გადარჩენის საიმედო წრეა — ჭეშმარიტ ღირებულებათა გავრცელება-განვრცობის ვალდებულებით შემკული. სწორედ ამ წრის წარმომადგენელთა პროტესტს გამოხატავს იმ საზოგადოებრივი აზრის კრიტიკა, რომლის მთავარი ფასეულობები პოლიტიკურ ლიდერთა არჩევა-გადარჩევის „მონამებრივ გზას“ შეჰხიდებია, თითქოსდა უფრო ღირებული სხვა არა მოიძებნებოდეს ნიჭიერებისა და ზნეობის მაგალითებით მიმოფანტულ ამ მადლიან ქართულ მინაზე. ამ აქცენტისკენ რამდენიმე წლის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული გადაცემის („საქართველოს დიდი ათეული“) ის შედეგები გვიბიძგებს, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით, დიდი ივანე ჯავახიშვილი მეთერთმეტე ადგილზე გავიდა, ანუ დიდ ათეულში ვერ მოხვდა. „ნიუანსებში ეშმაკი იმალებაო“ — ნათქვამია და ჩვენც ამიტომ ჩავეკირკიტეთ და ვერ დავივიწყეთ ეს ნიუანსი! ივანე

ჯავახიშვილის მაშინდელ „დამარცხებას“ გამონწევად დღეს იღებს უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია და საზოგადოებას იმ ეპითეტურ ფორმულირებას აცნობს, რომელსაც, ალბათ, უმრავლესობა დაეთანხმება.

**ფარნავაზ — შემოქმედი ქართული მნივნობრობისა;**  
**ნინო — მომაქცეველი ქართლისა;**  
**დავით — აღმაშენებელი საქართველოსი;**  
**საბა — შემგროვებელი ქართული სიტყვისა;**  
**ილია — აღმაშენებელი ქართველობისა;**  
**იაკობ — შემქმნელი „დედა ენისა“;**  
**ივანე — დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა.**

ფილოლოგ თამაზ კვაჭანტირაძისეული ეს ჩამონათვალი ერისკაცთა იმ ფაქტოლოგიურ დამსახურებებს მოიცავს, რომელზეც ქართული სახელმწიფო დგას. ... და ჩვენ შევეცდებით, ამ „სიმბოლოთა“ მწკრივში ჩამდგარ ივანე ჯავახიშვილზე ის არჩევანი გაგაკეთებინოთ, რომლის ნაკვალევზე სიარულიც სინანულის როკვას აღარ მოიტანს... „მოვკვდებით და არავინ დაგვიტირებს“ — არც ამგვარ სასონარკვეთას ექნება ადგილი იმ სივრცეში, სადაც დიდი ივანე ჯავახიშვილის მოსაგონებლად ადამიანები დაიხარჯებიან, გაირჯებიან, იფიქრებენ და მასზე სწორდებიან... სათქმელი კი ბევრია, მით უფრო, რომ წარმატებების კვალდაკვალ ისტორიაში შემონახულ მის ტკივილიან წარსულზე დიდი ხნის განმავლობაში, კომუნისტურ ეპოქაში სიტყვას ვერ სძრავდნენ; სპეც-ფონდში ჩაკეტილი იყო უნივერსიტეტის ის ისტორია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობაზე ცნობებს შეიცავდა; აკრძალული იყო მისი „ქართველი ერის ისტორიის“ ის ტომი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემას ეხებოდა; გასაიდუმლოებული იყო მის წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. სასამართლო პროცესების სტენოგრამა, რომელიც ფარდას ხდიდა წითელი პროფესურის ფიზიონომიას... ივანე ჯავახიშვილის თემას ტაბუედო და მასზე, როგორც ერის გონებრივ მასაზრდოებელსა და ზნეობრივ ლიდერზე, მოარულ მითებს 20-30-იანი წლების საზოგადოების მხოლოდ მეხსიერებალა ინახავდა...

მისი ავტორიტეტი იმდენად აშინებდათ, რომ დევნიდნენ, მაგრამ იმდენად დიდი იყო, რომ ვერ ხვრეტდნენ...

იმდენად პრინციპული, გაბედული და თავისუფალი ქმედების კაცი იყო, რომ, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მონათხრობით, როდესაც მოსკოვში ჩასულს უთხრეს — სტალინს შენთან შეხვედრა უნდაო, მასთან აუდიენციისთვის სატელეფონო ზარს მხოლოდ რამდენიმე დღე დალოდებია, შემდეგ კი მაცნე კაცისთვის შეტყობინებაზე — ცოტა ხანს კიდევ დაელოდეთო, ასე უპასუხია: — საქმე მაქვს საქართველოში და უნდა წავიდეო... და საქართველოში დაბრუნებულა. თუმცა გადმოცემით იმასაც ამბობენ, რომ საბჭოთა რეპრესიებს სწორედ სტალინმა გადაარჩინა. მაშინდელი გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწე, სტალინის ცოლისძმა — ალექსანდრე სვანიძე ერთ-ერთ წერილში ივანე ჯავახიშვილს გაკვრით წერდა — თქვენს შესახებ ვესაუბრე ყველაზე დიდ ქართველსო. ეტყობა სწორედ მაშინ მიანოდა მან სტალინს სათანადო ინფორმაცია ივანეზე.

მისთვის ლიდერის წოდება არავის მიუნიჭებია, მაგრამ ლიდერი იყო... მერე რა, თუ „საქართველოს დიდ ათეულში“ ვერ მოხვდა — ეს მხოლოდ იმ საზოგადოების ნაკლია, რომელმაც იგი ჯერაც ვერ შეისწავლა და გამოიკვლია.

ჩვენი წიგნი — „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ — მის უკეთ შესაცნობად გზას გაგიკვალავთ. წიგნში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ შეგროვებული მასალები, სტატიები, წერილები და ინტერვიუები ივანე ჯავახიშვილზე, რომელსაც გაისად 140 წელი შეუსრულდებოდა.

## ნიმუ კაკულია

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ყურნალისტი*



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საფლავები ყვავილებით შეამკო 8 თებერვალი, 2015 წელი



კრებული — „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ — ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმისთვის მომზადდა. ფორუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს უკვე მეორედ იმართება ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს, 23 აპრილს. ფორუმის ჩატარების ინიციატივა უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას ეკუთვნის, რომლის იდეა გახლავთ სამეცნიერო ფორუმზე თსუ-ის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა და სამივე საფეხურის სტუდენტების მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევათა მიმოხილვის საფუძველზე, გამარჯვებულ ნაშრომთა ავტორების (თითო ფაკულტეტიდან ერთი პროფესორის და სამივე საფეხურის სტუდენტების თითო მოხსენების) ფულადი პრემიით დაჯილდოვება. ვფიქრობთ, ამ კრებულის მკითხველი უნდა იცნობდეს იმ დამოკიდებულებას, რაც უნივერსიტეტის დამაარსებლისადმი დღევანდელ რექტორს აქვს. სწორედ ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულებების ანალიზით შეიძლება იმის განსაზღვრა — როგორ რექტორთა მწკრივს უერთდება იგი (ისტორია წითელ და მხოლოდ ხელისუფლებისთვის მსახურ რექტორებსაც იცნობს!). აკადემიკოს ლადო პაპავას რექტორად არჩევის შემდეგ, პირველი, რაც თურმე მან გააკეთა, მის კაბინეტში ივანე ჯავახიშვილის პორტრეტის „დაბრუნება“ იყო. ამ ნაბიჯს მომდევნო ინიციატივებიც მოჰყვა და გვინდა, მისი პოზიციები კრებულის შესავალშივე ავსახოთ.

**ის, რომ უნივერსიტეტი „თეთრი ტაქარია“, ეს მხოლოდ  
საღვაწის ფარმა კი არ განაპირობა, არამედ იმ  
დიდი აღამიანების დამსახურებამ, რომლებიც  
უნივერსიტეტის დაარსებას ედგნენ სათავეში**

ივანე ჯავახიშვილი გახლდათ არა უბრალოდ დიდი მეცნიერი, ისტორიკოსი, დიდი საზოგადო მოღვაწე და, რაც მთავარია, უნივერსიტეტის დამფუძნებელი, არამედ იგი შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის საქართველოში პატიოსნების, განათლების, განვითარების, ინტელიგენტობის სიმბოლოდ. ივანე ჯავახიშვილი და მისი მეგობრები, თანამოაზრეები — ანთებ-

ულნი უნივერსიტეტის შექმნის იდეით, თავიანთი მოღვაწეობით, თავიდან, მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმს ეფუძნებოდნენ. თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ძალიან მალე, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, პირველ ქართულ უნივერსიტეტს სერიოზული დახმარება აღმოუჩინა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ. მან უნივერსიტეტს მისცა სახელმწიფო სტატუსი, გამოუყო საბიუჯეტო დაფინანსება, რამაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერა უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ, კომუნისტური მთავრობის მიერ განხორციელებული ზენოლის გამო, აღარ იყო რექტორი, მაინც რჩებოდა თავად უნივერსიტეტის იდეის სიმბოლოდ.

აღსანიშნავია, რომ დიდი იყო ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ისტორიულ მეცნიერებაში, მაგრამ ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკურ ისტორიასთან. ივანე ჯავახიშვილმა შექმნა, პრაქტიკულად, სრული სურათი იმისა, თუ როგორი იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით მის ფეოდალურ ეტაპზე შუა საუკუნეებში. ამ ფუნდამენტური ნაშრომით მან სერიოზული სააზროვნო მასალა დაუტოვა მომავალი თაობის ისტორიკოსებს და იმ ეკონომისტებს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას სწავლობდნენ. მისი ამ ნაშრომების მნიშვნელობა დღესაც განუმეორებელია და სამაგიდო წიგნია ყველასთვის, ვინც საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას იკვლევს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ივანე ჯავახიშვილის, როგორც სიმბოლოს, დამკვიდრება დადასტურდა უნივერსიტეტისათვის მისი სახელის დარქმევით. ეს, გარკვეულწილად, იმ ტრადიციის შენარჩუნებაა, რომელიც დაედო უნივერსიტეტს დაფუძნებისთანავე და რომელშიაც ლომის წვლილი ივანე ჯავახიშვილს მიუძღვოდა. ეს ტრადიცია, უწინარეს ყოვლისა, ემყარება იმას, რომ უნივერსიტეტი არის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება (ხაზს ვუსვამ — პირველ ადგილზეა „სამეცნიერო“ დაწესებულება).

უნივერსიტეტს, სამწუხაროდ, ხშირად ჰქონდა მძიმე პერიოდები: ის, რომ თავად ივანე ჯავახიშვილი ჩამოაცილეს რექტორობას და უნივერსიტეტსაც კი, თუნდაც, ეს რად ღირს... და, მას შემდეგ რომ გადავხედოთ უნივერსიტეტის განვითარებას,

სამწუხაროდ, მის ისტორიაში „შავი ფურცლების“ რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ის „ფურცლები“, რომლებიც უნივერსიტეტის კეთილდღეობაზე მეტყველებს. თუმცა, მთლიანობაში (ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ამ თეთრ ტაძარს, რამდენი ტალახიც უნდა ესროლო, მაინც არ მოეცხება და თეთრი დარჩება“), ის, რომ უნივერსიტეტი „თეთრი ტაძარია“, ეს მხოლოდ საღებავის ფერმა კი არ განაპირობა, არამედ იმ დიდი ადამიანების დამსახურებამ, რომლებიც უნივერსიტეტის დაარსებას ედგნენ სათავეში... ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვები — ეს იყო დიდებული კოჰორტა ადამიანებისა, რომლებიც უნივერსიტეტის იდეას ედგნენ სათავეში.

დღეს, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ივანე ჯავახიშვილის ტრადიციები შევინარჩუნოთ. ამ მიზნითაც ჩაეყარა რამდენიმე ინიციატივას საფუძველი. კერძოდ, საუბარია ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმის გამართვის ინიციატივაზე, როდესაც ყველა ფაკულტეტი წინა წლის საუკეთესო შედეგებს მოახსენებს ამ ფორუმს და შერჩეული საუკეთესო მოხსენებები, იქნება ეს პროფესორების თუ სტუდენტების, დაჯილდოვდება — ფულადი პრემიით. ამ ფორუმს სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია.

იმ წვლილის საპატივსაცემოდ, რაც ივანე ჯავახიშვილმა შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში, შევქმენით ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მიენიჭება უცხოელ მეცნიერს ქართველოლოგიის განვითარებაში ღვაწლისთვის. აი, ეს ინიციატივაც ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ადრე ერთ-ერთ გადაცემაში იყო რეიტინგული გამოკითხვები გამოჩენილ ქართველებთან დაკავშირებით და ივანე ჯავახიშვილი ათეულში ვერ მოხვდა. ეს პროექტი ბრიყვულ პროექტად მიმაჩნია, რადგან ეს მხოლოდ სალალობო, გასართობი და არაფრის მომცემი პროექტია. როგორ უნდა აწონო და თქვა, ვინ უფრო დიდია, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე თუ დავით აღმაშენებელი? არ ვიცი... ორივე დიდია და ორივეს თავისი ადგილი უკავია ისტორიაში... ან რა კრიტერიუმებით შეიძლება თქვა — ამ

გამორჩეულ ადამიანებში ივანე ჯავახიშვილი ათეულში უნდა იყოს თუ არა (ეს არ არის ქართული პროექტი, როგორც სხვა მრავალი პროექტი ჩვენს ჟურნალისტიკაში. იგი გადმოღებულია უცხოეთიდან). ივანე ჯავახიშვილი იყო, არის და მუდმივად დარჩება, ვიდრე იარსებებს საქართველო. ... და დარჩება იმ წარუშლელ პიროვნებად, იმ სიმბოლოდ, როგორადაც მან დაიმკვიდრა ქართველი ხალხის ცნობიერებაში ადგილი — სიმბოლო განათლების, სიმბოლო ქვეყნის განვითარების, სიმბოლო წესიერების.

და ბოლოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ბრძანებით, 2015 წლის 8 თებერვალს, უნივერსიტეტის დაარსების 97-ე წლისთავზე, უნივერსიტეტი დააჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით, რაც არის ივანე ჯავახიშვილის თაობიდან მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტის წარმატების, უნივერსიტეტის გამარჯვების იდეით შეპყრობილ ადამიანთა წვლილის დაფასება.

## **ლაღო ვაჰავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი, აკადემიკოსი, პროფესორი*



საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ოქროს ორდენი, რომლითაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უნივერსიტეტი დააჯილდოვა.



## ივანე ჯავახიშვილი — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე

ისინი დროში ასცდნენ ერთმანეთს, თუმცა ილიას მკვლევლობამდე ივანე უკვე პეტერბურგში განათლებამიღებული სტუდენტი და შემდეგ ახალგაზრდა სწავლული იყო... მათი ურთიერთობის დეტალებს ისტორია არ იცნობს... უცნაურია, რადგან ერთმა დაიწყო და მეორემ გააგრძელა... პირველმა „ჯოხი“ დაჰკრა და მეორემ აღასრულა... ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისთვის და ქართველთა განათლებისთვის ბრძოლა პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნით დასრულდა — ეს არის გზა ილიადან ივანემდე...

ილიას მკვლევლობას სწავლული ივანე ჯავახიშვილი ოფიციალურად არ გამოხმაურებია — ისტორია რაიმეს არც ამაზე გვაუწყებს... არც პეტერბურგში მყოფ სტუდენტ ივანესადმი ილიას რაიმე სახის მიმონერაა ცნობილი... ისინი ერთმანეთზე თითქოსდა სდუმდნენ და უსიტყვოდ უგებდნენ, ალბათ, ერთმანეთს... მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის ესე — „ივანე ჯავახიშვილი“ გვამცნობს, ისიც ლიტერატურული ენით, მათი დამოკიდებულების ერთადერთ ეპიზოდს: „1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას ჰკითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული... ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა — სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება — ალბათ ცდილობს, არც მეტი თქვას და არც ნაკლები. არც ერთხელ ხმის ამალღება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი. დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას — და გრძნობენ თანდათან, რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ანუ უკეთ — რაღაც იმართება — მზე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს. თავდება მოხსენება. მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს,

ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მობრძავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას — რიგიდან რიგებს — ვითარ მაღლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება — თითქოს ჰსურს გამხნეებულს გასძახოს ხევისურულად „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია“, — წერს გრიგოლ რობაქიძე ესეში, რომლის ბოლოთქმაშიც მწერალი მიუთითებს: „ზემოხსენებულ მოხსენებას ჯავახიშვილისა მე არ დავსწრებივარ: იმჟამად უცხოეთში ვიყავ. თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე — ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ ვალერიან გუნიასგან“ (ყოფნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986 წ.), — ასე საძებარია წარსულში მათი ურთიერთობის ნიუანსები, ისე კი ყველა აღიარებს, რომ ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა — დიდი ილიასგან იდუმალი გზით მიღებული. ივანე ჯავახიშვილი, როგორც ილია ჭავჭავაძის პირდაპირი მემკვიდრე, სწორედ იმ კუთხით არის საინტერესო, ილიასგან მომდინარე — რა იდეოლოგია განამტკიცა მან ქართველი ერის საარსებო აუცილებლობისთვის. ამ თემას ჩვენს რესპონდენტებთან — ისტორიკოს ვახტანგ გურულთან და ფილოლოგ თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად განვაგრძობთ.

## ინტერვიუ ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

— რატომ თვლით, რომ ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე იყო, რაში გამოიხატება ეს?

— XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოში სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე არ ჩანდა. საშუალო და ახალგაზრდა თაობის მოღვაწეთა შორის არ იყო პიროვნება, რომელიც თავის მისიას ილიას საქმის გაგრძელებაში ხედავდა. სწორედ ამ პერიოდში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.). არ შეიძლება იმის თქმა, რომ ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის

პოლიტიკური მემკვიდრეა. ივანე ჯავახიშვილმა მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროცესში მოახდინა იმ იდეების ხორცშესხმა, რომელიც ილიას ეროვნულ პროგრამაში იყო დასახული. აი, ამ გაგებით შეიძლება მივიჩნიოთ ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად.

**— უფრო კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის რომელ იდეებს შეასხა ხორცი ივანე ჯავახიშვილმა?**

— ამ იდეათაგან უმთავრესი საქართველოს ისტორიის შექმნა და ქართული უნივერსიტეტის დაარსება გახლდათ. ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ საქართველოს რეალური ისტორიის ცოდნა აუცილებელი იყო ყველა ქართველისთვის. საქართველოს არაკეთილმოსურნენი შეგნებულად აყალბებდნენ საქართველოს ისტორიას, ცდილობდნენ ქართველები დაერწმუნებინათ, რომ საქართველოს ისტორიაში საამაყო არაფერი იყო. სწორედ ამიტომ სურდა ილიას, ყველა ქართველს — ყმანვილსა და ზრდასრულს, ჰქონოდა მშობლიურ ენაზე დანერილი საქართველოს მეცნიერული ისტორია — დანერილი პოპულარული, გასაგები ენით. ამ თვალსაზრისით, ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროისთვის სავალალო მდგომარეობა იყო. ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული იდეის რეალიზება ივანე ჯავახიშვილმა მეოცე საუკუნის დამდეგს, ილიას სიცოცხლეშივე დაიწყო. მართალია, ილია ჭავჭავაძე ვერ მოესწრო ივანე ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომის — „ქართველი ერის ისტორიის“ (პირველი წიგნი გამოიცა 1908 წელს, მეორე — 1914 წელს) გამოსვლას, მაგრამ ცხადი გახდა ერთი რამ: ილიას ეროვნული პროგრამის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი რეალიზებულ იქნა. შემთხვევითი არ იყო ის, რომ 1937 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ისე მიილია, რომ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება მხოლოდ იდეის დონეზე დარჩა. ამ იდეის ხორცშესხმა ვერც XX საუკუნის დამდეგს მოხერხდა. ამ დროიდან საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ორ დიდ იდეას დაუკავშირდა — საქართველოს ავტონომიის მოპოვებასა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ილია ჭავჭავაძე, იყო ამ სამი დიდი ეროვნული საქმის განხორციელებისათვის ბრძოლის



ივანე ჯავახიშვილი,  
პეტერბურგის უნივერსიტეტში  
მოღვაწეობის პერიოდი

წინამძღოლი. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც 1907 წლის 22, 23, 24 ივნისს თბილისის საკრებულოს დარბაზში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია „კულტურის ისტორია საქართველოში“. ლექციიდან კარგად ჩანდა, რომ ქართული კულტურის ისტორიაში ცენტრალური ადგილი ეკავა განათლებას, კერძოდ, აკადემიებს. 1907 წლისათვის კი ეს ტრადიცია უკვე კარგა ხნის დარღვეული იყო. 1917 წლის 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია —

„ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა“. ივანე ჯავახიშვილი იწყებდა იმ დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე იდეის განხორციელებისათვის ბრძოლას, რომლის ხორცშესხმაც დიდმა ილიამ ვერ მოასწრო.

— **კიდევ რა მსგავსებას ხედავთ ილია ჭავჭავაძესა და ივანე ჯავახიშვილის ნააზრევ-ნაღვანს შორის?**

— ორივესთვის დამახასიათებელი იყო ეპოქის წინმსწრები იდეების წამოყენება და ყველაფრის გაღება მათი ხორცშესხმისთვის, ბრძოლის გაგრძელება სრულიად უიმედო ვითარებაში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული, შეულახავი ავტორიტეტი, ეროვნული საქმის წინამძღოლისთვის აუცილებელი თვისებები, მონამეობრივი ცხოვრებისათვის მზადყოფნა...

## ინტერვიუ ფილოლოგ თამაზ კვაჭანტირაძესთან

— თქვენი აზრით, რატომ თვლიან ივანე ჯავახიშვილს ილიას „პროდუქტად“?

— 1907 წელს ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის დროს ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდა მეცნიერი იყო. მაშინ იგი უკვე ლექციებს კითხულობდა და, რამდენადაც მახსოვს,

ერთ-ერთ ლექციას ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მოღვაწეობა ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს, როგორც იტყვიან, ხელის გულზე ედო. მიუხედავად იმისა, რომ იგი პეტერბურგში მოღვაწეობდა, ჯერ როგორც სტუდენტი, და, შემდეგ, როგორც პრივატ-დოცენტი, იგი ერთი წამითაც არ მომწყდარა საქართველოს სულიერ ცხოვრებას, რომელშიც გამორჩეული ადგილი ეკავა ილია ჭავჭავაძეს. მას უთქვამს, რომ ქვეყანა ღარიბი მაშინ კი




ილია ჭავჭავაძე

არ არის, როცა, ვთქვათ, მადნეული ან რაიმე წიაღისეული სიმდიდრე არ მოეპოვება, არამედ ქვეყნის სიღარიბე და სიმდიდრე განისაზღვრება იმით, თუ რამდენი განათლებული და გულანთებული პატრიოტი ჰყავს. ილიას ეს ნააზრევი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ივანე ჯავახიშვილს და, როგორც იტყვიან, ერთგვარად დაჰკანკალებდა თავზე ყველა იმ ახალგაზრდას, რომელიც სამშობლოს გარეთ იღებდა განათლებას. თუ ვინ, სად და რა პროფესიას ეუფლებოდა, ამის შესახებ ცნობებს ივანე ჯავახიშვილი 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე აგროვებდა იმ აზრით, რომ როდესაც დაკრავდა ჟამი და რეალურად დადგებოდა უნივერსიტეტის გახსნის საკითხი, ყველა ეს ადამიანი თავის გვერდით დაეყენებინა და საქართველოს, ქართული უნივერსიტეტის სამსახურში ჩაეყენებინა.

**— ილიას პირველს ჰქონდა გააზრებული, რომ საქართველოში უნივერსიტეტი უნდა დაფუძნებულიყო...**

— როდესაც ალექსანდრე II საქართველოში ჩამოდიოდა (1870-იანი წლები), ილია უკვე 30 წლის ძალ-ღონით სავსე მოღვაწე იყო. ამ დროისთვის ქართველები ამზადებდნენ ერთგვარ ადრესს (მოთხოვნას) — ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა — ილიას თაობა, ანუ თერგდალეულები იღვწოდნენ, რომ ხელმწიფისთვის უნივერსიტეტის გახსნა მოეთხოვათ, მეორე — ე.წ.



წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

მამათა ნაწილი კი საქართველოში კადეტთა კორპუსის, ანუ სამხედრო სასწავლებლის გახსნას ანიჭებდა უპირატესობას, რაც ისედაც შედიოდა რუსეთის გეგმაში. ამან გამოიწვია რისხვიანი ორთაბრძოლა მამათა და შვილთა შორის, რასაც მოჰყვა გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“, რისი გამოძახილიც იყო ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და ა.შ. ილია ჭავჭავაძე უნივერსიტეტის გახსნის იდეით ჯერ კიდევ 70-იან წლებში იყო შეპყრობილი, მაგრამ შეიძლებოდა კი ამ წლებში ქართულენოვანი უნივერსიტეტის გახსნა? მაშინ ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლებოდა რუსეთში მოღვაწე რამდენიმე ქართველი პროფესორი.

— ილია ჭავჭავაძის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებაც შეიძლება ჩავთვალოთ უნივერსიტეტის გახსნის წინაპირობად...

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებით ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა ბალავარი ჩაუყარეს ქართულ უნივერსიტეტს, მაგრამ ეს შრომა შეიძლება წყალში გადაყრილიყო, ასპარეზზე რომ არ გამოჩენილიყო კაცი — ასევე შეპყრობილი უნივერსიტეტის იდეით. ამ მხრივ გახლდათ იგი ყველაზე დიდი ილიელი, როგორც ამას ჩემს ერთ-

ერთ სტატიაში აღვნიშნავ.

— რატომ არ არსებობს ივანე ჯავახიშვილის ან მიმართვა, ან წერილი, როცა ილია ჭავჭავაძე მოკლეს? რატომ არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი ინფორმაცია მათი ურთიერთობის შესახებ?

— ამ კუთხით ინფორმაცია არც მე მაქვს, მაგრამ უდავოა, ილიას მკვლელობის შემდეგ პეტერბურგში შეკრებილი რომელი ქართველი სტუდენტებიც აცხადებდნენ, რომ ილია, როგორც მოქალაქე, მოსაკლავი იყო, სწორედ მათ, უკვე წითელ პროფესორებად მოვლენილებმა, გააგდეს 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან. ესენი იყვნენ მარქსისტები, გაყიდულები, სწორედ ის ხალხი, რომელიც, თავის დროზე, ილიას ხსოვნას ფეხზე არ წამოუდგა.

*P.S. ასე რომ, ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, არ დასტურდება ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის ახლო ურთიერთობის ფაქტი, მაგრამ უდავოა, რომ ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით. მათ ერთი ჰქონდათ მიზანიც და, ამის გამო, საერთო ჰყავდათ მტერიც. ილია მოკლეს, მაგრამ გაიმარჯვა მისმა იდეამ, რომელსაც ფრთა ივანე ჯავახიშვილმა შეასხა.*

**ნინო კაკულია**

**თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, უურნალისტი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.**

2

## ივანე — უნივერსიტეტის დამაარსებელი

*„ჯავახიშვილი რომ იმ დროს დაბადებულიყო,  
იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი  
მთანმინდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო  
ან, თუ გინდა, გრიგოლ ხანძთელი, რადგან  
იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა  
იყო, როგორც იყვნენ ეს დიდნი მამანი ძველ  
საქართველოში“*

მიხაკო წერეთელი

ცარიზმის ბნელ ეპოქაში, როდესაც მეფის მონა-მორჩილნი ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ საქართველოში ყოველივე ქართულს, ივანე ჯავახიშვილმა შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა პეტერბურგში განათლებამიღებული ახალგაზრდა მეცნიერები და საძირკველი ჩაეყარა ქართული ეროვნული უნივერსიტეტისათვის, რაც მაშინ ქართველი ერის თვითმყოფადობის გადარჩენას უდრიდა. ივანე ჯავახიშვილმა გაიმარჯვა არა მხოლოდ რუსეთზე, არამედ ქართულ ნიჰილიზმზეც, ანუ იმ ადამიანებზე, რომელთაც არ სჯეროდათ ქართული უნივერსიტეტის გახსნა.

უნივერსიტეტის დაარსების იდეა მყარ ფესვებზე იდგა, რადგანაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები სათავეს იღებდა ფაზისის ფილოსოფიის და რიტორიკის სკოლიდან (IV საუკუნე, კოლხეთი), გელათისა და იყალთოს აკადემიებიდან (XII საუკუნე), ასევე, პალესტინის (V საუკუნე), სირიის (VI საუკუნე), საბერძნეთისა (X-XI საუკუნეები) და ბულგარეთის (XI საუკუნე) ქართული სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებიდან. მტერთა შემოსევებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურების შედეგად მათ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეწყვიტეს ფუნქციონირება. საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევამ კი წერტილი დაუსვა ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობას.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ერის განათლებულმა და მონი-  
ნავე საზოგადოებრიობამ გამოლვიძება დაიწყო და პირველად  
შეეცადნენ საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენას.

„1830 წელს გაიხსნა თბილისის გიმნაზია, რომლის მიზანი  
არ ყოფილა უნივერსიტეტში შესასვლელად ახალგაზრდების  
მომზადება. 1835 წელს, ფრანგული და გერმანული ენების სწავ-  
ლების შემოღების შემდეგ, თბილისის სასულიერო სემინარიის  
კურსდამთავრებულებს ნება დაერთოთ უმაღლეს სკოლაში შე-  
სულიყვნენ“ (ს. ჯორბენაძე „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე  
ისტორია“, 1988 წ.). ამავე წელს გიმნაზიის 5 კურსდამთავრებუ-  
ლი სასწავლებლად რუსეთის უნივერსიტეტში გაიგზავნა. ამ პე-  
რიოდიდან ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების  
მისაღებად რუსეთში მიემგზავრებოდა. მათი ძირითადი ნაწილი  
სწავლობდა მაშინ საკმაოდ ცნობილ სანკტ-პეტერბურგის უნი-  
ვერსიტეტში, მოსკოვის უნივერსიტეტში, ასევე, რუსეთის იმ-  
პერიაში შემავალ ტარტუს უნივერსიტეტში, ნოვოროსიის უნი-  
ვერსიტეტსა და სხვ. ეს უნივერსიტეტები არც ერთ ევროპულ  
უნივერსიტეტს არ ჩამოუვარდებოდნენ.

დრო გადიოდა. რუსეთში თანდათან იმატა ქართველების  
რიცხვმა და შეიქმნა ძლიერი ბირთვი, რომელმაც გადამწყვეტი  
როლი შეასრულა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსე-  
ბაში.

„უნივერსიტეტის დაარსების იდეა გაჩნდა XIX საუკუნის  
პირველ ნახევარში, რაც შემდგომ გადაიზარდა „თერგდა-  
ლეულთა“ რეალურ ბრძოლაში. ქართული ეროვნულ-გამათა-  
ვისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები, ილია ჭავჭავაძის  
მეთაურობით, დაბეჯითებით მოითხოვდნენ უნივერსიტეტის  
გახსნას, მაგრამ „ცარიზმი“ ამის წინააღმდეგი იყო იმ მოტივით,  
თითქოს ქვეყანა მოუმზადებელი გახლდათ უნივერსიტეტის-  
თვის. მიუხედავად „ცარიზმის“ ამ თეზისისა, გარემოება სხვას  
მონშობდა: ქართველ სტუდენტთა რიცხვის ზრდა რუსეთისა და  
ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ადასტურებდა, რომ ჩვენი  
ახალგაზრდობა მზად იყო შეეცაო უნივერსიტეტის აუდიტორიე-  
ბი, თუკი იგი თბილისში გაიხსნებოდა. ამ ყალბი თეზისის გამო  
ილია ჭავჭავაძე წერდა: „ახლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ  
მართლა მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის  
დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა,  
ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც

მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი — ჭიდილი ისწავლეო“ (ს. ჯორბენაძე „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, 1988 წ.).

ქართული უნივერსიტეტის გახსნის იდეით შეპყრობილი ახალგაზრდები იმპერატორის ნებართვის მოლოდინში უქმად არ მსხდარან. ისინი საქართველოში ავითარებდნენ მწერლობას, ქმნიდნენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებს და ანოყიერებდნენ იმ ნიადაგს, რომელზეც შემდგომ ქართული უნივერსიტეტი უნდა აღმოცენებულიყო.

უნივერსიტეტის იდეის ხორცშესხმა მოხერხდა XX საუკუნის 10-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით რთული, დაბრკოლებებით სავსე და მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ამ პერიპეტიებს უფრო სიღრმისეულად გვაცნობს ისტორიკოსი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელმაც წიგნიც მიუძღვნა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს უნივერსიტეტის დაარსებისა და ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.

**როინ მეტრეველი:** „ივანე ჯავახიშვილში, რომელმაც განათლება სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, თავიდანვე იყო ჩამოჯდარი მოსაზრება, რომ საქართველოში დაე-



ექვთიმე თაყაიშვილი



ფუძნებინა განათლების კერა. როცა მან უნივერსიტეტი დაასრულა, ჯერ საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გახდა. მან სწორედ უნივერსიტეტის გახსნის იდეის ხორცშესხმის მიზნით ჩაატარა გამოკითხვა და დაადგინა, მსოფლიოს რომელ ქვეყნებში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ — ქართველი სტუდენტები და პროფესორები. ამით ივანე ჯავახიშვილმა გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა ქართველ პროფესორებზე, რომლითაც იდეაში მომავალი ქართული უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტებულიყო.

1907 წელს ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრემ და თანამებრძოლმა ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისში დააფუძნა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ეს გახლდათ პირველი აკადემიური დანესებულება საქართველოში, რომელიც დიდ საქმეებს აკეთებდა ქართული ინტელიგენციის გაერთიანების თვალსაზრისით. აქ იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები, საზოგადოების ეგიდით ტარდებოდა სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციები, გროვდებოდა სიძველეები. ამ საზოგადოების მეცადინეობით გამოდიოდა ორი ჟურნალი: „საქართველოს სიძველენი“ და „ძველი საქართველო“, ერთში სტატიები იბეჭდებოდა, მეორეში კი — ძველი დოკუმენტები. ამით ქართული საზოგადოება უმაღლესი განათლების კერის შექმნისთვის მზადდებოდა. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა პეტერბურგშიც.

1914 წლის ბოლოს რუსეთის იმპერიაში გამოვიდა კანონი, რომელიც იმპერიაში კერძო უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესაძლებლობას იძლეოდა. სწორედ ეს უფლება გამოიყენეს მონინავე ქართველებმა“.

## უნივერსიტეტის დაარსების კამპანია

1917 წლის თებერვლიდან ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. მან თავის ბინაზე პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე, შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვები. სწორედ ამ კრებაზე დაისვა საკითხი უნი-



აკაკი შანიძე



გიორგი ახველიდანი და  
დიმიტრი უზნაძე



შალვა ნუცუბიძე



იოსებ ყიფშიძე

ვერსიტეტის დაარსების შესახებ. ეს იდეა კრების მონაწილეთა დიდმა ნაწილმა გაიზიარა, თუმცა მას მონინალმდეგეებიც ჰყავდა. მაგალითად, ისეთი დიდი მოღვაწე, როგორც იყო ნიკო ნიკოლაძე, ასაბუთებდა, რომ უნივერსიტეტამდე თბილისში „პოლიტექნიკუმი“ უნდა შექმნილიყო, რომელიც საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტებს აღზრდიდა. სე-

რიოზული პოლემიკის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის დაარსების იდეამ გაიმარჯვა და დაიწყო ბრძოლა უნივერსიტეტის შექმნისათვის.

1917 წლის გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და 12 მაისს ჩაატარა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი და სხვები. სწორედ ამ კრებაზე წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა ისტორიული მოხსენება, რომელშიც იგი ასაბუთებდა, რომ უნივერსიტეტის დაარსება ერის გონებრივ და კულტურულ აღორძინებას შეუწყობდა ხელს. იგი ასაბუთებდა, რატომ უნდა დაარსებულიყო თბილისში უნივერსიტეტი და არა სხვა სახის სასწავლებელი. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო კერების შექმნა დასავლეთ ევროპაშიც ანალოგიურად მოხდა: ჯერ უნივერსიტეტი დაარსდა, ხოლო შემდეგ აკადემიები შეიქმნა. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ უნივერსიტეტის დაარსებით შესაძლებელი გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება, რაც შემდგომ სწორედ ასეც მოხდა.

ცარიზმის დამხობის შემდეგ დროებითი მთავრობის ფილიალს ამიერკავკასიაში (ოზაკომი) გეზი რუსული უნივერსიტეტისკენ ჰქონდა აღებული. ოზაკომის შემადგენლობაში იყვნენ კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი. კიტა აბაშიძე 1917 წელს გარდაიცვალა და ეროვნული ინტერესების დაცვა ამ ორგანოში დაეკისრა აკაკი ჩხენკელს, რომელიც გვერდით ედგა ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც ამ საკითხზე თანხმობის მისაღებად პეტერბურგს მიმართა. იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო უნივერსიტეტის ძირითადი დებულების პეტერბურგში გაგზავნით — უკავშირდებოდა პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებს და სთხოვდა, დაეჩქარებინათ მთავრობაში კერძო ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დამტკიცების საკითხი.

„ამ პერიოდში გაჩნდა უაღრესად მუხანათური გეგმა, რომელიც დროებითი მთავრობის მიერ ინსპირირებულმა ძალებმა გაახმოვანეს: თბილისში შეიძლება შეიქმნას კერძო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მანამდე უნდა დაარსდეს ამიერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტიო. შალვა ნუცუბიძე იგონებს: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველი კილოთი გვირჩევენ, ხელი აგველო იმ უიმედო საქმის დაწყებაზე,

რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არ აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო — გვეუბნებოდა ეს გულშემამტკივარი ხალხი. თქვენ არც მსმენელები გეყოლებათ, რადგან მათი ნაწილი ძველებურად რუსეთში წამოვა სასწავლებლად, ხოლო მეორე ნაწილი ამჯობინებს რუსულ უნივერსიტეტში სწავლას, რომელიც თქვენს გვერდში იქნება და რომლის მეცნიერულ ღირებულებას თქვენ ვერასოდეს მეტოქეობას ვერ გაუწევთ“ (ს. ჯორბენაძე „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, 1988 წ.).

„1917 წლის 14 ოქტომბერს აკაკი შანიძემ გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა წერილი „ორი უნივერსიტეტი“, სადაც აღნიშნულია: „პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი იხსნებაო. პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით თითქოს დამტკიცებული დროებით მთავრობის მიერ. ვერ ჩამოსულა, მაგრამ, ალბათ, როდისმე ჩამოვა და, მამასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება, ერთი — რუსული, მეორე — ქართული“ (ს. ჯორბენაძე „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, 1988 წ.).

1917 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დასამტკიცებლად. ამ დღეებს აკაკი ჩხენკელი ასე იხსენებს: „მე მოწმე ვიყავი, რა ჭაპან-წყვეტა განიცადეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ვინრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდნენ. თუმცა რევოლუციის პირველ ხანაში, მამასადამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ, უნივერსიტეტის, თუ გინდა, კერძოსი, ნებადაურთველად გახსნა ყოველად შეუძლებელი იყო... ვისთვის უნდა მიემართნა ივანე ჯავახიშვილს ნებართვისთვის? ოზაკომისთვის, რომელიც ატარებდა პეტროგრადის დროებითი მთავრობის ძალა-უფლებას ამიერკავკასიის ფარგლებში. ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა... ბოლოს მოინონა წარმოდგენილი წინადადება და დასტურიც მოგვცა“ (წერს 1928 წელს, უკვე ემიგრაციაში მყოფი აკაკი ჩხენკელი პარიზში გამომავალ ჟურნალში „დამოუკიდებელი საქართველო“).

უნივერსიტეტის დაარსების კამპანია მთელი საქართველოს მასშტაბით გაიშალა: საზოგადოებამ დაიწყო ქველმოქმედება,

შეიქმნა საფინანსო კომისია, ბევრი თანხასაც აგზავნიდა, შეიძლება ეს საქმეს არ ყოფნიდა, მაგრამ მორალურად მხარდაჭერისათვის დიდი სტიმული იყო. უნივერსიტეტის დაარსებას დიდი დახმარება გაუწიეს როგორც ქართველებმა, ასევე, არაქართველებმაც. მაგალითად, ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით თანხა გამოგზავნა ქართველი ერის დიდმა მეგობარმა, სომეხმა საზოგადო მოღვაწემ ოვანეს თუმანიანმა.

17 მაისს ივანე ჯავახიშვილი ქუთაისში ჩავიდა და იქ ჩაატარა კრება, რომელზეც ასევე დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. უნივერსიტეტის დაარსებისათვის საფუძველი, გარკვეულწილად, უკვე ჩაყრილი იყო თბილისის გიმნაზიის შენობის მშენებლობის დროს. ეს გახლდათ ნიკო ცხვედაძის თაოსნობით აგებული სათავადაზნაურო გიმნაზია (უნივერსიტეტის ახლანდელი მთავარი კორპუსი), რომელშიც ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენი იმთავითვე ქართულ უნივერსიტეტს მოიაზრებდნენ. სწორედ ამ შენობაში გამოეყო რამდენიმე ოთახი თბილისის უნივერსიტეტს.

**როინ მატრეველი:** „როცა უკვე საფუძველზე მყარად დადგნენ, ივანე ჯავახიშვილმა ჩათვალა, რომ უნივერსიტეტი 8 თებერვალს, ძველი სტილით 26 იანვარს უნდა გახსნილიყო. ეს გახლდათ დავით აღმაშენებლის ხსენების დღე და ამ დღეს უნივერსიტეტის გახსნა მან სპეციალურად დაამთხვია, რადგანაც დავით აღმაშენებელი ის კაცი იყო, რომელმაც საქართველოში განათლება შემოიტანა. დავით აღმაშენებელმა დააფუძნა გელათის აკადემია, რო-



სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის შენობა, რომელშიც 1918 წ. გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი

მელიც „ახალ ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“ იწოდებოდა, როგორც სიბრძნისა და რწმენის სიმბოლო, რადგან ათენი სიბრძნის ცენტრი იყო და იერუსალიმი — რწმენისა. ამათი სიმბიოზი იძლეოდა გელათის აკადემიას, სადაც სწავლა ყველა იმ პრინციპებით და კატეგორიებით მიმდინარეობდა, რომლითაც ევროპაში ასწავლიდნენ. აქ უნივერსიტეტისთვის მისაღები 7 აუცილებელი საგანი ისწავლებოდა. სწორედ ამ პრინციპით შექმნა ივანე ჯავახიშვილმა გეგმა, სადაც კონკრეტულად ჩამოწერა, რა ფაკულტეტები გაიხსნებოდა და ვინ იქნებოდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორა“.

სრულყოფილი უნივერსიტეტის გახსნისათვის, არანაკლებ, 4 ფაკულტეტი იყო საჭირო — ისტორიულ-ფილოლოგიური, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიული და სამკურნალო. კრებაზე, რომელიც 1917 წლის 9 ნოემბერს გაიმართა, დადგინდა, რომ ჯერჯერობით დაარსებულყოფილი ერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უდრიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტს, გადაწყდა, რომ „ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილს, ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის ახლო მომავალში შესაძლებელი, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდეს“. (ს.ჯორბენაძე „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; თბ; 1988 წ.)

## საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა

ძნელი და მძიმე გზის შემდეგ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძალისხმევას შედეგი მოჰყვა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 1 საათსა და 20 წუთზე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. ამ მოვლენას სამართლიანად უწოდეს „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა“. სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა კოტე აბხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტებიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი“.

ხელისუფლების სახელით უნივერსიტეტის გახსნას მიესალმა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, რომელიც ამ დღეს, უკვე ემიგრაციაში მყოფი, ასე იხსენებს: „ჩემთვის ძნელია მოგონება, რა ვთქვი იმ დღეს თავმჯდომარის სავარძლიდან. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღვლეობა, გულის-ტოკვა, რომელიც განვიცადე... ამავე განცდას ადვილად ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი, ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოში ბევრი კანკალებდა სიცივისაგან. ამოდენა უადგილობით განამებულ ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღებულ ვაშატაშისათვის. საყურადღებოა, რომ, გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა, ბლომათ იყო მდაბიო ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელი სჭარბობდნენ კიდეც პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მათ შორის არ სჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მოსალოცი სიტყვები წარმოთქვეს“ (ყურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928 წელი, პარიზი).



კირიონ II

გახსნის ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა, პროფესორმა

იოსებ ყიფშიძემ, ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და პოლონურ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. ნაიკითხეს მისალოცი დეპუტებიც.

თავად ივანე ჯავახიშვილი იმ დროისთვის უნივერსიტეტში არსებული ერთადერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა.

პირველი ლექცია 1918 წლის 30 იანვარს ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ნაიკითხა თემაზე — „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ-საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

უნივერსიტეტში იმ დროისთვის პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 18 კაცს ითვლიდა. სწავლას შეუდგა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი.

უნივერსიტეტის დებულებით, სტუდენტად გახდომა შეეძლო ორივე სქესის მოქალაქეებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელთაც საშუალო სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.

1918 წლის 30 მაისს უნივერსიტეტის მმართველობის უმაღლესმა ორგანომ — პროფესორთა საბჭომ სპეციალურად განიხილა საქართველოს მთავრობასთან უნივერსიტეტის დამოკიდებულების საკითხი. საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაქცევის შემდეგ მას „უნდა ჰქონდეს სრული ავტონომია. მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და კონტროლი...“

**როინ მიტრაქვილი:** „როცა უცხოელი ჩამოდის, კითხულობს, ამ ქვეყანას უნივერსიტეტი აქვს? ენციკლოპედია აქვს? და თუ პასუხი დადებითია, ე.ი. ქვეყანა განვითარებულია... და საქართველოც სწორედ ასეთი ქვეყნების რიგში ჩადგა უნივერსიტეტის გახსნით.“

უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ დაიწყო სრულიად ახალი კულტურული ერა, რომელსაც სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილი — კაცი, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში უნიკალური მოვლენაა“.

## მანია ტორაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
ყურნალისტი, ასოცირებული პროფესორი  
„თბილისის უნივერსიტეტი“ 23 აპრილი, 2011 წ.*



## ნიკო მარტან ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი

ორი დიდი მეცნიერის — ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობაზე სპეციალისტები დღესაც მსჯელობენ და მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი საგანგებო კვლევას საჭიროებს. მოსწავლე-მასწავლებლის, შემდგომში კი როგორც კოლეგების ურთიერთობა, ყველაზე კარგად მათ მიმოწერაში ჩანს, რომელიც 1900-1923 წლების ქრონოლოგიურ მონაკვეთს შეიცავს. როგორც ცნობილია, ამ ორ მეცნიერს შორის ურთიერთობაში ბზარის გაჩენა ქართული უნივერსიტეტს დაარსებას უკავშირდება.



ნიკო მარი

ქართველ საზოგადოებას ნიკო მარის შესახებ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არასოდეს ჰქონია. მისი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მიუხედავად მარის „განსხვავებული დამოკიდებულებისა“ ქართული საქმეებისადმი, იგი დიდი მეცნიერი იყო და დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში. მეორენი კი მას არასოდეს პატიობდნენ ქართული უნივერსიტეტის გახსნის საქმეში განეულ წინააღმდეგობას და ზოგიერთ სხვა მოსაზრებას, რომელიც ქართველთათვის ღირსების საქმედაც კი მიიჩნეოდა. კერძოდ: კონსტანტინე გამსახურდიას გადმოცემით, ნიკო მარი რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ ნათარგმნად მიიჩნევდა და მის დედანს სპარსეთსა და სომხეთში ეძებდა, ამას გარდა, მას ეგონა, რომ მდინარე სუფსის სახელწოდება აფსუურია (ეს მოსაზრება ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა, თუმცა მერე დადგინდა, რომ „ფსი“ არ არის აფსუური

ძირი — აღმოსავლეთ საქართველოში არის მდინარე ფცა, ბერძნულ ენაში ეს ძირი შესულია იბერიულიდან. ხოლო იბერიული ძირი არ ნიშნავდა აფსუურს და აღმოსავლეთ საქართველოში აფსუები ვერ დაარქმევდნენ მდინარეს (სახელს) და, რაც მთავარია, იგი ქართული უნივერსიტეტის გახსნის სანაცვლოდ მოითხოვდა კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას, სადაც სწავლება რუსულ ენაზე იქნებოდა. სწორედ ეს უკანასკნელი პოზიცია ითვლება ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო მარს შორის ურთიერთობის დაძაბვის საფუძვლად.

სანამ ივანე ჯავახიშვილი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე დაიწყებდა საუბარს, მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის სანიმუშო ურთიერთობა იყო — ჯერ როგორც პედაგოგსა და მოსწავლეს, მერე კი — როგორც კოლეგებს შორის.

ნიკო მარი ცნობილია, როგორც დიდი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, დაკვირვება, მიგნება თუ ჰიპოთეზა ეკუთვნის. მისი მამა შოტლანდიიდან იყო, დედა კი ქართველი ჰყავდა და გიმნაზიაც ქუთაისში დაუსრულებია 1884 წელს.

ნიკო მარი ის მეცნიერი იყო, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. ნიკო მარიც დიდ ყურადღებას იჩენდა ქართველი ახალგაზრდისადმი, ზრუნავდა მის როგორც აკადემიურ წარმატებაზე, ასევე მატერიალურ-ყოფაცხოვრებით პირობებზე. უნდა ითქვას, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1899 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში საპროფესორო მოღვაწეობისთვის დასატოვებლად სწორედ ნიკო მარმა წარადგინა, რომლის შუამდგომლობაც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა გაითვალისწინა. მათი ერთობლივი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია ექსპედიცია სინას მთაზე, სადაც ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და იგი გამოსაცემად მოსამზადებლად ნიკო მარს გადასცა, რადგან მიიჩნია, რომ იგი უკეთ გაართმევდა თავს ამ დიდ საქმეს.

ისტორიკოსი გოჩა საითიძე ინტერვიუში, რომელიც მან გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტს შურთხია ბეროშვილს 2011 წელს მისცა, აღნიშნავს, რომ ივანე ჯავახიშ-

ვილისა და ნიკო მარის ურთიერთობა რამდენიმე ეტაპად იყოფა, რაც კარგად ჩანს მიმონერიდანაც. „ნიკო მარს ივანე ჯავახიშვილისადმი უზარმაზარი ამაგი ჰქონდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში მას ორი მოსწავლე ჰყავდა: ივანე ჯავახიშვილი და სომეხი აკადემიკოსი ადონცი, რომელმაც თავის ქვეყანაში სომხურ ისტორიოგრაფიას ჩაუყარა საფუძველი. ნიკო მარის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ივანე ჯავახიშვილი გერმანიაში სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრა, იქაურ სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობა დაამყარა და ნაშრომებიც გამოაქვეყნა. ბატონი ივანე დიდად აფასებდა მარის ამაგს, ინტენსიურად წერდა მასწავლებელს თავის სამეცნიერო მუშაობის შესახებ. მართალია, მათ შორის ასაკში დიდი სხვაობაც არ იყო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილისთვის მას სხვა სტატუსი ჰქონდა“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ორ დიდ მეცნიერს შორის ურთიერთობაში ბზარის გაჩენა ქართული უნივერსიტეტს დაარსებას უკავშირდება. „ნიკო მარს მიაჩნდა, რომ მეცნიერი სხვა საქმეებით ნაკლებად უნდა იყოს დაინტერესებული, რაშიც ბატონი ივანე არ ეთანხმებოდა და ფიქრობდა, რომ ისტორიკოსი საქვეყნო საქმეებშიც აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილს თანამოაზრეებად თავისი მოსწავლეები გამოუჩნდნენ, რომლებსაც უნივერსიტეტის გახსნა უნდოდათ. უთანხმოებაც ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის აქედან დაიწყო. მარს მიაჩნდა, რომ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო პირობები არ იყო შექმნილი და ამას დიდი დრო დასჭირდებოდა. მისი აზრით, თავდაპირველად საჭირო იყო შექმნილიყო მეცნიერებათა აკადემია, შემდგომში კი უნივერსიტეტის დაარსებაზე ფიქრიც შეიძლებოდა. ივანე ჯავახიშვილი მარის ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა და მიაჩნდა, რომ ეს არ იყო საკმარისი არგუმენტი და ეს დაბრკოლება მომავალში გამოსწორდებოდა. ამ უთანხმოების გამო მათ წერილებში საგრძნობლად ცივდება ტონი, თუმცა მათი მიმონერა არ შეწყვეტილა“, — ამბობს გოჩა საითიძე „თბილისის უნივერსიტეტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

1921 წლის 23 იანვრით არის დათარიღებული ივანე ჯავახიშვილის მიერ ნიკო მარისთვის მიწერილი წერილი, რომელშიც ჩანს, რომ მიუხედავად ნიკო მარის დამოკიდებულებისა თბილისის უნივერსიტეტისადმი, იგი მაინც იქნა მოწვეული ლექციების წასაკითხად: „თქვენ, ჩემო ბ(ატონ)ო, მოწვეული ბრძანდებით

პროფესორად ჩვენს უნივერსიტეტში და ჩვენივე თხოვნით მოგმართათ თქვენ ჩვენმა მთავრობამ. თქვენი ჩამოსვლის ამბავი გვახარებს და გვამხნევენს. რა კურსსაც აირჩევთ წასაკითხავად, თქვენთვის მოგვინდვია და ამ მხრივ სრული თავისუფლება გექმნებათ, რასაკვირველია. ჯერჯერობით კი გვეცოდინება და ლექციების ნუსხაშიაც შევიტანთ, რომ თქვენ ამ მიმდინარე სემესტრში წაიკითხავთ: „ბასკური ენის ადგილი იაფეტურ ენათა შორის“ („ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“, 1996 წ.).

იგივე წერილი შეიცავს ფასდაუდებელ და უტყუარ ისტორიულ ცნობებს თბილისის უნივერსიტეტის შესახებ: „ამჟამად ჩვენ 3 ფაკულტეტი გვაქვს, 2814 სტუდენტი, 39 პროფესორი, 10 დოცენტი გვყავს და სხვები, სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობა 127-ს უდრის. უნივერსიტეტს 7 შენობა ეკუთვნის და მრავალი სრულებით მოწყობილი დაწესებულება აქვს. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში 115 000 ტომ-წიგნზე მეტი ითვლება. ერთი კვირაა, რაც საფრანგეთითგან, ინგლისითგან და გერმანიითგან 20 000-მდე ახლადგამოწერილი წიგნები მოგვივიდა. მართალია, ჯერ ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ იმდენად მაინც მოვეწყვეთ, რომ მუშაობა შესაძლებელია,“ — წერს ივანე ჯავახიშვილი მასწავლებელს (ყურნალი „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“, 1996 წ.).

განსაკუთრებით საინტერესოა წერილი, რომელიც ნიკო მარისთვის ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის დავალებით მიუწერია. წერილი გარკვეულ შეფასებას აძლევს ნიკო მარის ქართული უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულებას. ამასთან, საშუალება გვაქვს, დავრწმუნდეთ იმ პირუთვნელ პრინციპულობასა და პირდაპირობაში, რაც ივანე ჯავახიშვილისათვის იყო დამახასიათებელი: „პატივცემულო ბ-ნო ნიკო, თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე, სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერისგან ერთ და ერთ დღევანდელ მიწვენილობაზე ლექცია რომ ყოფილიყო ჩვენს უნივერსიტეტში თქვენს მიერ ქართულად წაკითხული. თქვენი თხოვნის თანახმად გაცნობებთ სრულებით გულწრფელად კოლეგიის საერთო აზრს და პასუხს. ჩვეულებრივს პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეეგებებოდა ამ სურვილს თქვენი „სხვაფრივ მოაზრობისა“

მიუხედავად. მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულებით შეუძლებლად მიაჩნია. ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასახშობად“ (ჟურნალი „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“, 1996 წ.). აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ ნიკო მარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე არ უყურებდა ამ საქმეს პერსპექტიულად. ყოველივე ამან უნივერსიტეტის მესვეურთა უკმაყოფილება გამოიწვია და როდესაც მას სურვილი გაუჩნდა ლექცია წაეკითხა უნივერსიტეტში, უარით უპასუხეს მეცნიერის წინადადებას.

ივანე ჯავახიშვილი წერილს ჩვეული სიდარბაისლით ამთავრებს: „მომავალშიაც მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელ მკვლევარის თითოეული თხზულებისათვის, თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ჰქონდეს მიზნად დასახული. დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე ივ. ჯავახიშვილი (7 დეკემბერი 1923 წ. ქ. ტფილისი)“. (ჟურნალი „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“, 1996 წ.).


მიუხედავად უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვაზე შეთვლილი უარისა, ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო მარს შორის ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ისინი კვლავ დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთს და უზიარებდნენ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე.

## მანია ტორაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
ჟურნალისტი, ასოცირებული პროფესორი  
„თბილისის უნივერსიტეტი“ 23 აპრილი, 2011 წ.*

## ❧ 4 ❧

### რექტორის ნაბიჯები



**პეტრე მელიქიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის ღვანლი, როგორც პირველი ქართული უნივერსიტეტის ორგანიზატორისა, კარგად გამოჩნდა მისი რექტორის პოსტზე მუშაობისას. ლიდერის თვისებებით მან საბჭოთა რეჟიმზეც გაიმარჯვა და საგონებელში ჩააგდო ყველა მონინალმდგეგე — როგორ მოედრიკათ ის პიროვნება, რომელსაც ქართველი

ერის საუკეთესო და შეგნებული ნაწილი წინამძღვრად აღიარებდა. მართალია, მას მძიმე ქარტეხილი მაინც შეეხო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იდეას საბოლოოდ მაინც ვერავინ გამოუთხარა ძირი. წარსულმა კი ლეგენდად ქცეული ის გმირული ნაბიჯები შემოგვინახა, რაც რექტორად ყოფნის დროს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილს, და არა ჩვეულებრივ მოკვდავთ, შეეძლო გადაედგა.

უნივერსიტეტის პირველი რექტორის არჩევაზე რომ მიდგა საქმე, ყველა ნიშნითა თუ მაჩვენებლით, ელემენტარული სამართლიანობის პრინციპის დაცვით, რექტორობა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა... მას ერთხმადაც შესთავაზეს ეს პოსტი, მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა რექტორობაზე უარი განაცხადა და საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერის — პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა წამოაყენა. „ბატონი პეტრე ცნობილი მეცნიერი გახლავთ რუსეთსა თუ ევროპაში და მისი რექტორობა მეტ სახელს მოუტანს ჩვენს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტსო“ — უთქვამს ივანე ჯავახიშვილს და მის ამ პრინციპულ შეხედულებას ვერც ვერავინ შეწინააღმდეგებია (ს. ჯორბენაძე, „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; თბ. 1988 წ.). ასე რომ, 1918 წლის 13 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველ სხდომაზე, ივანე ჯავახიშვილის

წინადადების საფუძველზე, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. იგი თითქმის 2 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ უძღვებოდა ახლად დაარსებულ სასწავლებელს და უშურველად ახმარდა თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ავტორიტეტს პირველ ქართულ უნივერსიტეტს. თუმცა თავად პეტრე მელიქიშვილი აღიარებდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“ („უნივერსიტეტი“; თბ. 2008 წ.). თვითონ ივანე ჯავახიშვილი იმ დროისათვის უნივერსიტეტში არსებული ერთადერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა.

1919 წლის 11 ოქტომბერს პეტრე მელიქიშვილმა ერთ-ერთ პროფესორთან მომხდარი სიტყვიერი ინციდენტის გამო რექტორობიდან და პროფესორობიდან გადადგომა ითხოვა, რაც 1919 წლის 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, 2 თვეზე მეტხანს უნივერსიტეტს რექტორი არ ჰყოლია. რექტორის მოადგილის მოვალეობას ივანე ჯავახიშვილი ასრულებდა. იგი რექტორად არჩევის წინააღმდეგი იყო. რექტორის თანამდებობაზე უარი მან პროფესორთა საბჭოს სახელზე შედგენილ წერილში გამოხატა, სადაც აღნიშნულია: „ბატონო თავმჯდომარე! თუ ვინიცობაა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ, ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ, მეტისმეტი დალლილობის გამო, კანდიდატობაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიითგან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.

მიუხედავად ამ განაცხადის განხილვისა, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ არ გაითვალისწინა მეცნიერის ეს თხოვნა და 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილი რექტორად ერთხმად მანიც აირჩია. საბჭოს წევრებს რექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე მის გარდა სხვა კანდიდატი არც დაუსახელებიათ. ივანე ჯავახიშვილს, მიუხედავად დიდი ფიზიკური დატვირთვისა, უარი ვეღარ განუცხადებია შეთავაზებულ პოსტზე. 1920 წლის 4 იანვარს მან ნდობისთვის სამადლობელო სიტყვით მიმართა პროფესორთა საბჭოს, რომელსაც უნივერსიტეტის სააკადემიო ცხოვრების განვითარების კონცეფციაც წარუდგინა. ასე შეუდგა ივანე ჯავახიშვილი რექტორის თანამდებობაზე საქმიანობას.



მისი საზრუნავი და სამოქმედო არე მეტად მრავალმხრივი იყო: ცდილობდა პროფესურის სამეცნიერო დონის ამაღლებას — ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი თბილისის უნივერსიტეტის ძირითადი დებულებით შემოიღეს ერთი სამეცნიერო ხარისხი დოქტორისა, ანუ მოძღვართ-მოძღვრისა. ამით რუსეთის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს გაუტოლდა — ეს იყო გენიალური გამოსავალი იმისათვის, რომ უნივერსიტეტში პროფესორთა რიცხვი გაზრდილიყო. რექტორი უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდანაც იწვევდა.

„უნივერსიტეტის მმართველობა ავტონომიური პრინციპით იყო აგებული. ივანე ჯავახიშვილის შედგენილ და ქართული უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებულ უნივერსიტეტის წესდებაში მკვეთრად იყო განსაზღვრული სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფორმა. პროფესორთა საბჭო მკაცრად იცავდა წესდებით გათვალისწინებულ, უნივერსიტეტის საქმეებში ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკას და მკაცრად ემიჯნებოდა პარტიულ ინტერესებს“ („პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“; თბ. 2006 წ.). ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი სახელმწიფო სასწავლებლად გარდაიქმნა (1918 წლის 3 სექტემბერი), უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებული იყო, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცე-

ბლად წარედგინა მთავრობისა და ეროვნული საბჭოსთვის, ასევე, ყოველწლიურად გაეგზავნა განათლების მინისტრისადმი ლექციების ნუსხა და თანამშრომელთა სრული მონაცემები, კერძოდ კი, იგი აწვდიდა ცნობებს მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ. ამის დასტურია განათლების სახალხო კომისარიატის არქივში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ. მასში ჩამოთვლილია 1923 წლისთვის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და მათი დახასიათება. საბუთი წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიმართვას სახალხო განათლების კომისარიატისადმი.

ივანე ჯავახიშვილის რექტორობის პერიოდში შეიქმნა ახალი ფაკულტეტები: აგრონომიული, პოლიტექნიკური და იურიდიული (სოციალურ-ეკონომიკური).

მაშინდელი რექტორატი იბრძოდა პროფესორ-მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის — „1920 წლის 1 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა: გამოიყონ პროფესორები შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე და გიორგი ახვლედიანი და დაევალოთ მათ, გამონახონ საშუალება შინაურული გზით (სურსათ-სანოვავის, შეშის თუ სხვა რაიმეს დროზე შეძენით) პროფესორ-ლექტორთა უმწეო მდგომარეობის „შესამსუბუქებლად“.

რექტორი ყოველმხრივ ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს და არაერთხელ აღმოუჩენია მათთვის მატერიალური თუ მორალური დახმარება. ივანე ჯავახიშვილი ყველანაირად უწყობდა ახალგაზრდებს ხელს — მთელი შინაგანი რესურსი განათლების მიღებაში დაეხარჯათ, თუმცა, როცა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესია და ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლის დრო დადგა, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში შეკრებილ სტუდენტობას ფრონტზე წასასვლელად და სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. თვითმხილველის სიტყვებით ივანე ჯავახიშვილს უთქვამს: „მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისკენ მიეშურება“.

## უნივერსიტეტში შემოჭრილი „ურდოს“ წინააღმდეგ

„ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქვს, წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მონვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმაჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“ („პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, მანანა ლილუაშვილისა და ზურაბ გაიპარაშვილის წინასიტყვაობა, 2006 წ.), — ასეთ დახმარებას სთავაზობდა უნივერსიტეტი ქვეყანას, რომლის ოკუპაციაც რუსეთის მხრიდან უკვე გარდაუვალი იყო.

„ფრონტზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის გამგეობამ გამოსცა ბრძანება: „ქართული განძის, რომელიც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში იმყოფებოდა, მისი ჩაბარების შესახებ საზღვარგარეთ გასატანად“. ქართული საუნჯის გახიზვნა მეტად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. სწორედ უნივერსიტეტის შენობის მე-3 სართულზე 16 თებერვალს მთელი ღამის განმავლობაში ყუთებში ალაგებდნენ სამუზეუმო ექსპონატებს და ადგენდნენ სიებს. ემიგრაციაში წასვლის გამო უნივერსიტეტი დატოვა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც საქართველოში დატრიალებულ განუკითხაობას გარიდებული ქართული საუნჯის დაცვა დაევა-

ლა“ („პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, მანანა ლილუაშვილისა და ზურაბ გაიპარაშვილის წინასიტყვაობა, 2006 წ.).

მაშინ ემიგრაციაში წასვლა შესთავაზეს ივანე ჯავახიშვილსაც, მაგრამ მას წუთითაც არ უყოყმანია — არ დატოვა საქართველო და თავისი უნივერსიტეტი.

ბოლშევიკების მიერ თბილისის ალების შემდეგ უნივერსიტეტს ნითელარმიელების შემოჭრის საფრთხე დაემუქრა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წესრიგის დაცვა მოითხოვა... ივანე ჯავახიშვილის გაუტეხლობამ და პრინციპულობამ თავისი გაიტანა — უნივერსიტეტი აოხრებას გადაურჩა.

„ყოველ წუთს მოდის ცნობა ხან ერთი, ხან მეორე ნაცნობი ოჯახის საზღვარგარეთ წასვლის შესახებ. მამა უნივერსიტეტს არ შორდება. ქალაქში დაბნეულობაა. ათას ზღაპრულ ხმას ავრცელებენ. ყველა არამზადა ცდილობს, ამ დაბნეულობით ისარგებლოს. ერთ დილას მამასთან სახლში მოდიან პროფესორები: შალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე, ძალიან აღლევებულნი არიან და აცნობებენ მამას, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არშაკ ბაბოვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს. კარგად მახსოვს, როგორ აღშფოთდა




ნითელი არმიის შემოსვლა თბილისში. 1921 წლის თებერვალი

მამაჩემი და კატეგორიულად უთხრა: არავითარ შემთხვევაში, რა შუაშია ბაბოვი, რა ხელი აქვს უნივერსიტეტთან. მე მოვალე ვარ წარვსდგე ახალი ხელისუფლების წინაშე“. და მართლაც, როდესაც ახალი ხელისუფლება დამყარდა, მამა დილიდან უნივერსიტეტში იყო“, — ასე იგონებს ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი 1921 წლის თებერვლის დღეებს (ყურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ). ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი თარხუჯ ჯავახიშვილი კი გადმოცემით მონათხრობიდან ასეთ სურათს ხატავს: „მოდი და „ურდოს“ გაუნეე წინააღმდეგობა... უნივერსიტეტის ეზოში კოცონები ჰქონდათ დანთებული... ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში წავიდა, გაალო კარი და შიგნიდან ჩაკეტა — ახლა მოვიდნენ, თუ უნდათო... არ ვიცი, რამდენი ხანი იყო თვითპატიმრობაში, მაგრამ ამ ხერხით კი უნივერსიტეტი გადაარჩინა და არავის მისცა იქ შეჭრის უფლება“.

ივანე ჯავახიშვილის პრინციპულობასა და უშიშრობაზე მეტყველებს მისი შვილიშვილის თარხუჯ ჯავახიშვილის მონათხრობიც, როცა ბერია პირადად მისულა ივანე ჯავახიშვილთან და მისთვის უთქვამს: ჩემ ცოლს უნივერსიტეტში ჩაბარება უნდა, მაგრამ სკოლის დამთავრების ატესტატი არ აქვსო. ივანე ჯავახიშვილს მისთვის უპასუხია — ვერ მივიღებთო. ბრძანება რომ იყოსო? — უკითხავს ბერიას. ივანე ჯავახიშვილს კი პირდაპირ და თამამად უთქვამს — უნივერსიტეტში ბრძანებებს მე ვიძლევიო. ერთხელ უნივერსიტეტში სერგო ორჯონიკიძესაც მოუთხოვია ტრიბუნა, მაგრამ უარი პირადად რექტორისგან მიიღო: უმაღლეს სასწავლებელში პარტიული გამოსვლები აკრძალულიაო. ალბათ, სწორედ ამ თვისებათა გამო ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს ის ავტორიტეტი, რაც მას ლიდერად წარმოაჩენდა და რისი გაკეთებაც, სურვილის მიუხედავად, სხვებს არ შეეძლო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტში აქტიურად დაიწყო რუსული უმაღლესი სასწავლებლების პრინციპების დანერგვა. ივანე ჯავახიშვილისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო ამა თუ იმ ქვეყნის უმაღლესი სკოლის ფორმისა და შინაარსის პირდაპირ გადმოღება. „შეუძლებელია ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებიდან სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების პირდაპირი გადმოღება. ეს საკითხი სათუთ მიდგომას საჭიროებს, რადგანაც მისი გაუანალიზებლად ჩართვა სასწავლო პროცესში „განსაცდელ-

ში ჩააგდებს ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატს თავის მოხსენებით ბარათში. ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, წინ ვერ აღუდგებოდა მოვლენებს, თუმცა საკუთარი პოზიციების აშკარად დაფიქსირებაც მაშინ გმირობა იყო. იგი ვერც შეძლებდა შეეჩერებინა ის გადაწყვეტილებები, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა.



1923 წლის 30 მარტს თსუ-ის პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ახალი ვადით აირჩია რექტორად.

რექტორობის პერიოდში ივანე ჯავახიშვილი განაგრძობდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას — იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმძღვანელოებისა და სატერმინოლოგიო საქმის მომგვარებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), საქართველოს „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარე... ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის სტამბა (1923 წ.).

### ერთი ღამე მეტახის ციხეში

1924 წელს აგვისტოში განვითარებული ანტისაბჭოთა ამბოხის დროს ივანე ჯავახიშვილი ქალაქკარეთ, სოფელ კარსანში, ა. დიდებულაძის აგარაკზე ყოფილა. მისი შვილი ნათელა ჯავახიშვილი ჟურნალ „ნეკერში“ წერს: „თბილისიდან ჩემმა დეიდეებმა აცნობეს მამას, რომ პირველივე ღამეს მოაკითხეს მას. ქუჩაში ღამის მორიგეს, ჩვენ მოხუც მეფეზოვეს, შეეკითხნენ — სახლშია თუ არა მამა? იმას ეპასუხა, რომ მამა დასასვენებლადაა ოჯახთან ერთად წასული. მაშინ გაუფრთხილებიათ დაპატიმრების დაქადნებით, რომ არავისთვის გაემხილა მათი

მოსვლა. ამის მიუხედავად, წასულან თუ არა ისინი, მას უცნობებია ჩემი დეიდებისთვის ეს ამბავი, წერილის მიღებისთანავე მამა ფეხით წამოვიდა თბილისში და თვითონვე გამოცხადდა „ჩეკაში“, სადაც იგი დააპატიმრეს და დააყოვნეს 48 საათი“, — იგონებს ნათელა ჯავახიშვილი. ან გარდაცვლილი პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე კი ცნობილი გერმანისტის ბიძინა კონტრიძის მონაყოლს ასე იხსენებდა: „1924 წელს, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ბიძინა კონტრიძე დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. ერთ საღამოს, თურმე, გაიღო კარი და შეიყვანეს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. ბიძინა იხსენებდა — წამოვხტით ყველა, შემოვესიეთ, სანოლი გავუმზადეთ, რაც შეგვეძლო ყურადღება გამოვიჩინეთ და მივუაღერსეთო. ბატონმა ივანემ კი გვითხრა: ახლა გვიანია, დაძინების დროა, ნუ მივეცემით პესიმიზმს და უსაქმურობას, ხვალიდან დავიწყებ თქვენთვის ლექციების კითხვას საქართველოს ისტორიაში“. მეორე დღეს, ყველასთვის გასახარად, ივანე ჯავახიშვილი გაუთავისუფლებიათ.

### რეპტორიკიდან გათავისუფლება

კომუნისტური იდეოლოგიური მანქანა მთელი თავისი ძლიერებით იწყებდა მუშაობას: 1926 წლიდან სასწავლო გეგმაში შეიტანეს ისეთი საგნები, როგორცაა: საბჭოთა კონსტიტუცია, სოციალიზმის ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები, ისტორიული მატერიალიზმი.

პარტიული მუშაკები და პროლეტარული წრიდან გამოსული ახალი წითელი ინტელიგენცია აშკარად თავდასხმაზე გადავიდა. კომუნისტურ პარტიულ ნომენკლატურაში მცირერიცხოვანი დამცველების მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1926 წლის 21 ივნისს, ახალი წესდების თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართა. სხდომას სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. არჩევნების ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ივანე ჯავახიშვილი არც კი დასწრებია არჩევნებს. სხდომას რექტორის თანამდებობაზე ასარჩევად მალაქია ტოროშელიძემ თედო ლლონტის კანდიდატურა შესთავაზა.

„ძლივს ოდნავ კალაპოტში ჩამდგარი ცხოვრება კვლავ აინუნა, — იგონებდა ნათელა ჯავახიშვილი, — ამავე დროს რეაქციულმა ძალებმა უნივერსიტეტში მოახერხეს მავნებლური პოლიტიკის ჩათესვლა და მამას მისი რექტორობის მეშვიდე წელს საზიზღარი ობსტრუქციები მოუწყვეს. ბოლოს უკვე საკითხი ისე დადგა, რომ მამაჩემის წასვლის აუცილებლობა რეალური გახდა. ცხადია, მის განცდებს მხოლოდ ის კი არ ამძიმებდა, რომ პირადად მისი წასვლა იყო საჭირო, ამაში მამა ხედავდა უნივერსიტეტის მომავალი ბედის შემოტრიალებასაც და, რასაკვირველია, არც უიმისობა იქნებოდა, რომ თავის პირმშო უნივერსიტეტიდან გაძევება ადვილი შესარიგებელი ყოფილიყო მისთვის.

ერთ დღეს მამა მძიმე გულისწუხილის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს სახლში. იგი ლოგინად ჩავარდა. ასე გულგატეხილი, გულნატკენი და შეურაცხყოფილი მე ის არ მინახავს შემდეგში მომხდარი მავნებლური გამოსვლების დროსაც კი. ამ ამბავმა კინალამ იმსხვერპლა მამა“, — იგონებს ნათელა ჯავახიშვილი (ჟურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ საშინელ ცილისმწამებლურ კამპანიას, 1926 წლის 23 ივნისს, მისი რექტორობიდან გათავისუფლება მოჰყვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელი, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, თედო ღლონტმა დაიკავა.

1928 წელს საზეიმოდ აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი, რომლის მსვლელობის დროს არავის წამოსცდენია სიტყვა ივანე ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში შეტანილი წვლილის შესახებ. ბევრი მოქალაქე გრძობდა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის უსამართლობას, ჩუმად თანაუგრძობდა მას, მხარდაჭერის გამომხატველ ნერილებსაც უგზავნიდა სახლში, მაგრამ ხმამაღლა, საჯაროდ, მის გამოქომაგებას ვერავინ ბედავდა.

## ნიმუ კაკულია

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ჟურნალისტი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

5

## როგორ გააქვეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან

### საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები



1930-1936 წლებში საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ უნივერსიტეტის წითელმა პროფესურამ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა. რას ისახავდა მიზნად უნივერსიტეტის დამაარსებლის, ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქისა და ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიის წინააღმდეგ ბოლშევიკ „მეცნიერთა“ ბრძოლა — კომუნისტური პარტიის წინაშე ვალის მოხდას, თუ ვინმეს სწამდა, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის მრწამსსა და გზას შეიცვლიდა? — ამ კითხვებზე პასუხს, როგორც მკითხველს, უნივერსიტეტის კედლებს შიგნით გამართული სამარცხვინო დისკუსიების თანამონაწილეობა მოგაძებნინებთ.

გამაოგნებელია, მაგრამ არა ულოგიკო, 1930-1936 წლებში პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან განდევნის ფაქტი... ლოგიკას კი იმ პერიოდის პოლიტიკურ სისტემაში ვპოულობთ, რომლის ბატონობის დროსაც წყობილება ადამიანებს ისე ამახინჯებდა, რომ შეეძლოთ სისხლიანი ხელისუფლებისადმი მონურ მორჩილებას გადაეყოლებინათ სხვათა ნიჭიერება, ზნეობრიობა, მაღალი ფასეულობები... ასეთ ადამიანებს შეეძლოთ, განუკითხაობისა და საზოგადოებაში გამეფებული შიშის გამო, უბრალოდ, გაჩუმებულიყვნენ და ამ ფორმით მიეჩქმალათ თავიანთი პროტესტი არსებული სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ... მათ შეეძლოთ, უბრალოდ არ განეკიქებინათ და არ დაპირისპირებოდნენ ერის სულიერების მკვებავ ლიდერებს, მაგრამ მათ უსამართლო სისტემის ერთგული ჯარისკაცობა ანაცვალებს სინდისს, ქა-

რთველობას, გონიერებას, ჭკუას, კაცობას... ასე გაიწირა უნივერსიტეტის დამაარსებელთა თავკაცი, რომელსაც, როგორც გადმოცემით ამბობენ, ლექციაზე მთვრალი სტუდენტები შეუგზავნეს და რომელთაც ალიაქოთი მოაწყობინეს, სტვენა დაუნყეს... ალბათ, რა მარტოდ იგრძნო თავი იმ გარემოცვაში დიდმა ივანემ... საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოსვლის შემდეგ აღზევებული ბოლშევიკები კი ტაშს უკრავდნენ ივანე ჯავახიშვილის ნაღვანის დაკნინების ყოველგვარ



ფილიპე მახარაძე

გამოვლინებას და პროლეტარიატისთვის დამახასიათებელი ცივისსხლიანი არგუმენტებით უმყარებდნენ ფესვს უმეცრებას... უნივერსიტეტიც აღარ ჰგავდა იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის წინაშეც ქუდს იხდიდა ყველა ღვთისმორჩილი, ვისაც მიაჩნდა, რომ ღვთის წვდომამდე უმოკლესი გზა მხოლოდ განათლებაა... მაშინ ეს გზაც მოშალეს და რალა ესაქმებოდა დიდ ივანეს ასეთ უნივერსიტეტში, იქ, სადაც წითელი პროფესურა მხოლოდ ლაყბობდა და მეცნიერების კვალსაც შანთავდა, სადაც 4 კლასის განათლება მიღებულ მუშა-გლეხებს უხსნიდა უმაღლესი სასწავლებლის კარს და სადაც ბურჟუაზიის გადმონაშთს უწოდებდა ჭეშმარიტ ინტელიგენციას... ივანე ე.წ. უნივერსიტეტიდან თავისი ნებით წავიდა და მის მომავალ თაობას, იმედია, განსაქიქებლად დაუტოვა საქართველოს ისტორიაში ჩადებული სამარცხვინო ფურცლები, რომელზე აღბეჭდილი ფაქტებიც ყველაფრის მეტყველია.

ისტორია კი ამას გვაუწყებს: ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო 1930 წლის დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1930 წელს გაუქმებული უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ 4 ინსტიტუტს შორის მთავარი სასწავლო დაწესებულება იყო. მაშინ მისი რექტორი გახლდათ ბოლშევიკების მიერ დანიშნურებული წითელი პროფესორი ივანე ვაშაყმაძე, რომელმაც წითელი პროფესურის ინსტიტუტი მოსკოვში დაამთავრა. ამ პერიოდში ივანე ჯავახიშვილი პედაგოგიურ ინსტიტუტში საპროფესორო მოღვაწეობას ეწეოდა. როგორც ცნობილია, იგი 1926

წელს რექტორობიდან გადადგა და მას შემდეგ „საქართველოს ისტორიის“ კურსს კითხულობდა.

1930 წელს მთელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში დაიწყო ბრძოლა ე.წ. კონდრატიევიჩინის წინააღმდეგ (ნიკოლოზ კონდრატიევი იყო ცნობილი რუსი ეკონომისტი, რომლის თეორიაც სტალინმა დაიწუნა და რომელიც ბურჟუაზიული მეცნიერების გადმონაშთად მონათლეს). საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გეზი აიღო იმისკენ, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში და სამეცნიერო დაწესებულებაში ძველი ბურჟუაზიული კადრები გამოეველინათ და მათთვის სამეცნიერო და საპროფესორო მოღვაწეობა აეკრძალათ. ბურჟუაზიულ კადრად განიხილებოდა რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში ან საზღვარგარეთ აღზრდილი ყველა მეცნიერი, რომელთაც ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად მიიჩნევდნენ და, აქედან გამომდინარე, საბჭოთა წყობილების მტრებად ნათლავდნენ. ასეთ კადრად განიხილებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი და სხვანი. სწორედ მათ წინააღმდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო 1930 წლის დეკემბრის დისკუსია.

საინტერესოა, რას ედავებოდნენ ივანე ჯავახიშვილს და რა ლოგიკა მოქმედებდა მის წინააღმდეგ? როგორც დისკუსიის მსვლელობა ავლენს, ივანე ჯავახიშვილს სწამებდნენ, რომ იყო ფაქტოლოგი, არ ანარმოებდა განზოგადებას, არ აინტერესებდა მშრომელი ხალხის ისტორია, წერდა მხოლოდ მეფეებისა და ფეოდალური კლასის ისტორიას, არ აღიარებდა მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას... ასეთი უმეცრების ატმოსფეროში გახურებული დისკუსია ბოლოს იმ შედეგით დასრულდა, რომ ივანე ჯავახიშვილი 1931 წელს უნივერსიტეტიდან გაუშვეს.

ნათელი პროფესურის დისკუსია ჯავახიშვილის წინააღმდეგ განახლდა 1936 წლის მარტ-აპრილში უკვე აღდგენილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც, იმ პერიოდში, მობრუნებული ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიას“ კითხულობდა. როგორც ისტორიკოსი ვახტანგ გურული აღნიშნავს, 1936 წელს „საქართველოს ისტორიის“ კათედრის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა ფილიპე მახარაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ კონტროლდებოდა და შეუძლებელი იყო, ვინმეს ივანე ჯავახიშვილისთვის საქართველოს ის-



თევდორე (თედო) ლლონტი



კარლო ორაგველიძე

ტორიაში ლექციის ნაკითხვის უფლება მიეცა. 1936 წელს ივანე ჯავახიშვილის სკოლის წინააღმდეგ განახლებული დისკუსიისას უნივერსიტეტს კარლო ორაგველიძე რექტორობდა. მწვავე, უსამართლო დისკუსიის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა პროტესტის ნიშნად დაწერა განცხადება და პროფესორობიდან გადადგომის მოთხოვნით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს მიმართა. ეს იყო მისი საბოლოო წასვლა უნივერსიტეტიდან, სადაც აღარ დაბრუნებულა.

უნივერსიტეტის ისტორიის ამ სამარცხვინო მოვლენების შესახებ საუბარია 2003 წელს ისტორიკოსების ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“, რომელშიც წარმოდგენილია 1930 წლის დეკემბერსა და 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიების სტენოგრამა. იგი, ათწლეულების მანძილზე, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახებოდა, თუმცა, მთლიანად გამოქვეყნებული არ იყო. გამოქვეყნდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, დოკუმენტური მასალიდან ამონარიდების სახით. ეს მასალები გასაიდუმლოებული არასდროს ყოფილა, თუმცა ივანე ჯავახიშ-

ვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემა 60-70-იან წლებამდე მაინც ტაბუდადებული იყო. სტენოგრამის სრული ვერსია პირველად სწორედ წიგნში „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ დაიბეჭდა, რისი გაცნობაც ფართო მკითხველისთვის, იმ დროს უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენების გასაცნობიერებლად, აუცილებელია. მხატვარს და ისტორიკოსს, ალბათ, გაუჭირდებოდა იმ პერიოდის უნივერსიტეტში მოღვაწეთა პორტრეტებისა და იმ ორგანული, დანგრეული ღირებულებების ისე წარმოჩენა, როგორც ეს დოკუმენტურ მასალებშია ასახული.

როგორ მახინჯდებიან ადამიანები? რა ზღვრამდე მიდის მათი მონური მორჩილება? ვინ როგორ იქცევა გმირად და ანტიგმირად, საბოლოოდ კი ვინ არის რეალური მსხვერპლი — განწირული და შერისხული შთამომავლობისგან? — ამ კითხვებზე პასუხს ისტორიკოსი, პროფესორი ვახტანგ გურული გვცემს, რომელიც იმდენად ჩაუღრმავდა სტენოგრამის შინაარსს, რომ, განცდების თვალსაზრისით, ლამის თანამონაწილეობდა იმ პროცესებში.

### ინტერვიუ ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

— სტენოგრამის მიხედვით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დისკუსიისას სხდომებზე გამომსვლელთა მთავარი მოტივაცია ანტიმარქსისტი ქართველი პროფესორებისა და, ამასთან ერთად, საკუთარი ფიზიონომიის გამოაშკარავებაც იყო. შალვა ნუცუბიძემ თვითგამორკვევის პრობლემა წამოჭრა, რომელმაც სხდომაზე აღნიშნა: „თითოეულმა უნდა სთქვას — ვისთან არის: მუშათა კლასთან თუ მის მტერთან? — აი, ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი“. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ „თვითგამათრახების“ გზას და ამ ფონზე ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მსჯავროს?

— 1930 წლის დეკემბრისა და 1936 წლის მარტ-აპრილის სხდომები არ შედგებოდა, მანამდე უნივერსიტეტის შიგნით დიდი ცვლილებები რომ არ განხორციელებულიყო. 1926 წელს ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის რექტორის პოსტი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სოციალური „გადახალისების“ მიზნით დაატოვებინეს. უმაღლეს სასწავლებელში უნდა მოსულიყო ე.წ. მუშურ-გლეხური ინტელიგენცია. პედაგოგიური

და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სრულიად შეუფერებელ პიროვნებას გაგზავნიდნენ მოსკოვში, ისწავლიდა იქ ერთი ან ორი წელი ე.წ. წითელი პროფესურის ინსტიტუტში, აიღებდა პროფესორის დიპლომს, ჩამოდიოდა თბილისის უნივერსიტეტში და აქ აგრძელებდა მოღვაწეობას. 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იმიტომ შედგა, რომ უნივერსიტეტში საბჭოთა ნყობილებას კომუნისტური პარტიის წევრების, კომკავშირლების სახით უკვე ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ეს ხალხი 1926 წლიდან (რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებაში გარდატეხის წელია) ნელ-ნელა შემორეკეს და ამ პროცესს წინ ვერავინ აღუდგებოდა. 1928 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი აღინიშნა, მაშინდელმა წითელმა რექტორმა თედო ღლონტმა წერილი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა უნივერსიტეტი დააქციეს, ჩვენ ვცდილობთ, ივანე ჯავახიშვილის გაფუჭებული საქმე როგორმე გამოვასწოროთ. უფრო უარესიც მოხდა: — უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წლის იუბილეზე უნივერსიტეტში მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ, მათ შორის, ფილიპე მახარაძე და იმ პერიოდისთვის საქართველოს სპეცსამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ლავრენტი ბერიაც. საზეიმო სხდომაზე ვიღაც ადგა და თქვა: ჯავახიშვილი ავირჩიოთ საიუბილეო სხდომის საპატიო პრეზიდენტი. დარბაზი ტაშით დაინგრა. ხოლო როდესაც საიუბილეო სხდომის საპატიო პრეზიდენტში ფილიპე მახარაძე დაასახელეს (შეიძლებოდა, პრეზიდენტში აერჩიათ კაცი, რომელიც საერთოდ არ იყო თბილისში ან იმ სხდომაზე) ტაში ძალიან ცოტამ დაუკრა. ლავრენტი ბერიამ ეს ფაქტი მაშინვე სათანადოდ აღიქვა. მან მოხსენებითი ბარათი დაწერა, სადაც აღნიშნა: უნივერსიტეტის სტუდენტების ნახევარზე მეტი ჩვენს წინააღმდეგ არის, რაიმე რომ არ გართულდეს (საერთაშორისო მდგომარეობას გულისხმობდა), ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, თორემ კაცმა არ იცის, უნივერსიტეტში რა ამბები დატრიალდება. ეს იყო სიგნალი იმისა, რომ უნივერსიტეტის დარბევა უკვე სწრაფი ტემპებით უნდა დაწყებულიყო. ამ გეგმის განხორციელებას მხოლოდ ჯავახიშვილის რექტორობიდან გათავისუფლება და თედო ღლონტის მოყვანა არ უშველიდა. ჯავახიშვილის გადაყენებიდან 2 წელი გავიდა, მაგრამ არსებითი არაფერი შეცვლილა. 1928 წლიდან დაიწყო დიდი დარბევა და მისი კულმინაცია 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იყო. დარბე-

ვა სხვადასხვა მეთოდით მიმდინარეობდა. პრაქტიკულად უნივერსიტეტი გაუქმდა. ეს გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს — საუნივერსიტეტო განათლება არასაჭიროდ იქნა მიჩნეული. ამის მთავარი მოტივი იყო ის, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ძველი პროფესურა დიდ ოპოზიციას წარმოადგენდა. მოსკოვის, ლენინგრადის (პეტერბურგის), კიევის, ოდესისა და სხვა უნივერსიტეტები ოპოზიციის კერას წარმოადგენდა და, ამიტომ, ისინი ინსტიტუტებად დაშალეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაიყო 4 ინსტიტუტად. ის დისკუსია, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, 1930 წლის დეკემბერში, პრაქტიკულად, უნივერსიტეტში კი არ ჩატარდა, არამედ პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემოიყვანეს ლექტორების სრულიად ახალი შემადგენლობა და ჩათვალეს, რომ ამით უმაღლეს სასწავლებელში ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრეები საერთოდ ამოძირკვეს. მაშინ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტი იყო, რომელიც მასწავლებლებს ამზადებდა. ამ „შტურმის“ მიუხედავად უნდა ითქვას, რომ 1930 წლის დეკემბრის დისკუსია ხელისუფლებამ მაინც წააგო. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს სხდომაზე აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლა, რომელთაც დაიცვეს ივანე ჯავახიშვილი.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, დისკუსიისას აკაკი შანიძემ, სხდომათა დარბაზში დამსწრეთა უხეში შეძახილების ფონზე, ივანე ჯავახიშვილი დაიცვა, თუმცა მას თავის მართლება მაინც მოუხდა. „მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩანჩხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა. მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ მონდომებული ვარ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში“, — განაცხადა მან. იყო თუ არა ეს თვითგადარჩენის ერთგვარი ტაქტიკა? თუ ეს ტირანიის წინაშე პიროვნული სისუსტის გამოვლენას ნიშნავდა?

— ამას სისუსტეს ვერ დავარქმევთ. აკაკი ბაქრაძეს უყვარდა ასეთი მაგალითის მოყვანა: კაცს სახლში ცოლ-შვილის გამოსაკვებად პური მიაქვს და მისდევს ძაღლების ხროვა. ამ კაცს შეუძლია, ძაღლების მოსაშორებლად მათ პური გადაუგდოს, მაგრამ ამით ცოლ-შვილი შიმშილით მოუკვდება. ჭკვიანი კაცი ძაღლებს პატარ-პატარა ნატეხებს უყრის, რათა სახლამდე მიაღწიოს და პურის დიდი ნაწილი შეინარჩუნოს. აი, ეს პრინ-

ციპი მოქმედებდა მაშინ. თავი უნდა გადაირჩინო, რადგან თუ ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტიდან გააძევენ, მისი საქმე გააგრძელო. აკაკი შანიძის გამოსვლაში ის კი არ იყო მთავარი, 5 წლიან გეგმას შევასრულებო, არამედ ის, რომ მან გაბედა და თქვა: მე ივანე ჯავახიშვილს არ დავნიხლავ და ამით კარიერას არ გავიკეთებო. 10 გარენარის მიერ უნივერსიტეტის დამაარსებლის დანიხვლას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ერთი დიდი მეცნიერის სიტყვას ჯავახიშვილის დასაცავად. ხელისუფლებამ წააგო პირველი დისკუსია იმ გაგებით, რომ იმ წლებში უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი პროფესურა. რაც შეეხება 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიას, მაშინ ეს პოლიტიკური კამპანია ხელისუფლებამ მოიგო, რადგან უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, განადგურებული იყო. ვინც დარჩა ძველი პროფესურიდან, ძალა აღარ ჰქონდა. ჩაკვდა ის იდეაც, რაც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა მოიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ 1934 წელს უნივერსიტეტი უკვე აღდგენილი იყო.

— **მაინც, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის უღალატო თანამოაზრე?**

— ძნელი სათქმელია. ყველა გმირი ვერ იბადება. ჯორდანო ბრუნოს ადგილზე 100-დან 99 გატყდებოდა. 1930 წლის დისკუსიიდან, ვთვლი, რომ აკაკი შანიძის და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლები გმირობის ტოლფასია. წყობილებისათვის რალაც რომ არ დაეთმოთ, არ შეიძლებოდა. მათ ივანე ჯავახიშვილის შეფასებისას არ დათმეს. სიმონ ყაუხჩიშვილი სხდომაზე ძალიან მოკლედ გამოვიდა, მაგრამ თქვა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ძალიან დიდი... წარმოუდგენელი იყო, ვინმეს ეთქვა: ჯავახიშვილი ყველაფერში მართალია, საბჭოთა წყობილება კი ყველაფერში მტყუანია. მას ხომ მაშინვე დაიჭერდნენ და ველარც დაიცავდა ჯავახიშვილს და მის იდეას. 1936 წელს აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დაწყებული საქმე სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა გააგრძელეს. მათაც მასწავლებელი და კოლეგა ნაწილობრივ დაიცვეს, ნაწილობრივ კი ხელისუფლებას მოუხადეს ხარკი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, სწორედ სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა გადაარჩინეს ივანე ჯავახიშვილის სკოლა. ისინი რომ წყობილებას დაპირისპირებოდნენ, დაიჭერდნენ, გადასახლებდნენ ან დახვრეტდნენ. მაშინ ვინღა გააგრძელებდა ივანე ჯავახიშვილის საქმეს? ვინ გაზრდი-

და ამდენ მონაფეს? ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის აღმავლობა რომ გაგრძელდა, ეს სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის და მათი მონაფეების დამსახურებაა, ანუ, ივანე ჯავახიშვილის სკოლის დამსახურებაა.

**— ამ დისკუსიების ფონზე ივანე ჯავახიშვილი, რეალურად, კიდევ უფრო დიდ გმირად აქციეს... ეს რამდენად შედიოდა კომუნისტური ხელისუფლების ინტერესში?**

— იოსებ სტალინის ნიჭი იმაში იყო, რომ თავის მოწინააღმდეგეს გმირად არ აქცევდა. როგორც ჩანს, სტალინთან ყველა მოქმედება და ტაქტიკა შეთანხმებული არ იყო. მხოლოდ უნიჭო პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეეძლოთ იმის გათვლა, როგორ აქცევდნენ მოწინააღმდეგეებს გმირებად და როგორ იქცეოდნენ თავად ანტიგმირებად. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სტალინი ივანე ჯავახიშვილის ფიზიკურ განადგურებას არ აპირებდა. სწორედ ამან იხსნა ივანე ჯავახიშვილი. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის განმაქიქებლებმა სტალინის აზრი, ცხადია, არ იცოდნენ, არ იცოდნენ ისიც, რომ საქართველოს ისტორიაში ანტიგმირებად დარჩებოდნენ.

**— თუ არის ცნობილი, სხდომების მსვლელობის პერიოდში რას აკეთებდა ივანე ჯავახიშვილი და როგორი იყო მისი რეაქცია?**

— ივანე ჯავახიშვილის რეაქცია ის იყო, რომ უნივერსიტეტში გამართულ დისკუსიაზე არ მოვიდა. ივანე ჯავახიშვილი მარტო დიდი მეცნიერი კი არა, დიდი ადამიანი, დიდი მოქალაქე იყო. ის მთელ ამ პროცესებს, ადამიანურ მანკიერებებს, მოღალატეობრივ პოზიციას და პატარა კაცობას ზემოდან დაჰყურებდა. მას ასეთ მდგომარეობამდე მისული უნივერსიტეტი ეცოდებოდა, თორემ, ის იმდენად დიდი ადამიანი იყო, რომ მისი მოწინააღმდეგეების მიმართ ბოლმა და ზიზღი არ შეიძლება, ჰქონოდა. ივანე ჯავახიშვილს ესმოდა, რომ ეს ადამიანები წყობილებამ დაამახინჯა. ყველა გმირი არ არის, ვერ უძლებს ასეთ ზემოქმედებას. ივანე ჯავახიშვილს, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა, განიცდიდა მისი „კოლეგების“ ბოლშევიკურ გავლენას, მაგრამ მას პროტესტი არ გამოუხატავს და ამის გამო მათ წინააღმდეგ არავინ დაურაზმავს. მან იცოდა, რომ იმდროინდელ ხელისუფლებასთან ბრძოლას არანაირი აზრი არ ჰქონდა.

— ივანე ჯავახიშვილმა 1936 წლის 10 აპრილს მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარისადმი გაგზავნილი განცხადებით უპასუხა, რომელშიც იგი გაუთავებელი დავის ფონზე უნივერსიტეტიდან საკუთარი ნებით წასვლაზე მიუთითებს. თავისი გადაწყვეტილებით დიდმა მეცნიერმა მტრის მიზანი აღასრულა. ამდენად, თქვენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო მისი ნაბიჯი?

— გამოცდებს ჩავიბარებ და მერე, ვინც გინდათ, ის მოიყვანეთო. მე კი ამა და ამ წლიდან სანკტებერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში ვმუშაობდი და პენსია დამინიშნეთო — ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული პროტესტი იყო. იგი დაემორჩილა უხემ ძალას. უფრო დიდ პროტესტად შეიძლება ჩავთვალოთ მისი რეაქცია მაშინდელი რექტორის კარლო ორაგველიძის სატელეფონო ზარზე, როდესაც მას ორაგველიძემ სახლში დაურეკა. ივანე ჯავახიშვილი ტელეფონთან არ მივიდა: — რატომ მირეკავს, მე ხომ აღარა ვარ უნივერსიტეტის თანამშრომელიო, უთქვამს მას. რექტორის ზარებს იგი საერთოდ აღარ პასუხობდა.

მისი უნივერსიტეტში მისვლა მაშინ არც შეიძლებოდა. ბოლოს რატომ წავიდა, იცით? მთვრალი სტუდენტები შეუყარეს ლექციაზე და სტვენა დაუწყეს. ჯავახიშვილმა მიატოვა ლექცია და წავიდა. კვლავ რომ გაეგრძელებინა მოღვაწეობა, უარესს გაუკეთებდნენ, დებოშსა და პროვოკაციას მოუწყობდნენ. ამდენად, უნივერსიტეტში მის მოღვაწეობას აზრი აღარ ჰქონდა. თანაც, თბილისის უნივერსიტეტი ისეთი კონტინგენტით შეივსო, რომ იმ ხალხთან თანამშრომლობა არ უნდოდა. ეს იყო ის კომკავშირული თაობა, რომელიც უნივერსიტეტში, ასე ვთქვათ, დიპლომის მისაღებად მოვიდა. თანდათან ამცირებდნენ თავადაზნაურთა, სამღვდელოების, ვაჭრების წრიდან აბიტურიენტთა მიღებას, რომლებიც უნივერსიტეტში მართლაც სასწავლებლად და არა დიპლომისთვის მოდიოდნენ.

— 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა წითელი რექტორი დახვრიტეს, ვინც კომუნისტებს ემსახურებოდა, ვინც ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ პარტიული დავალება წარბეუხრელად შეასრულა. რამ იხსნა დიდი ისტორიკოსი, რომელიც ანტიმარქსისტად, უნივერსიტეტის ბურჟუაზიულ კადრად განიხილებოდა?



ივანე ჯავახიშვილი საზეიმო ღონისძიების პრეზიდენტად

— ივანე ჯავახიშვილს ათგზის დახვრეტდნენ, ეს რომ ადგილობრივი ხელისუფლების ნება ყოფილიყო. მაგალითად, ფილიპე მახარაძემ, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დამდეგს, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ, როცა მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გამოვიდა, პირველი წერილი გამოაქვეყნა. მაგრამ, საბედნიეროდ, ფილიპე მახარაძეს და სხვებს ივანე ჯავახიშვილის ბედის გადაწყვეტას არ ეკითხებოდნენ. ასეთი ადამიანების ბედს იოსებ სტალინი წყვეტდა. ჯავახიშვილის თანამოაზრეს, კორნელი კეკელიძეს ისეთი ბიოგრაფია ჰქონდა (იციოთ, რომ იგი მღვდელი იყო და სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობდა), სტალინის მფარველობის გარეშე დახვრეტას ვერც გადაურჩებოდა... დიდი ქართველი მეცნიერები — შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები სტალინმა დაიც-

ვა. თორემ, ფილიპე მახარაძისთვის მათი საკითხის გადაწყვეტა რომ მიენდოთ, ცხადია, ვერ გადარჩებოდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი გადარჩა იმიტომ, რომ მოსკოვში მისი ფიზიკური განადგურების გადაწყვეტილება არ მიუღიათ. თბილისში კი ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ.

ისტორიაში, ზოგჯერ, არაპროფესიული ახსნა ეძლევა თსუ-ის ე.წ. წითელი რექტორების დახვრეტას. ერთი წუთით არ დაიჯეროთ, რომ ისინი ვინმემ უნივერსიტეტში გაფუჭებული საქმის გამო მოიშორა თავიდან. უნივერსიტეტს ულმობლად არბევდნენ და ეს რექტორები რაც უფრო მეტს გააფუჭებდნენ, სწავლების პროცესსა და სამეცნიერო მუშაობას რაც მეტად ჩაშლიდნენ, საბჭოთა ხელისუფლება მით უფრო კმაყოფილი იქნებოდა. ასე რომ, ე.წ. კომუნისტი რექტორები, დაწყებული თედო ღლონტიდან, დახვრიტეს არა იმიტომ, რომ მათ უნივერსიტეტში რაღაც დააშავეს. ისინი ცნობილი პარტიული მუშაკები იყვნენ. ივანე ვაშაყმაძე, კარლო ორაგველიძე, თედო ღლონტი და სხვები შეეწირნენ იმ ბრძოლას, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მიმდინარეობდა. ისინი, რატომღაც, ხელს უშლიდნენ ბერიას, არა როგორც რექტორები, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწეები. ზოგიერთი მათგანი უნივერსიტეტიდან წასულიც კი იყო და შემდეგ დახვრიტეს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველა წითელი რექტორი, ძირითადად, საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ბრძოლას შეეწირა.

ივანე ჯავახიშვილი კი, როგორც გითხარით, იმიტომ ვერ დახვრიტეს, რომ ამ საკითხს სტალინი წყვეტდა.

**— სტალინს ივანე ჯავახიშვილი პრობლემებს არ უქმნიდა? ხომ შეიძლებოდა, იმ პერიოდში, ივანე ჯავახიშვილი ერის წინამძღოლი გამხდარიყო?**

— საერთოდ, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი სტალინს პრობლემას უქმნიდა, ისევე როგორც უქმნიდნენ პრობლემას შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე და სხვა დიდი მეცნიერები, მაგრამ ყველა მათგანის დახვრეტა არ შეიძლებოდა. უნივერსიტეტებს სჭირდებოდა ლექტორები და მკვლევრები. ყოველივე ამას საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევდა. რაც შეეხება იმის შიშს, რომ ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკაში გაერეოდა და ერის წინამძღოლი გახდებოდა, სტალინს ნამდვილად არ ექნებოდა. ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკაში არ ერეოდა. სტალინს ივანე ჯავახიშვილისთანა მეცნიერები სჭირდ-



ივანე ჯავახიშვილი კოლეგებთან და მოსწავლეებთან ერთად

ებოდა. სწორედ ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ დაწერეს სტალინის შეკვეთით „საქართველოს ისტორია“. ეს წიგნი სტალინს იმისთვის სჭირდებოდა, რომ თავისი ოპონენტებისათვის დაემტკიცებინა, რომ იგი არ იყო ველური და უკულტურო ხალხის შვილი. ივანე ჯავახიშვილისა და მისი რანგის მეცნიერების ლიკვიდაცია რომ მოეხდინა, სტალინი ასეთ წიგნს ვერ მიიღებდა.

— ივანე ჯავახიშვილისნაირი პიროვნება რეალურად დაშორდა თუ არა იმ პერიოდის საზოგადოებას? სხდომებზე მინიშნებაც გაკეთდა, რომ წარმოშობით თავადისათვის მუშათა კლასი გახდა მიუღებელიო. ახერხებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ურთიერთობას პოსტრევოლუციურ საზოგადოებასთან?

— ივანე ჯავახიშვილისათვის მიუღებელი იყო ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სისტემა და იდეოლოგია, რომელიც საბჭოთა წყობილებამ მოიტანა. მან არ იცოდა, რა იყო პროლეტარიატი. ასეთი ცნებები მისთვის მიუღებელი იყო. ივანე ჯავახიშვილისათვის არ არსებობდა თავადი, აზნაური, მღვდელი, გლეხი და მუშა. ჯავახიშვილისთვის არსებობდა ნიჭიერი და უნიჭო სტუდენტი, არსებობდა კარგი და ცუდი ლექტორი... ჯავახიშვილს რა კავშირი უნდა ჰქონოდა მუშათა კლასთან ან გლეხებთან? როდესაც უმაღლეს სასწავლებელში კომკავ-

შირლები შემორეკეს, დიდი მეცნიერი მათი მოყვანის წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ ამბობდა: — ეს ხალხი ვერ შეძლებს იმ პროგრამის დაძლევას, რაც უნივერსიტეტშია დამტკიცებული. ზოგს საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული. იგი იცავდა რუსეთის იმპერიის დროს არსებული განათლების სისტემას, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში აბიტურიენტებს მხოლოდ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იღებდნენ. ეს იყო იმის წინაპირობა, რომ საუნივერსიტეტო პროგრამა დაეძლიათ. ივანე ჯავახიშვილი ამ პრინციპს იცავდა. მისი მოთხოვნა იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის კარი საშუალო განათლების მქონეთ შეეღოთ. ამ შემთხვევაში კი გამოდიოდა, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ შეძლებული ფენის შვილები მოვიდოდნენ, ანუ, თავადების, აზნაურების, მღვდლების, ვაჭრების შვილები... ეს ხელისუფლებას არ უნდოდა. ხელისუფლების ინტერესებში მუშებისა და გლეხების უნივერსიტეტში მოყვანა შედიოდა.

**— როგორც ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას როგორ შეაფასებდით? მისი მეთოდოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევარმა ქართველმა მეცნიერებმა არაერთგზის დაგმეს იმის გამო, რომ იგი მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით მუშაობდა და იყო ფაქტოლოგი, თითქოს განზოგადება არ შეეძლო... რატომ ებრძოდნენ მის მეთოდოლოგიას?**

— ივანე ჯავახიშვილმა განათლება რუსეთში მიიღო და, პრაქტიკულად, იგი იცნობდა ყველა იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მაშინ რუსულ საისტორიო სკოლაში არსებობდა. ივანე ჯავახიშვილი საზღვარგარეთ გერმანიაში გაემგზავრა, რათა იქ შეესწავლა სხვადასხვა საკითხი და, მათ შორის, ევროპული ისტორიოგრაფიის დონე. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, ორი დიდი ისტორიოგრაფიული სკოლის — რუსულისა და გერმანულის გავლენით ჩამოყალიბდა. მას უყენებდნენ ბრალდებას, რომ იგი არის ფაქტოლოგი და ვერ განაზოგადებს. ბოლშევიკები იმავე ბრალდებებს ყველა დიდ რუს ისტორიკოსს უყენებდნენ.

რატომ არ უნდოდათ ფაქტოლოგია? ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ანზოგადებდა მხოლოდ იმას, რაზეც ფაქტები მეტყველებდა. მას საერთოდ არ აინტერესებდა, ამ საკითხს როგორ უყურებდა მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმიტომ იყო ჯავახიშვილი საშიში, რომ იგი არავითარ შემთხვევაში ანგარიშს არ გაუწევდა იმას, რაც ის-

ტორიული ფაქტებიდან, ათასგზის შემონმებული წყაროებიდან არ გამომდინარეობდა.

კომუნისტური ისტორიოგრაფიის პრინციპი კი რა იყო? — რაც ფაქტებიდან გამომდინარეობს, იქიდან უნდა აიღო ის, რაც ეთანხმება მარქსს, ენგელსს, სტალინს, რაც არა — უნდა დამალო. ივანე ჯავახიშვილი კი არ მალავდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასასურველ ფაქტებს. ამიტომ კომუნისტებს ფაქტოლოგები არ უყვარდათ. ფაქტოლოგია არის სანყისი ისტორიული მეცნიერებისა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ისტორიკოსები არქივში მოძიებული 10 დოკუმენტიდან 7-ს ვერ აქვეყნებდნენ, რადგან პოლიტიკურ ხელისუფლებას უწევდნენ ანგარიშს. ასე დამახინჯდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, უნივერსიტეტიდან გაძევების შემდეგ მისი სახელის ხსენება აღარ შეიძლებოდა. ვინ გაბედავდა მასზე რაიმეს დაწერას ან მის პოპულარიზაციას? 1948 წელს ეკონომისტმა გიორგი გამყრელიძემ გამოაქვეყნა „თბილისის უნივერსიტეტის ისტორია (1918-1948 წწ.)“ წიგნი მაშინვე სპეცფონდში ჩაკეტეს.

ჯავახიშვილი ღმერთკაცი იყო მისი მონაფეებისათვის, მაგრამ მის შესახებ თავისუფლად წერა და საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც დიდხანს არ შეიძლებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, მე-5 ტომი, სადაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე იყო საუბარი, სასწრაფოდ აკრძალეს. მხოლოდ პირველი 4 ტომის წაკითხვა იყო ნებადართული. ჯავახიშვილი XX საუკუნის 50-60-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო ტაბუახსნილი. 1968 წელს, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის იუბილე აღინიშნა, მაშინ დაიწყო მასზე საუბარი. იმდროინდელმა სკოლის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა მაშინ გავიგეთ პირველი დეტალები თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან.

— **ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, იყო თუ არა უკომპრომისო საბჭოთა წყობილების შეფასებისას?**

— საბჭოთა წყობილება ყველა დიდ მეცნიერს — ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს ტირანად მიაჩნდათ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ხმამაღლა შეფასებას ვერავინ გაბედავდა. თუმცა, შენს შინაგან

რწმენას ვერ დამალავ, სადღაც მაინც წამოგცდება... ლექციაზე სტუდენტებთან შეიძლება თავი შეიკავო და არაფერი თქვა, მაგრამ პოზიცია სადღაც „გამოგააშკარავებს“. უნივერსიტეტში ერთ-ერთი სხდომის დროს სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილი იმის გამო დააბეზლა, რომ ივანეს ლენინის გარდაცვალების გამო სიხარული შეატყო. ასპირანტი ყალიჩავა სიტყვით გამოვიდა სხდომაზე: „რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი, როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრიგოლ წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები“ (სტილი დაცულია).

ყველა ჭკვიან კაცს უნდა გახარებოდა ლენინის, არა როგორც ადამიანის, არამედ როგორც ტირანისა და ამ ქვეყნის დამქცევის სიკვდილი. როდესაც ლენინი გარდაიცვალა, პეტერბურგს უწოდეს ლენინგრადი. მაშინ მიხეილ პოლივექტოვს სადღაც, შეიძლება სრულიად შემთხვევით, წამოსცდა: ეს ქალაქი პეტრე პირველის დაარსებულია და ლენინი რა შუაშიაო. ასე რომ, ჩვენი პროფესურა ლექციებზე საბჭოთა წყობილებას ვერ შეებრძოლებოდა, მაგრამ მეგობართა წრეში, ცხადია, ისინი არ მაღავედნენ თავიანთ განწყობასა და საბრძოლო სულისკვეთებას. არის ფასეულობები, რომელიც არც ერთ დიქტატორულ რეჟიმს არ მოსწონს და არიან ადამიანები, რომლებიც ვერ ცხოვრობენ ამ ფასეულობების გარეშე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ივანე ჯავახიშვილიც.

## წინო კაკულია

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ყურნალისტი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*



## უნივერსიტეტის წითელი პროფესორის ვიზიონომია

დრო, მოვლანა, ადამიანები

ივანე ჯავახიშვილს სამი პოლიტიკური რეჟიმის დროს მოუხდა მოღვაწეობა. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის იმპერიაში (1898-1917 წწ.), გააგრძელა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) და დაასრულა საბჭოთა საქართველოში (1921-1940 წწ.).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი ლამის სატუსალოში გამოკეტა მისი ცნობილი ნაშრომისათვის „ეროვნული და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ (1906 წ.). ნაშრომი რუსულ ენაზე დაიბეჭდა პეტერბურგში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ლეგალურად გამოცემულ ნაშრომში ქართველმა მეცნიერმა ამხილა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და აჩვენა თავისი ხასიათით ანტირუსული ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპები. ამ ნაშრომისთვის ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილს დაპატიმრებას უპირებდა, მაგრამ იგი გადაარჩინა წიგნის ყდაზე მითითებულმა სოციალურმა სტატუსმა, რომ წიგნის ავტორი თავადი იყო. ეს ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სხვა ნაშრომებთან ერთად („ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“) აიკრძალა და ისინი სპეც-ფონდში იყო ჩაკეტილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1919 წელს, როდესაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდათ მიღებული, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრად არ აირჩიეს. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ კი ივანე ჯავახიშვილი აიძულა მისივე თაოსნობით დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან გადამდგარიყო, ხოლო შემდეგ მას საპროფესორო მოღვაწეობაც

აუკრძალა. ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს უნივერსიტეტის ბაღის სიახლოვეს ცხენოსანი პოლიცია იყო მობილიზებული — ასეთი იყო ის გარემო, რომელშიც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა დიდ მეცნიერს.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილს მტრად არ მიიჩნევდა, მით უმეტეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლები-სათვის კი ივანე ჯავახიშვილი მტერი იყო. საბჭოთა ლიდერები-სათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკაში არ გარეულა. ამ შემთხვევაში მოქმედებდა პრინცი-პი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“. ძველი პროფესორის, ე.წ. „ბურჟუაზიული კადრების“ იდეური და ფიზიკური განადგურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ეს პროცესი იგეგმებოდა ისევე, როგორც ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. და აი, ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის კედლებში ორჯერ მოუწყვეს „გასამართლება“ — 1930 წელს და შემდეგ 1936 წელს. მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ მასალას ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მოწყობილი თავყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან.



**ღრმ:** 1930 წლის დეკემბერი.

**მოვლენა:** — საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა კონდრატიევშინის ანუ ე.წ. „ბურჟუაზიული კადრების“ (ძველი პროფესორისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების) წინააღმდეგ.

**აღამიანები:** — ივანე ვაშაყმაძე (საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, წითელი პროფესორი): „ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტია. განზოგადებას და სინთეტიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეტიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე

ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნანილობრივ ივანე ჯავახიშვილის მეოხებით ახლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები ინერებოდა, მაგრამ მათ ჰქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემომ-მების — გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფესორ ივანე ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივანე ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი — მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერული ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა. მაგრამ წინმსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახვევაა“.

**პეტრე შარია** (პროფესორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ლავრენტი ბერიას უახლოესი თანამებრძოლი): „არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვა და სხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდე ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. ისინი ეწვეიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთ პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოაშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი. მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური

საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამისი უნდა მივსცეთ“.

**ცხაკაია** (სტუდენტი): „მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფესორი ჯავახიშვილი თავისი მიმდევრებით. აქ ლაპარაკობდენ, რომ ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია. მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები აუცილებლად ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს არ მოგვცემს. ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყოს ნაჩვენები“.

**სიმონ ჯანაშია** (პროფესორი): „ამხანაგმა მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის... (ადგილიდან ისმის შეძახილი: არ არის საკმარისი! ტაში...).

**დემეტრაშვილი** (სტუდენტი): „რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაინყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეთ. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელეგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელეგენტის წრეში. ჩვენ თქვენ გიც-

ნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, თქვენ სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორც არის „შადური“, „დამპატიჟე“, ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (დარბაზში ხანგრძლივი ტაში). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის... საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის“.

**გაბუნია (სტუდენტი):** „აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორც არის ჯანაშია და სხვები. ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჯანაშიას აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჯანაშია არის ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და არა მარტო ფაქტების აღწერებით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფესორ ჯავახიშვილს. შემდეგ პროფესორ ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს, ე.ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან“.

**ნიკო ბერძენიშვილი (პროფესორი):** „მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივცემულმა მომხსენებელმა პროფესორმა ივანე ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე ადგილიდან პასუხობს: ჯავახიშვილის ჯგუფში!). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში. მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისათვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფესორ ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური

კონცეპცია (ადგილიდან შეძახილები: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!).

**მელაძე** (სტუდენტი): „როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვანარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს და თვითეულმა უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოამკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოამკარავება, რომლებიც ფიქრობდნენ ჯოჯოხეთის მანქანების დადგმას და რომლითაც ფიქრობდნენ, აეფეთებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი. ეხლა მე რეგლამენტი მითავდება, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ ლექტორებზე. მათ უნდათ, დაიცვან თავიანთი დისტრადიცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს...“

**ყალიჩავა** (ასპირანტი): „შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრიგოლ წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრევოლიუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და ნავალთ წინ სოციალიზმისაკენ“.

**ხარატიშვილი** (ასპირანტი): „პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარი დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც (დარბაზში ტაში)“.

**კონტრადიქციონასთან ბრძოლის შედეგი:** 1931 წლის 28 მაისს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დაითხოვეს „ძველი პროფესურის“ წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი.



**დრო:** 1936 წლის მარტი-აპრილი

**მოვლენა:** საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ, ანუ ძველი პროფესურის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება.

**აღამიანები:** — **კარლო ორაგველიძე** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ნითელი პროფესორი): „მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ჯავახიშვილის მიერ ისტორიული მოვლენების „მეცნიერული“ გაგებისა. ფაქიზმა ზნეობრივმა მოძღვრებამ, ქართველმა მონინავე საზოგადოებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოების ეს შეხედულება დიდად ამაღლებდა გლეხკაცობისა და ყმების ცხოვრების მძიმე ტვირთვის და პირადი შრომით მოპოებული ლუკმა-პურსა და ქონებას ზნეობრივი სიფაქიზის შარავანდედსა და კეთილშობილებას ანიჭებდა.“

ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ ამ ზნეობრივმა მოძღვრებამ არ დაარწმუნა მუქთახორა ფეოდალები იმაში, რომ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება გააკეთილშობილებდა მათ? მეორე მხრით, ბუნებრივი იქნება, პროფესორ ჯავახიშვილს ასეთი საკითხი დაეუსვათ: რომ ზნეობრივ მოძღვრებას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არ „გაეკეთილშობილებია“ გლეხკაცობა და ყმები, ვინ მისცემდა მათ ნებას, რომ არ ემუშავათ ფეოდალებისათვის?

განა ნათელი არ არის, რომ აქ ფაქიზი ზნეობრივი მოძღვრების გავრცელებითა და გავლენით იჩქმალება გლეხების საშინელი ექსპლოატაცია მემამულეების მიერ? განა ნათელი არ არის, რომ ზნეობრივი მოძღვრებით ცვლის პროფესორი ჯავახიშვილი ფეოდალების მხრივ იძულებას გლეხებზე და მათზე ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბატონობას?

აქ თვალსაჩინოდ მჟღავნდება ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას... ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის. ამას მოითხოვს ვითომ მეცნიერული მიუდგომლობა. სინამდვილეში, რა თქმა

უნდა, ასეთი მიუდგომლობა არ არსებობს. სინამდვილეში, თავისი ისტორიული კვლევის დროს ჯავახიშვილი ატარებს ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს. მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი — ფიქტიური.

რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა. ჯავახიშვილი არ ზოგავს ძალებს, რომ მთელი რიგი ქართველი მეფეები შესანიშნავ ფერებში დახატოს... ჯავახიშვილის თეორია ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში არამეცნიერული და აშკარად აპოლოგეტურია. ის გარკვევით დგას ბატონ-ყმობის სისტემის გამართლების ნიადაგზე — ცდილობს წარმოგვიდგინოს იგი იდილიურ ფორმაში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, როგორც ჰარმონიული სისტემა. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობას ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ ადგილი არ აქვს. ან რად უნდა ებრძოლათ გლეხებს თავისი მზრუნველებისა და მფარველების — პატრონების წინააღმდეგ? ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით ეს სულ გაუმართლებელი იქნებოდა და მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა... „მაგრამ ჯავახიშვილი, დგას რა თავის ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თვალსაზრისზე, უარყოფს სტალინის შეხედულებას. მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს. ჯავახიშვილს არ შეუძლია ისტორიული მასალებით დაასაბუთოს თავისი დებულება. პირიქით, ფაქტები, რომელთაგან ნაწილი თვით მას მოჰყავს თავის ნაშრომებში, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს“.

**ვ. ცინცაძე:** „პროფესორ ჯავახიშვილს ეტყობა (ობიექტურად) არასოდეს არ უცდია, თავი დაეხნია დახავსებული აზრებისაგან, თვალი გადაეკლო და პრაქტიკა მიეღო იმ უდიდეს ისტორიულ ცვლილებებისაგან, რომლითაც ხასიათდება ახალ საუკუნეთა პერიოდები... პროფესორ ჯავახიშვილს გათანაბრებული აქვს, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ ამჩნევს იმ ფეოდალურ სულით გაჟღენთილ და ბურჟუაზიული სახეებით შეფერადებული ჯგუფების არსებობას, რომლებიც მაშინ არსებობდნენ და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდნენ საზოგადოების შიგნით“.

**ნიკო ბერძენიშვილი** (პროფესორი): „ქართველი ერის ისტორიის ავტორი ტექნიკურ მომზადებულობით უეჭველად მაღალი ტიპის ისტორიკოსია. ევროპულ და აღმოსავლურ ენ-

ების მცოდნე, ფილოლოგი და ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი, ფრთხილი და დინჯი მკვლევარი — ის სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის შენობის საშენი მასალა, ჟამთა სიღრმის ბურუსში მიმამული ფაქტები აღმოეჩინა, გამოემჟღავნებინა. პროფესორი ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი და საპატიოა. მან პირველმა გაბედა და საქართველოს ისტორიის ძველი ხანა გასწმინდა ზღაპართა ბურუსისაგან, რომელიც აგრე სქლად შემოხვეოდა მას. მაღალ ტექნიკური ხერხებით მოიპოვა და დაადგინა აურაცხელი ფაქტები.

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, მის მიერ მოპოვებულ ისტორიულ ფაქტებს თუ დადგენილ მოვლენებს კრიტიკულად უდგებით და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით ზოგს მივიღებთ, ზოგს კიდევ უკუვაგდებთ ან გადავაფასებთ და შევავსებთ; მრავალ ახალსაც აღმოვაჩინებთ იქ, სადაც მან ეს ვერ შენიშნა (და არც შეეძლო შეენიშნა: ფაქტის მოპოვება ხდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რაც არსებობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას ეძებ...).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე.

მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენი დღევანდელი სხდომა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა...

„ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი ლვიძლი შვილია ნვრილ ბურჟუაზიულ-ქართულ ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტურ იდეების მატარებელია. კვლევის ანალიტიკურ-ინდუქტიური მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო“.

**ლუკა ციხისთავი** (წითელი პროფესორი, ფილიპე მახარაძის თანამოაზრე): „ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივანე ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს“.

**ჯინჭველაშვილი** (ისტორიკოსი): „მიუხედავად მრავალი შრომებისა, რომელიც დასწერა ჯავახიშვილმა, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში, ვერ მოგვცა ჩვენი ხალხის ნამდვილი, კლასთა ბრძოლის ისტორია. მას, თითქმის გამოუკლებლივ, აღწერილი აქვს ყველა „მეფეების“ ისტორია, მათი თავგადასავალი, ომები, დეტალურათაც კი, მაგრამ მთავარი, რაც ამოდრავებს ისტორიას, კლასთა ბრძოლა, რომლითაც ხასიათდება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ხალხთა ცხოვრება, მთლიანად დავინწყებულა“.

**სიმონ ჯანაშია** (პროფესორი): „მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო წამოყენებული პროფესორ ჯავახიშვილის შესახებ. ესლა სასაცილო იქნებოდა დაგვეწყო იმის მტკიცება, რომ ჯავახიშვილი მარქსისტი არ არის, ამას არც თვითონ ამტკიცებს და არც არავის სჯერა, რომ ის მარქსისტი არის.“

რა თქმა უნდა, საქმე ამაში არ არის, არამედ საქმე იმაშია, რომ, როგორც აქ სამართლიანად იყო აღნიშნული, ჩვენ ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მივიდეს ჯავახიშვილთან. ჩვენ ხომ ჯავახიშვილს ნილილისტურათ ვერ შევხედავთ, რადგან ნილილიზმი ჩვენი მეთოდი არ არის.

მაშ როგორღა უნდა მივიდეთ მასთან? ამის შესახებაც იყო აქ ნათქვამი და მეც იგივე შემძლია გავიმეორო. ჩვენ ყოველთვის ვესაუბრებით აუდიტორიას და კონკრეტულ პრაქტიკულ მასალაზე (აი, ეს არის ჩვენი მეთოდი) უჩვენებთ, თუ როგორ უნდა მივიდეთ ჯავახიშვილთან, რა უნდა მივიღოთ მისგან, რა არ უნდა მივიღოთ და რაც უნდა მივიღოთ, როგორ უნდა მივიღოთ.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის. საკმარისია, მარტო ჩამოვთვალოთ ის შრომები, რომლებიც მას დაუწერია ან შეხედოთ ნიგნოსაცავში იმ თაროებს, რომლებზედაც ჯავახიშვილის ნიგნები აწყვია, რომ დაინახოთ, თუ ამ ადამიანს რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია, რომლის ნაყოფი ასეთი მრავალრიცხოვანი ტომების სახით არის ჩვენს წინაშე წარმოდგენილი.

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ პროფესორ ჯავახიშვილის დამსახურება მდგომარეობს მხოლოდ ფაქტების შეგროვებაში. არა ერთი შეხედულება განზოგადებულად აქვს მოცემული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. არ იქნებოდა ეს სწორი ორის მხრივ. ეს ქმნის, ჯერ ერთი, ისეთ ყალბ შეხედულებას, რომ

ყველა ის ფაქტი, რომელიც დაგროვილია ჯავახიშვილის მიერ, სწორი ფაქტია და უნდა მივიღოთ ისე, როგორც ჯავახიშვილს აქვს მიღებული. მეორე, ეს ჰქმნის ყალბ შეხედულებას, თითქოს ამიერიდან ფაქტიურ სფეროში აღარაფერია გასაკეთებელი“.

**გ. ჯანელიძე:** „მე ვფიქრობ, რომ კამათის მთავარი დანიშნულება არის, რომ მთელი სიღრმით გამოაშკარავოს საქართველოში პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სკოლის ბურჟუაზიულ ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის ბუნება, გამოამჟღავნოს ჩვენი სხვა ისტორიკოსების მუშაობაშიაღ დეფექტები და დასახოს ამოცანები მომავალში სწორი მუშაობისათვის, საქართველოს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნისათვის. ცხადია, ამ დიდ საქმის შესრულებას ბურჟუაზიულ პროფესორებს ვერ მივანდობთ, ჩვენი ისტორიის საკითხებზე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ პროფესორების და, კერძოდ, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მუშაობამ ვერ მოგვცა ნამდვილი „საქართველოს ისტორია“, სწორედ ისეთი ისტორია, რომლის შინაარსს საგვარეულო წესწყობილების დანგრევის შემდეგ კლასთა ბრძოლა წარმოადგენს, ისტორიის, რომელიც რამოდენიმე ათასი წელი გრძელდება და მდიდარია ამ შინაარსით. ამის მიზეზი ის არის, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ერთგულად, თანმიმდევრობით დაადგა იმ გზას, რომლითაც მისი კლასი მიდიოდა. ის გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი გახდა. მართალია, გაბატონებულ კლასმა არა ერთი და ორი გამოჩენილი რევოლუციონერი ისტორიკოსი მისცა პროლეტარიატს, მაგრამ მათ რიცხვში არ არის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. ის, პირიქით, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი კლასის“.

**სიმონ ყაუხჩიშვილი (პროფესორი):** „პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მუშაობა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების საკითხებისათვის უაღრესად საჭირო საქმეს წარმოადგენს ჩვენთვის. არც იმას ვფიქრობთ, როგორც ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგი აღნიშნავდა, თითქოს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი იმიტომაც არის დასაფასებელი, რომ მას, სხვა არა იყოს რა, დიდი ფიზიკური შრომა გადაუტანია. არც იმას ვიზიარებ, როგორც ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ფაქტებს სრულიად ვერ ენდობა ადამიანი“.

**ტალახაძე** (წითელი პროფესორი, 1921 წლიდან თბილისის კომუნდანიტი, შემდეგში დასავლეთ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მთავარი პროკურორი,



ნიკო ბერძენიშვილი



სიმონ ჯავახია



სიმონ ყაუხჩიშვილი

სამეულის ნევრი): „პროფესორი ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჟი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს განყვიტოს პროფესორ ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში. ასე რომ, პროფესორ ჯავახიშვილის გავლენა არსებობს არა მარტო ძველი საზოგადოების ისტორიკოსებზე, არამედ არსებობს მათზედაც, ვისაც სურს გააკრიტიკოს ჯავახიშვილი და გადავიდეს მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე“.

**დღვილავა:** „ი. ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, წარმოადგენს ფეოდალურ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის ისტორიკოსს. არ შეიძლება ითქვას, რომ ის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ისტორიკოსია, არამედ მასში არის დიდი დოზა წმინდა ფეოდალურ, მემამულურ, პომეშჩიკურ შეხედულებების, რასაც გვერდს ვერ აუვლით, როდესაც ვიხილავთ მის ნაწარმოებებს“.

**1936 წლის დისკუსიის შედეგი:** ივანე ჯავახიშვილი პროტესტის ნიშნად ითხოვს უნივერსიტეტიდან გათავისუფლებას და საქართველოს სსრ განათლების კომისარს წერს შემდეგი შინაარსის წერილს: „მას შემდგომ, რაც ტ. ს. უ. რექტორი პროფ. კ. ორაგველიძე და სასწავლო ნაწილის პრორექტორი დოც. გრ. ჯანელიძე უნივერსიტეტში საჯარო სხდომებზე ბილეთებით

მონვეულ მრავალრიცხოვან დამსწრე საზოგადოებას და მათ შორის ჩემ მსმენელ სტუდენტებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყველა ნაშრომის უვარგისობას უმტკიცებდნენ და ჩემი, ვითარცა მეცნიერისა და უნივერსიტეტის პროფესორის, სახელის გატეხას გულმოდგინეთ და გააფთრებით ლამობდნენ იმას გარდა, რომ ჩემს მოღვაწეობას უნივერსიტეტში ყოველგვარი აზრი დაეკარგა, ასეთ პირობებში უნივერსიტეტში ჩემი დარჩენაც ჩემი ადამიანური ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია. ამიტომ ვალად ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ამ სემესტრში, მაისის დამდეგს, ლექციების გათავებისთანავე ჩემს, ვითარცა უნივერსიტეტის პროფესორის, მოვალეობას დამთავრებულად ჩავთვლი და, გთხოვთ, რომ ამიერითგან უნივერსიტეტის პროფესორობისაგან განმათავისუფლოთ, და თანაც ეს გარემოება უნივერსიტეტის რექტორს აუწყოთ, რომ ჩემ მიერ ნაკითხული კურსების გამოცდების ჩასაბარებლად ის პირნი დანიშნოს, რომელნიც ყველაფრით ჩემზე უკეთ მცოდნედ მიაჩნია.

მოგართმევთ რა უნივერსიტეტის პროფესორობისაგან ჩემი გადადგომის ამ განცხადებას, ვფიქრობ, რომ 1899 წლითგან მოყოლებული 38 წლის განმავლობაში პეტერბურგისა და ტფილისის უნივერსიტეტებში სამსახურის გამო, კანონით პენსიის მიღების უფლება უნდა მქონდეს. თუ მე არ ვცდები, გთხოვთ, სათანადო დაწესებულების წინაშე შუამდგომლობა აღძრათ, რომ კანონით კუთვნილი პენსია დამენიშნოს“.

**პანტაზი გურული**

*ისტორიკოსი, პროფესორი*

*„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

7


## ქართული მეცნიერების პატრიარქი

*„ივანე ჯავახიშვილია ქართველოლოგიის  
ალფაცა და ომეგაც. ასეთი მეცნიერები ევრო-  
პაში მხოლოდ რენესანსის დროს იყვნენ“*

მარტონ იშტვანოვიჩი

უნივერსიტეტის გახსნის გამქილიკებელთ და პესიმისტურ-ად განწყობილთ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაზე საერთო მოსაზრება ჰქონდათ და ღიად აცხადებდნენ, რომ მეცნიერთა მწირი რესურსის, მეცნიერული საფუძვლების არქონისა და ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობის პირობებში უნივერსიტეტის დაარსება საფუძველშივე განწირული იყო. უნივერსიტეტის იდეით შეპყრობილმა ივანე ჯავახიშვილმა ამ ამოცანის სირთულესაც გაართვა თავი და ქართული მეცნიერების განვითარებისთვის მრავალმხრივი კამპანია წამოიწყო. ის, როგორც მეცნიერი, თავად ჩაუდგა სათავეში თითქმის ყველა დარგის ისტორიის კვლევას. ამაზე მეტყველებს მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რაც ცალკე განსჯის თემაა.

ივანე ჯავახიშვილი მთელ ქართველ ერს ჰყავდა. მან თითქმის ყამირ მინაზე აალორძინა ქართული მეცნიერება, განავითარა ისტორიოგრაფია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ქართული



სამართლის, ეკონომიკისა და მუსიკის ისტორია; დაადგინა ქართველი ერის განვითარების ისტორიული ეტაპები, დააფუძნა კლასიკური ფილოლოგია და ენათმეცნიერება... იგი ერის წინამძღოლია, რომელმაც ისტორიის კვლევით მომავალს დაანახა, რა განძი გვექონია, რა ფესვებზე ვდგავართ და საით უნდა წავიდეთ...

მეცნიერული ისტორიოგრაფიისთვის საფუძვლის ჩაყრას და მის განვითარებას დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებები, საისტორიო საზოგადოებები და პროფესიონალ ისტორიკოსთა მთელი არმია ემსახურებოდა. საქართველოს სინამდვილეში კი ამ დიდი პრობლემის გადაჭრა, ფაქტობრივად, ერთმა პიროვნებამ — ივანე ჯავახიშვილმა იკისრა.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ დამსახურებებს დღეს ყველა დიდი მეცნიერი აღიარებს და მიიჩნევს — რომ არა დიდი ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს არ ექნებოდა ესოდენ განვითარებული მეცნიერება და მეცნიერული ტერმინოლოგია; რომ არა ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს არ ექნებოდა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე უნივერსიტეტი, სადაც მუდამ-ჟამს ტრიალებდა თავისუფლების წყურვილით ანთებული მოაზროვნე თაობა, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

## ივანე ჯავახიშვილი და ისტორიოგრაფია

ივანე ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი, დღესაც ამოუწურავია. არ არსებობს დისერტაცია ქართველოლოგიურ და ისტორიოგრაფიულ მიმართულებებში, რომელშიც მოხმობილი არ იყოს ჯავახიშვილისეული დასკვნა ამა თუ იმ საკითხზე. მეცნიერები აღიარებენ, რომ, თითქმის საუკუნის შემდეგაც კი, შეუძლებელია, გვერდი აუარო ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო დებულებებს. მისი კრიტიკული მეცნიერული ალლო შეეხო საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ეტაპს და მნიშვნელოვან მოვლენას. მის ფუნდამენტურ ნაშრომს „ქართველი ერის ისტორია“, რომელიც 1908-1913-1924 წლებში ეტაპობრივად გამოიცემოდა, წინ უძღოდა ისტორიის საკითხებზე სხვადასხვა ნაშრომის გამოცემა. იგი სწავლობდა ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობას, საქართველოს სამეფო ტახტის

მემკვიდრეების — მეფის ძე დავითისა და ბატონიშვილ იულონის ცხოვრებას, საქართველოს მეფეების ისტორიასა და ქართველი ერის განვითარების ისტორიულ ეტაპებს. ივანე ჯავახიშვილი აანალიზებდა საქართველოს მეფეების უფლებების ისტორიას (1905 წ.); ზნეობრივი მოძღვრების ისტორიას (1906 წ.); ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას (1907 წ.). ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, არ დარჩა მიმართულება, რომელზეც ივანე ჯავახიშვილს ნაშრომი არ შეექმნა. ბევრი მათგანი დღესაც ფუნდამენტურად მიიჩნევა.



აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე** ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობას და დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე სრულიად უნიკალურ მოვლენად მიიჩნევს და ასახულებს, რომ მან ქართული მეცნიერების განვითარებით სრულიად ახალი ერა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ინტერვიუ, რომელიც მარიამ ლორთქიფანიძესთან ჩავწერეთ, აქტუალურ თემებს შლის.

— **ქალბატონო მარია, ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე მართლაც განუზომელია, რადგან მან თითქმის ყველა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერულ ისტორიას ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ მაინც, ის პირველ რიგში ისტორიკოსი იყო და ყველაზე მეტი ამ დარგს დაუტოვა. როგორ შეაფასებთ ივანე ჯავახიშვილის, როგორც ისტორიოგრაფის, როლს ქართულ მეცნიერებაში?**

— როდესაც ივანე ჯავახიშვილმა თბილისის პირველი გიმნაზია დაამთავრა, მას თავისი გზა უკვე გარკვეული ჰქონდა. იგი პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებაზე ჩაირიცხა ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით, რომელსაც, მაშინ, სათავეში ალექსანდრე ცაგარელი და, შემდეგ, ნიკო მარი ედგნენ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი და მონინავე ფაკულტეტი იყო, მაგრამ, რადგან ითვლებოდა, რომ ეკლესიის ისტორიაში სპეციალისტი არ ჰყავდათ, საეკლესიო სამართლის

შესასწავლად ივანე ჯავახიშვილი გერმანიაში ცნობილ მეცნიერთან — ჰარნაკთან გაგზავნეს. იქ მან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა — გერმანულად თარგმნა „აბო ტფილელის მარტვილობა“ და „ეესტათი მცხეთელის მარტვილობა“. ამ ნაშრომების გამოცემით ევროპაში ცხადი გახდა, რომ ქართულ მწერლობაზე, ქართულ კულტურაზე, ქართულ აგიოგრაფიაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

1902 წელს ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მართან ერთად, ქართული ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის მიზნით გაემგზავრა სინას მთაზე, სადაც დიდხანს იმუშავა. საინტერესო დეტალია, რომ იქ სწორედ მან მიაკვლია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერს.

წარმოიდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მეცნიერისთვის ასეთი მასალის აღმოჩენა, მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა ეს ხელნაწერი დაუთმო ნიკო მარს, რომელმაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესანიშნავი გამოცემა გააკეთა თავისი ფილოლოგიურ-ისტორიული კომენტარებით. „გრიგოლ ხანძთელის“ ხელნაწერის ნიკო მარისთვის გადაცემით ივანე ჯავახიშვილმა მასწავლებლისადმი პატივისცემა გამოხატა, მასში არსებობდა მეცნიერული კეთილსინდისიერების განცდაც — იგი მიიჩნევდა, რომ ნიკო მარი უკეთ შეძლებდა ამ ხელნაწერის გამოცემას.

ერთი რამ უნდა ვთქვა — რუსეთში ყოფნის დროს, ოქტომბრის რევოლუციამდე, ივანე ჯავახიშვილმა 40-მდე ნაშრომი გამოსცა. აქედან სულ რამდენიმე შეიქმნა და დაიბეჭდა რუსულად. მაგალითად, მან რუსულად დაწერა საენციკლოპედიო და საცნობარო ნაშრომები და სამაგისტრო დისერტაცია, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა. რაც შეეხება თავის ფუნდამენტურ ნაშრომებს, მათ ივანე ჯავახიშვილი საქართველოში ქართულად ბეჭდავდა. კერძოდ, აქ დაიბეჭდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი ტომი, აქ დაიწყო მან „ქართველი ერის ისტორიის“ და „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვაც. ამით იგი ნიადაგს ამზადებდა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, რადგან ეს იყო მისი მიზანი.

— **ცნობილია ივანე ჯავახიშვილის კრიტიკული დამოკიდებულება ისტორიული წყაროების მიმართ. როგორ უნდა გავიგოთ ეს, რატომ მიიჩნევდა იგი წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას სამეცნიერო მუშაობის ამოსავალ წერტილად?**

— სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, გეტყვით, რომ ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გახლავთ სერიული გამოცემა: „საქართველოს ისტორიის წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. ამ სერიის პირველი წიგნი იყო „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. თავად ბატონმა ივანემ ამ წიგნის მეორე გამოცემა 1922 წელს მოასწრო. შემდეგ, 1942 წელს, სიმონ ჯანაშიამ დაუმატა მას 1922 წლიდან 1942 წლამდე გამოცემული წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. 1978 წელს კი გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეული, რომლის რედაქტორი მე გახლდით და მეც დავუმატე მას გარკვეული საკითხები.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულებას ისტორიის კვლევის მეთოდების მიმართ, მოგეხსენებათ, რომ ჟამთააღმწერლების მიერ ძველად დანერგილი ისტორია შუა საუკუნეებში ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა. ვინც ისტორიას წერდა, ის ან გადაიწერდა წინამორბედისგან (მაშინ პლაგიატის ცნება არ არსებობდა), ან უკვე არსებული მასალის რედაქტირებას გააკეთებდა და წერას გააგრძელებდა. ევროპაში საქართველოზე გაცილებით ადრე დაიწყო მუშაობა საისტორიო მეთოდების კვლევის მიმართულებით. სწორედ ევროპელმა მეცნიერებმა დასვეს წერილობითი წყაროების კრიტიკის საკითხი. XIX საუკუნეში ეს მეთოდი რუსეთში უკვე დანერგილი იყო. საქართველოში კი, მიუხედავად იმისა, რომ მოღვაწეობდა თითო-ოროლა ისტორიკოსი, რომელიც ზოგიერთი საკითხის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომის მეთოდი არ არსებობდა. ქართულ მეცნიერებაში ივანე ჯავახიშვილმა შემოიტანა ეს მეთოდი. ანუ თუ ერთ წყაროში აღწერილია რაიმე ისტორიული მოვლენა, სასურველია, ის სხვა წყაროთიც იყოს დასაბუთებული, ან მას მხარს უჭერდეს უცხოური წყაროები. აი, ეს არის ის მეთოდი, რის გამოც ჩვენ ივანე ჯავახიშვილზე ვამბობთ, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ახალი ეტაპი შექმნა.

უნდა გითხრათ, რომ ივანე ჯავახიშვილი, მართლაც, ძალიან კრიტიკული იყო და არასოდეს დაუჟინია, რაც მე ვთქვი, ისაა ჭეშმარიტებაო. მაგალითად, მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, რომლის ხელმძღვანელიც თავადვე ბრძანდებოდა, გახსნეს II საუკუნის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ბეჭედი წარწერით „პიტიახში“. ეს წარწერა წაიკითხეს ჯერ სიმონ

ყაუხჩიშვილმა, შემდეგ — სიმონ ჯანაშიამ. მათ უთხრეს ივანე ჯავახიშვილს — თქვენს ნაშრომში ბრძანებთ, რომ პიტიახის ინსტიტუტი საქართველოში IV საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ, აი, აღმოჩნდა ბეჭედი, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ინსტიტუტი II საუკუნიდან უკვე არსებობდაო. სწორედ მაშინ თქვა ივანე ჯავახიშვილმა მეცნიერებისთვის ყურადსაღები ისტორიული სიტყვა: „არქეოლოგიურმა გათხრებმა და ახალმა უცხოურმა თუ ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შეიძლება ბევრი ისტორიული ფაქტი ახლებურად დაგვანახოს“. იგი იყო ნამდვილი მეცნიერი, რომელიც არ ებლაუჭებოდა საკუთარ მოსაზრებას და არ აცხადებდა, რომ, გინდა თუ არა, რაც მე ვთქვი, ის არის მართალიო. აღმოჩნდებოდა რაღაც ახალი? იგი ამას ოსტატურად იყენებდა.

ასევე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც სწორედ იმას ადასტურებს, რომ ზოგიერთი მეცნიერული მოსაზრება შესაძლებელია ახალმა წყაროებმა შეცვალოს. ივანე ჯავახიშვილმა თავის დროზე ძალიან გააკრიტიკა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული პირველი თხზულება „მეფეთა ცხოვრება“, რომელიც XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის სახელთანაა დაკავშირებული. ივანე ჯავახიშვილმა მასში წარმოდგენილი ბევრი ცნობა არ მიიჩნია მართებულად, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა წყაროებმა და არქეოლოგიურმა გათხრებმა „მეფეთა ცხოვრებაში“ გადმოცემული ცნობების მართებულობა დაადასტურა. ამის შემდეგ გაჩნდა ივანე ჯავახიშვილის ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ქართული წერილობითი წყაროებისა და, საკუთრივ, „ქართლის ცხოვრების“ მიმართ.

**— ივანე ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა საკითხში. დღევანდელი გადასახედიდან, წყაროებზე დაყრდნობა სწორი მეცნიერული მიდგომა იყო, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მას სწორედ ამის გამო აკრიტიკებდნენ. რა იყო ამ კრიტიკის საფუძველი?**

— დიახ, მას დიდ დანაშაულად უთვლიდნენ, რომ ფაქტოლოგი გახლდათ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი იძულებული იყო, დაედგინა ფაქტები, რადგანაც ქართულ მეცნიერებაში მანამდე ასეთი რამ არსებობდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ივანე ჯავახიშვილი მარტო ფაქტებს კი არ ადგენდა, როგორც

მას ბრალად დასდეს, არამედ ამ ფაქტების ანალიზსაც იძლეოდა. მას თავისი შეხედულება ჰქონდა ქართული ისტორიისა და ისტორიული აზროვნების განვითარების პერიოდიზაციაზე, ასევე, ქართული კულტურის საკითხებზე. არ არსებობს დარგი, რომელზეც მას თავისი აზრი არ გამოეთქვას. რასაკვირველია, მის მიერ წამოყენებული ყველა მოსაზრება გასაზიარებელი არ არის, მაგრამ როცა წინამორბედ მოღვაწეს ვაფასებთ, მისი ღვაწლი მეცნიერების დღევანდელი დონით კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ იმ დონით, რა პერიოდშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.


— **ალბათ სწორედ ამ წყაროების საფუძვლიანი გაანალიზების შემდგომ შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები, რომელიც ქართველი ერის ისტორიის გარდა, შეეხო ქართული სამართლისა და ეკონომიკის ისტორიასაც...**

— ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ივანე ჯავახიშვილის თვალთახედვის არეში ბევრი მეცნიერული მიმართულება მოხვდა. ორიოდ სიტყვით ვახსენოთ ეს მიმართულებებიც. მაგალითად, მისი ფუნდამენტური ნაშრომია „ქართული სამართლის ისტორია“. ეს არის ტიტანური ნაშრომი, რადგანაც მას უხდებოდა ყველა სამართლებრივი ტერმინის დადგენა და შემდეგ უკვე ქართული სამართლის, როგორც სოციალური მოვლენის, განვითარების საფეხურების აღწერა.

ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორია“. მან დაადგინა მეურნეობის დარგები, ვაზისა და ხორბლის აღმნიშვნელი ტერმინები... წარმოიდგინეთ, რამხელა შრომა გასწია ამ ტერმინების დასადგენად და შემდეგ ისტორიის ეტაპების გასაანალიზებლად.

უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა უნივერსიტეტის სწავლების პროგრამის შედგენა, ივანე ჯავახიშვილმა პროგრამაში შეიტანა საქართველოს ისტორიის დამხმარე დისციპლინები — ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა და სხვ. მან დამხმარე დისციპლინების სახელმძღვანელოებიც თავად გამოსცა. ვიმეორებ, შესაძლოა, მისი დებულებებიდან დღეს ბევრი რამ საკამათო იყოს, მაგრამ ამ მიმართულებებით ეს პირველი სერიოზული ნაშრომები იყო.

დღეს განსაკუთრებით საკამათოა ქართული დამწერლობის ისტორია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ძველი წელთაღ-



რიცხვის VII საუკუნეს მიანერს და ამბობს, რომ ქართული ასომთავრული ფინიკიურიდან და არამეულიდან არის წარმოშობილი. იგი წერს, რომ, მართალია, ჩვენ ჯერ ასომთავრულით შესრულებული არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არქეოლოგიური გათხრები აღმოაჩენს ბევრ საგანძურს და მათ შორის ასომთავრული დამწერლობის ნიმუშებსაცო. მას ამის თქმის და დანერის მორალური უფლება ჰქონდა, რადგან მაშინ საქართველოში არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ

წარმოებდა. დღეს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია წინაქრისტიანული ხანის ბერძნული, არამეული და ებრაული წარწერები, მაგრამ, სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. ივანე ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას მიმდევრები დღესაც ჰყავს.

— ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ივანე ჯავახიშვილმა, ფაქტობრივად, ყამირზე დაიწყო ქართული მეცნიერების აღმოცენება. საკვირველი ისაა, რომ მან ამდენ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი და ამდენი ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა. თქვენი აზრით, რა ხერხით შეძლო ერთმა, თუნდაც გენიალურმა ადამიანმა ამის გაკეთება?

— თავის დროზე ეს კითხვა მეც დავუსვი ბატონ სიმონ ჯანაშიას. როგორც მან ამიხსნა, ეს იმის დამსახურება იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი მუშაობდა საბარათო სისტემით, რომელიც მას ნიკო მარმა ასწავლა. იგი კითხულობდა წყაროს და მასში აღმოჩენილ სიახლეს ერთ ბარათზე დაიტანდა. მაგალითად, ვთქვათ, შეხვდა ერთგან სიტყვა „გლეხი“, ამოწერდა ყველაფერს ამ სიტყვის გარშემო — თარიღებს, წყაროს, მნიშვნელობას და დადებდა. შემდეგ თუ კიდევ სხვაგან შეხვდებოდა ამ სიტყვას, ახალ მონაცემებსაც იმ ბარათს მიანერდა და ასე აგრძელებდა.

საბოლოო ჯამში იგი იღებდა უამრავ ისტორიულ წყაროს და ამ გზით მოჰყავდა სისტემაში მოკვლევული მონაცემები.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, ერთ ადამიანს ამის გაკეთება მხოლოდ ნიჭიერების და გასაოცარი შრომის უნარის შედეგად შეეძლო. ბატონი ივანე თავაუღებლივ მუშაობდა მაშინაც კი, როცა ავად იყო.

## ივანე ჯავახიშვილი და არქეოლოგია

ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება საისტორიო წყაროების მიმართ მის სამუზეუმო მოღვაწეობაშიც ვლინდება. 1931 წლიდან, როცა იგი საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა, მუდმივად ზრუნავდა, სამუზეუმო ექსპონატად ექცია ყველა ის ნივთი, რაც ქართველი ერის კულტურულ-ისტორიულ წარსულს გამოამზეურებდა. ამ მიზნით მას აუცილებლად მიაჩნდა მუზეუმში საისტორიო განყოფილების დაარსება. წერილში, რომელსაც იგი 1934 წელს მუზეუმის დირექტორს წერს, ამ განყოფილების მოვალეობას ასე აყალიბებს: „ისტორიული განყოფილება უნდა შექციებად დაიყოს, რომელთაგანს თვითეულს თავის დარგი ექმნება. პირველ შექციას საგნად უძველესი, კლასთა უწინარესისა და კლასთა დასაწყისის ხანის კულტურა ექმნება. მეორე შექციას საშუალო საუკუნეების და განახლების ხანის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურისა და კერძო ყოფა-ცხოვრების ნივთიერი ნაშთის შეგროვება, შესწავლა და გამოფენა. მესამე შექციას საჭურველი და საბრძოლველი იარაღები, მეოთხე შექციას ბეჭდები და საფას-საზომები და მეხუთეს — უახლესი ისტორიის მიმდინარეობის ასახვა“.

ივანე ჯავახიშვილის დასაბუთებული მოთხოვნით, მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება. იგი 1936 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და მიაჩნდა, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლევული ახალი ნივთმტკიცებები აქტიურად უნდა გამოეყენებინათ მეცნიერებს, როგორც წყაროები. იგი თავადაც ხელმძღვანელობდა ზოგიერთ არქეოლოგიურ გათხრებს.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ივანე ჯავახიშვილის დამსახურებად მიიჩნევს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დაწ-



ივანე ჯავახიშვილი ნიკო მართან ერთად ანისის გათხრებზე

ყებას და მცხეთა-არმაზის გათხრებისას აღმოჩენილ არაერთ უძვირფასეს წყაროს. მისი თქმით, ივანე ჯავახიშვილის დამსახურება განუზომლად დიდია ქართული არქეოლოგიის განვითარებაში.

**ოთარ ჯაფარიძე:** „ივანე ჯავახიშვილი დიდად იყო დაინტერესებული არქეოლოგიის განვითარებით და, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ხელჩასაჭიდი ბევრი არაფერი ჰქონდა, თავის ნაშრომებში მაინც იმონებდა რევოლუციამდე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს, როგორც არსებულ ისტორიულ წყაროებსა და მტკიცებულებებს.

მან არაერთხელ გამოთქვა სინანული იმის შესახებ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა ამ საქმით დაინტერესებული მეცნიერი. იგი აღნიშნავდა, რომ ძველი ისტორიის შესწავლა არქეოლოგიის გარეშე შეუძლებელია და სხვა საკითხებთან ერთად, ეთნიკური საკითხების კვლევა არქეოლოგიითა და ენათმეცნიერებით არის შესაძლებელი.

სწორედ არქეოლოგიისადმი ინტერესით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ მან უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა არქეოლოგიის სწავლებას. იმ პერიოდში უნივერსიტეტიდან გერმანიაში სასწავლებლად სხვებთან ერთად მივლინებული იყო გიორგი ნიორაძე, რომელიც იქ პრეისტორიულ არქეოლოგიას სწავლობდა. მასზე ივანე ჯავახიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა და, როცა ბატონი გიორგი გერმანიიდან ჩამოვიდა, ბატონმა ივანემ იგი უნივერსიტეტში არქეოლოგიის კურსის წასაკითხად მოიწვია.

თქვენ იცით, რომ ივანე ჯავახიშვილი რამდენჯერმე ჩამოაცილეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს, მაგრამ 30-იანი წლების ბოლოს, როცა მუშაობის უფლება მისცეს, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ დაიწყო არქეოლოგიური გათხრები დმანისში. ანუ დმანისის თანამედროვე აღმოჩენებს სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებს, სადაც გაითხარა სამთავრო სამაროვანი და არმაზის ხევი. სწორედ აქ აღმოჩნდა პიტიახშთა სამარხები. ივანე ჯავახიშვილი პირველი სამარხის აღმოჩენას, რომელიც ასპარუკ პიტიახშს ეკუთვნოდა, თავად დაესწრო. მიმაჩნია, რომ ქართული არქეოლოგიის წინაშე ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ისევე დიდია, როგორც ისტორიოგრაფიისა და, ზოგადად, ქართული მეცნიერების წინაშე“.

საყურადღებოა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი ძველი სამარხების გათხრებისას აღმოჩენილი ნივთების მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად ქცევის მომხრე არ იყო, თუმცა მიაჩნდა, რომ ამ ნივთების გამოფენას აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა: „დამთვალეებელს სრული საშუალება უნდა ჰქონდეს მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლა-დიდება და კულტურის დონე შეძლებისამებრ სრულად წარმოიდგინოს. ამისთვის სხვადასხვა დროისა და სახეობის სამარხები გამოფენილი უნდა იყოს მთელი თავისი აგებულება-მონყობილობითურთ“, — წერდა იგი.

გარდა არქეოლოგიური ძეგლებისა, ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმესაც და მოითხოვდა, რომ უმთავრეს საზრუნავად ექციათ ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა-აღდგენა. ამისათვის, ივანე ჯავახიშვილი სამ გზას ხედავდა: 1) ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლა; 2) თანამედროვე (XX საუკუნის 10-20-იანი წლები)

ქართული ეთნოგრაფიული მასალების (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნები, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვ.) შეგროვება და შესწავლა და 3) საქართველოს ბუნების შესწავლა და აღბეჭდვა.

კულტურული მემკვიდრეობა ივანე ჯავახიშვილისთვის არ იყო მხოლოდ ისტორია, ის იყო ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთკავშირი, რასაც იგი მთლიან კომპლექსში განიხილავდა.

### **ივანე ჯავახიშვილი და ქართული დამწერლობა**

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართული დამწერლობის წარმომავლობა ფინიკიურს დაუკავშირა და მისი წარმოშობა ძველი ნ.აღ-ით VII საუკუნეში ივარაუდა. ქართველი მეცნიერების დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, რადგანაც, მათი აზრით, ჯერჯერობით ივანე ჯავახიშვილის ეს ჰიპოთეზა ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას მხარდამჭერები დღესაც ჰყავს. ქართველი პალეოგრაფი, ცნობილი მეცნიერი რამაზ პატარიძე, ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, გრაფიკული შედარების მეთოდს იყენებს და ქართული დამწერლობის წარმოშობას ძვ.წაღ-ით V საუკუნით ათარილებს, ხოლო ფარნავაზ მეფეს, რომელსაც ჩვენ ქართული ანბანის შემქმნელად ვიცნობთ, ის მხოლოდ ქართული დამწერლობის რეფორმატორად მიიჩნევს.

რამაზ პატარიძე: „მე ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ვარ. მან შექმნა შესანიშნავი წიგნი, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ დამწერლობათმცოდნეობას, ქართულ პალეოგრაფიას და გვიანდერძა, რომ მომავალმა მკვლევრებმა ამ გზით უნდა იარონ.

გეზი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა, ითვალისწინებდა იმას, რომ გაგვერკვია ქართული ასო-ნიშნების რაობა. მან ყურადღება მიაქცია, რომ — ფინიკიური ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის ხარის თავის გამოსახულება და ამიტომ ასო-ნიშანს ჰქვია „აღფ“, ანუ ხარი. სემურ ანბანსაც აქვს თავისი დასაწყისი — იწყება ხარის გამოსახულებით (ხარი მთვარის საზვარაკო ცხოველია, ესე იგი მთვარის ღმერთი ზეციური



ნარნერა ბოლნისის სიონის კედელზე

ხარია), ანუ მთვარის პირველი გამოჩენით და მთავრდება დასასრულის, ანუ ჯვრის აღმნიშვნელი ნიშნით. ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ იქნებ ქართულ ანბანშიც გვეძებნა ანალოგიები. საქმე ისაა, რომ ქართული ანბანი, მსგავსად ფინიკიურისა, ჯვარით მთავრდება და ამიტომ მას „ჯ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს. ამ გზით უნდა წარმართულიყო კვლევა და მე მას გავყევი.

ჯავახიშვილმა მიგვითითა — რაკი ქართულ ანბანში, ფინიკიურის მსგავსად, დასასრულის ნიშნად ჯვარის გამოსახულება ზის, იქნებ ქართული პირველი ასო-ნიშანიც, ფინიკიურის მსგავსად, ხარის გამოსახულებააო. მისი ეს მოსაზრება არ გამართლდა, მაგრამ ძიება მაინც ამ გზით გაგრძელდა. კვლევების შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი ბრმად კი არაა გადმოღებული სემური ანბანიდან, როგორც ეს ბერძნულშია, არამედ შექმნილია სემური ანბანის პრინციპების გათვალისწინებით.

ქართული ანბანი, ფაქტობრივად, კალენდარული ძეგლია. საქმე ისაა, რომ ადრე ზეციური ხარის, ანუ მთვარის პირველი გამოჩენით იწყებოდა მთვარის ცაზე მოძრაობის, ანუ მთვარის კალენდრის ათვლა. მთვარე ცაზე 27 ან 28 დღეს მოძრაობს. ანბანშიც ამდენი ასო-ნიშანი იყო. აქედან გამომდინარე, ქართულ ანბანშიც მთვარის კალენდარული სისტემა გვაქვს,

ოღონდაც არა სემური, არამედ ბაბილონური მთვარის კალენდრის სისტემა და რადგანაც ბაბილონურ კალენდარს განაგებს ბაბილონური მთვარის ღმერთი „ან“, ამიტომაც არის ქართული დამწერლობის სახელი „ანბანი“ და მისი პირველი ასო-ნიშანიც ბაბილონური მთვარის ღმერთის გამოსახულება — მცხრალი მთვარე.

ასე რომ, დასტურდება ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი: ანბანს აქვს თავისი დასახეისი — „ანი“ და დასასრულის ნიშანი — ჯვარი.

რაც შეეხება დამწერლობის წარმოშობას, იგი მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი ძვ.წ-ალ-ით VII –VI საუკუნეებში წარმოიშვა. ეს ვარაუდი ჯერ ვერ მტკიცდება, თუმცა წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ დამწერლობა შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში. ჩვენ გვაქვს ცნობა — ცოდნის მატიანე, რომელიც გვეუბნება, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია ქართველ ქურუმთა მიერ ებრაული დამწერლობისა და ბაბილონური სიტყვიერ-მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე. ეს არ გახლავთ ჩემი აზრი, ეს ქართულ წყაროებშია მოცემული, უბრალოდ, ბევრი მეცნიერი ამ წყაროებს არ ენდობა.

ამ მოსაზრებებისა და, საერთოდ, ქართული პალეოგრაფიის საფუძველთა საფუძველი არის ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ქართული დამწერლობათმცოდნეობა. მე სწორედ მისი გზა განვაგრძე და ამიტომ თავს მის მოწაფედ ვთვლი“.

## **ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ისტორიის საკითხები**

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლას. მას მიაჩნდა, რომ ქართული კულტურის ისტორიის კვლევა ეროვნული თვითმემცნებისა და თვითდამკვიდრების ძირითადი გზა იყო. იგი წარსულს სწავლობდა არა მხოლოდ აღწერილობითი მიზნებით, არამედ ისტორიის საზრისის ძიებისთვის. მან გამოკვეთა ძველი საისტორიო მწერლობის მიზანი, მეთოდები და წყაროები პირველი აგიოგრაფებიდან დანყებული ვახუშტი ბაგრატიონის ჩათვლით.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **რევაზ სირაძე** მიიჩნევდა, რომ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საკითხებში სცდება მხოლოდ მეცნიერული კვლევის ფარგლებს. ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ მისცა, იგი სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს.

— **ბატონო რევაზ, როგორ შეაფასებთ, ზოგადად, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს ქართველი ერის კულტურის კვლევის საკითხებში, რა წარმოაჩინა მან ამ ნაშრომებში?**

— ერის ისტორიულ ცხოვრებას ივანე ჯავახიშვილი აფასებდა კულტურული პროგრესის მიხედვით. მისთვის ყველა წარმატება და ძნელბედობა იყო დიდი ეროვნული დრამა, რომლის ფონზეც ერის კულტურული სახე ყალიბდებოდა.

მან გვიჩვენა, რომ ერის კულტურულობას განსაზღვრავს არა ის, თუ რაოდენ დიდებისთვის მიუღწევია წარსულში, არამედ ის, თუ რამდენად ძალმოსილი იყო ერი — მუდმივი განვითარებისთვის ეზიარებინა საკუთარი კულტურული მონაპოვარი. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რაც მარად უნდა ცოცხლობდეს — ქართული დამწერლობა და მწერლობა, ქართული ენა, ქართული მუსიკა, ხუროთმოძღვრება...

ივანე ჯავახიშვილისთვის ქართველი ერის ისტორია ერის კულტურული დადგინების ისტორიაა და ეს გააზრებული აქვს არა მხოლოდ კულტურის ისტორიის ასპექტში, არამედ მისი სოციალური განვითარების და სახელმწიფოებრიობის, ამასთანავე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა მიხედვით. მაგრამ თუ მათ შორის მაინც კულტურულ-ისტორიული ასპექტია წამყვანი, ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ ისტორიული წარსული თანამედროვეობას უკავშირდება.

— **როგორ ყოფდა იგი ერის კულტურული განვითარების ეტაპებს?**

— ქართული კულტურის კვლევის ჯავახიშვილისეული მასშტაბები ამ კულტურის მრავალმხრივი წარმატების მაჩვენებელია. მასში, ძირითადად, 4 კულტურულ-ისტორიული ეპოქა განიხილებოდა: წარმართული, ადრექრისტიანული, კლასიკური ხანისა და გვიანფეოდალური. ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა

საისტორიო ცნობის, პალეოგრაფიული გათხრების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ცდილობდა ქართული ანბანის წარმოშობის საკუთარი თეორიის დამტკიცებას. იგი ამ მოვლენას ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნით ათარიღებდა, ანუ მიაჩნდა, რომ ქართველები ამ დროიდან ყოფილან ჩართულნი მაშინდელ „კულტუროსან მსოფლიოში“.

**— ცნობილია მისი დამოკიდებულება ისტორიული ძეგლების მიმართ. რომელი მწერლობის ნიმუშებს მიიჩნევდა იგი ისტორიულ წყაროებად და როგორ უკავშირებდა მას საერო ცხოვრებას?**

— ძველი ქართული მწერლობიდან ივანე ჯავახიშვილი, ძირითადად, სასულიერო ხასიათის ძეგლებს განიხილავდა, რადგანაც მათ საისტორიო ჟანრის თხზულებებად მიიჩნევდა და მათგან უმთავრესად ისტორიულ მონაცემებს აანალიზებდა. მის ძიებებს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ახლდა თან: მან პირველად დანერგა ჩვენში ჟამთააღმწერლობისა და მხატვრული ლიტერატურის ერთ მთლიანობაში განხილვა და ამით ორთავე დარგი ერთი საერთო კულტურულ-ისტორიული პროცესის ანარეკლად წარმოგვიდგინა. მაგალითად, იგი ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავს“ საისტორიო თხზულებად თვლის, მაგრამ თვითონვე მიუთითებს მასში მხატვრული ელემენტების არსებობაზე.

ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ შესავალი მთლიანად ეძღვნება თეორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ ძველ მწერლობაზე ეს იყო პირველი სპეციალური თეორიულ-ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია მწერლობის განვითარების თეორია და თეორია ისტორიისა, ამ ისტორიის ფაქტოლოგიას კი ცალკეული ავტორებისადმი მიძღვნილი ნარკვევები შეიცავს.

კულტურულ-ისტორიული პროცესის საკითხებს ივანე ჯავახიშვილი საერო მწერლობასთან დაკავშირებითაც ეხება. იგი ქართულ კულტურაში დასავლურ-აღმოსავლური სინთეზის თეორიას ავითარებს. მანვე ქართულ მეცნიერებაში პირველად მოგვცა მწერლობის კლასიფიკაცია ბარდენჰევერის მიხედვით: 1) დოგმატიკა-აპოლოგეტიკა; 2) ეგზეგეტიკა; 3) საბუნებისმეტყველო-ისტორიული ბიბლიურ-არქეოლოგიური თხზულებანი;

4) ასკეტიკა; 5) ჰომილეტიკური ლიტერატურა, რაც მერე უფრო სრულად შევიდა კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში.

ალარაფერს ვამბობთ ივანე ჯავახიშვილის მიერ მრავალი უცნობი ძეგლის გამოვლინებასა და მეცნიერულ გამოცემაზე, ეს იქნება სინას მთის საუნჯის გამომზეურება თუ წინარუსთველური მწერლობის კლასიკური ნიმუშის — „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ გამოცემა, ან, თუნდაც, „ევსტათი მცხეთელის წამების“ გერმანულად თარგმნა და გამოქვეყნება (1901 წელს), რამაც გამოჩენილ გერმანელ მედიევისტს ა. ჰარნაკს ათქმევინა — „ძველი ქართული კულტურის არცოდნა კულტუროსან ხალხთა მოუთმენელ ნაკლად უნდა ჩაითვალოს“.

ქართული მწერლობისადმი ივანე ჯავახიშვილის ინტერესთა გასათვალისწინებლად საყურადღებოა, რომ მისი ერთ-ერთი პირველი ბეჭდური ნაშრომი „ბალავარიანის“ რუსული თარგმანი იყო (1899 წელს), ხოლო უკანასკნელი — „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“, რომლის მოხსენების სახით კითხვის დროსაც მოულოდნელად შეწყდა მისი სიცოცხლე.

კულტურულ-ისტორიულ ძიებათა ივანე ჯავახიშვილისეული მეთოდოლოგიიდან გამოსაყოფია მოთხოვნა, რომ ქართული სინამდვილე ხელოვნურად არ მივუსადაგოთ დასავლეთ ევროპული ისტორიის თავისებურებებს და, ამასთანავე, არ მოვახდინოთ წარსულის მოდერნიზება. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ, რომ იგი არ ავითარებდა ქართული რენესანსის თეორიას, თუმცა რუსთველის ეპოქის განსაკუთრებულ კულტურულ ზეაღმავლობას აღნიშნავდა.

**— ივანე ჯავახიშვილმა კომპლექსურად შეისწავლა ქართული კულტურის ისტორია, კიდევ რა მიმართულებებს გამოყოფდით მისი ნაშრომებიდან?**

— სხვა ასპექტებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა შესწავლის საგნად გაიხადა ქართული ენა, როგორც კულტურული-ისტორიული ფენომენი. ნაშრომებში მან ცხადყო, რომ, უპირველესად, ქართულ ენაშია ასახული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ეპოქათა კულტურული სახის რეკონსტრუქციას ივანე ჯავახიშვილი თავისი მრავალმხრივი ერუდიციის წყალობით ახორციელებდა. როცა კულტურის ან ხელოვნების რომელიმე დარგს

განვიხილავთ, ამ დარგების მიმართ დასკვნებიც ცალმხრივი ხდება, რამდენადაც კულტურის არც ერთი დარგი თავისი დროისგან იზოლირებულად არ არსებულა. ისინი იყვნენ ნაწილი ერთიანი კულტურული კომპლექსისა.

ივანე ჯავახიშვილმა კულტურული კომპლექსის ერთიანი ცოდნით შექმლო წარსულის ცხოვრებისეული რეალობით წარმოდგენა. მან მოგვცა მრავალტომიანი „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, რომელიც კულტურული კომპლექსის ერთიანი კვლევის ნაყოფია: სამშენებლო მასალა, ადგილი, საერო და სასულიერო ნაგებობათა არქიტექტურული ანსამბლები, სამეფო სასახლეები და დარბაზები, საცხოვრებლის მორთულობა, ტანსაცმელი და ყოფითი რეალები, საომარი იარაღი და სანესჩვეულებო ტრადიციები ერის კულტურული დონის თავისებური მაჩვენებელია.

მის გამოკვლევებში ვეცნობით ადამიანის სახეს ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ასევე შრომისადმი დამოკიდებულებას ძველ საქართველოში.

ქართული კულტურის საკითხებს ივანე ჯავახიშვილი შუქს ჰფენს ყველა ნაშრომში, მათ შორის მათშიც, სადაც საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას განიხილავს და ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ისტორია ქართული კულტურის საფუძველთა საფუძველია.

ჩემი ღრმა რწმენით, ქართული კულტურის ივანე ჯავახიშვილისეული ძიებანი თავადაა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რადგანაც მან უამრავ საიდუმლოს ახადა ფარდა და შთამომავლობას უკვე საძირკველჩაყრილი მეცნიერება დაუტოვა (ინტერვიუ ჩანერილია 2011 წ.).

## **ივანე ჯავახიშვილი და კლასიკური ფილოლოგია**

ივანე ჯავახიშვილს ენციკლოპედიური განათლება საშუალებას აძლევდა, ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა სფეროს გადასწვდომოდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი ქართველი ხალხის ისტორიას ვინრო საზღვრებში კი არ სწავლობდა, არამედ სხვა ერებთან, მათ კულტურასთან და ენებთან მიმართებაში განიხილავდა. მისი დამსახურებაა ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერე-

ბამ და კლასიკურმა ფილოლოგიამ იმთავითვე მძლავრი ფესვები გამოიღო და დღეს ეს სკოლები კავკასიის რეგიონში ყველაზე ძლიერია. ამ დარგში მოღვაწე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **რისმაგ გორდეზიანი** აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის ქართულ მეცნიერებაში ყველაზე დიდი ფიგურა ივანე ჯავახიშვილი იყო.

**— ბატონო რისმაგ, ძნელია, ორიოდ სიტყვით დაახასიათო ქართული მეცნიერების პატრიარქი და მისი დამსახურება, ზოგადად, ქართველი ერის წინაშე, მაგრამ იქნებ თქვენი თვალით დანახული ივანე ჯავახიშვილი გაგვაცნოთ?**

— ივანე ჯავახიშვილის მნიშვნელობას განსაზღვრავს როგორც წმინდა სამეცნიერო მოღვაწეობა, ასევე ისიც, რომ იგი გვევლინება ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლად და მოამბაგედ. მისი დამსახურებაა ის, რომ შეძლო და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოიყვანა ყველაზე ცნობილი ქართველი მეცნიერები, მათში გააღვიძა პატრიოტიზმის გრძნობა და სათავეში ჩაუყენა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაგალითად, იმხანად რუსეთში მოღვაწეობდა უდიდესი და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში მოიწვია. სწორედ გრიგოლ წერეთელმა შექმნა კლასიკური ფილოლოგიის კათედრა, რომელმაც ბიძგი მისცა ამ დარგის განვითარებას. იგი შემდეგ შეცვალა ამ დარგის ასევე პატრიარქმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანე ჯავახიშვილის მცდელობისა და მისი ბრძნული გადამწყვეტილების შედეგად, ეს დარგი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით ვითარდება.

**— კონკრეტულად რა დამსახურება აქვს ივანე ჯავახიშვილს ქართული ენათმეცნიერების წინაშე?**

— მან დატოვა შესანიშნავი წიგნი „კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის შესახებ“. ამ წიგნმა დროთა განმავლობაში სხვადასხვა შეფასება მიიღო, მაგრამ

უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ, რაც გამოვიდა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების — მიხეილ ქურდიანისა და მერაბ ჩუხუას წიგნები, ნათელი გახდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის მნიშვნელობა, რასაც ეყრდნობოდა არნოლდ ჩიქობავას მოსაზრება იბერიულ-კავკასიური ერთიანობის შესახებ. ეს მოსაზრება უკვე მყარ დასაყრდენს ჰპოვებს თანამედროვე ქართველი ლინგვისტების ნაშრომებში და უფრო და უფრო იზრდება ივანე ჯავახიშვილის იმ წიგნის მნიშვნელობა, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გამოსცა. ეს ნაშრომი არის მართლაც კოლოსალური შრომის შედეგი, რადგან ავტორმა შეძლო სხვადასხვა კავკასიურ ენებს შორის უამრავი შესატყვისობა მოენახა და სხვადასხვა საინტერესო კვლევა ეწარმოებინა.

თუკი ჩვენ მოვინდომებთ, მთლიანობაში წარმოვადგინოთ ივანე ჯავახიშვილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იყო ბრწყინვალე ისტორიკოსი, ბრწყინვალე ფილოლოგი, ბრწყინვალე ენათმეცნიერი, ბრწყინვალე არქეოლოგი და ბრწყინვალე საფუძვლის ჩამყრელი ქართული მეცნიერებისა. მთელი ქართველი ერი სრულიად სამართლიანად მიაგებს მას იმ პატივს, რომელსაც ძალიან ცოტა მეცნიერი ღირსებია.

**— თქვენი აზრით, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა საფუძველი ჩაეყარა ამდენი მეცნიერული მიმართულებისთვის?**

— ასეთი რამ მხოლოდ დიდი ენციკლოპედისტების ხვედრია. ამის გაკეთება არ შეუძლია ჩვეულებრივ ადამიანს, არ შეუძლია საშუალო მონაცემების მქონე ადამიანს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ბრწყინვალე მონაცემების მქონე ადამიანს შეუძლია. ეს ერთეულების ხვედრია. ივანე ჯავახიშვილი თავისი ბუნებით და ცხოვრებით გახლდათ ენციკლოპედისტი, მეცნიერი და თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, რაც მის გენიალობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

## **ივანე ჯავახიშვილი და ქართული სამართლის ისტორია**

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან განდევნის შემდეგ უკან დააბრუნეს, მას ლექციები საქართველოს ისტორიაში აღარ წაუკითხავს, მხოლოდ რამდენიმე საა-

თი მისცეს იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ქართული სამართლის ისტორიას კითხულობდა. ამ ლექციების თვითმხილველები და მსმენელები არიან მაშინდელი პირველკურსელები, დღეს უკვე ცნობილი მეცნიერები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული სახეები, აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე.

აი, როგორ იხსენებს ქალბატონი მარიამი ივანე ჯავახიშვილის ლექციებს: „თვალწინ მიდგას მისი აუდიტორიაში შემოსვლის სურათი. შემოვიდოდა დიდი სასმენი აპარატით და შავი „პორტფელით“, დადებდა ამ „პორტფელს“ მაგიდაზე, ამოალაგებდა ბარათებს (როგორც იცით, ის საბარათე სისტემით მუშაობდა), დაალაგებდა მაგიდაზე და იწყებდა ლექციის კითხვას. ჯერ დებულებას წამოაყენებდა და შემდეგ ამ ბარათებიდან ნაიკითხავდა საილუსტრაციო მასალებს. ხდებოდა სხვაგვარადაც — თავდაპირველად ნაიკითხავდა ამონაწერს ბარათიდან, შემდეგ იწყებდა მის განზოგადებას. ამით აჩვენებდა სტუდენტებს — როგორ უნდა ამოუსულიყვნენ წყაროებიდან. მისი ლექცია ძნელად მოსასმენი იყო. თანაც ჩვენ მაშინ სამართლის ისტორიისა არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ ძალიან პატიოსნად დავდიოდით და ვუსმენდით.

მახსენდება ერთი შემთხვევა. ის ყოველი ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთს იტოვებდა შეკითხვებისთვის და რადგანაც ცუდად ესმოდა, გვთხოვდა, რომ შეკითხვები წერილობით მიგვეწოდებინა. ერთ მშვენიერ დღეს მას გადასცეს რვეულის პატარა ფურცელი. ბატონმა ივანემ ხმამაღლა ნაიკითხა შეკითხვა: „არსებობს სტალინის მოძღვრება, რომ ქართველები ერად XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდნენ, თქვენ საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას?“ ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა წლები იყო და რა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა აუდიტორიაში? ყველას ერთი ფიქრი გვიტრიალებდა თავში — რა მოხდება? ბატონმა ივანემ წყნარად აიღო ეს ქალაქი, დაკეცა, წვრილად დაანაკუნა, მელნის ჩასადგამში ჩაყარა, ჩაალაგა თავისი ბარათები, მოკიდა „პორტფელს“ ხელი და აუდიტორიიდან გავიდა... ეს იყო ყველაზე მართებული ქმედება — ივანე ჯავახიშვილმა ამ შეკითხვის ავტორი პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. საბედნიეროდ, რეპრესიის წლები უკვე ჩავლილი იყო,“ — იხსენებს ივანე ჯავახიშვილის ლექციით მონუსხული მარიკა ლორთქიფანიძე.

„ქართული სამართლის ისტორიის“ I ტომი ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1919 წელს გამოსცა და მასში მხოლოდ მონ-

ლოლთა შემოსევამდე პერიოდი მიმოიხილა, რადგან გვიან შუა-საუკუნეების პერიოდის შესწავლა ვეღარ მოასწრო.

თანამედროვე მეცნიერთა შეფასებით, ივანე ჯავახიშვილის ეს წიგნი დღესაც სახელმძღვანელოდ მიიჩნევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ნუგზარ სურგულაძე** ივანე ჯავახიშვილს ქართული სამართლის ისტორიის პატრიარქს უწოდებს და აცხადებს, რომ ნაშრომით, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოიცა, საქართველოში დაიწყო მეცნიერება, რომელსაც სამართლის ისტორია ჰქვია.

— **ბატონო ნუგზარ, რა იგულისხმება ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული სამართლის ისტორიის სისტემურ და ფუნდამენტალურ შესწავლაში, რაც დიდმა მეცნიერმა უდაოდ პირველმა მოახერხა?**

— მის ნაშრომში სამართლის ისტორია განხილული და შესწავლილია მისი ყველა დარგის და ინსტიტუტის გათვალისწინებით. ნაშრომი იწყება წყაროების განხილვით, რასაც მოსდევს იურიდიული, სამართლის და ყველა სამართლებრივი ინსტიტუტის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებზეც ცალ-ცალკე აქვს კვლევა ჩატარებული. აქ გამოყენებულია არა მარტო ქართული სამართლის ძეგლები, არამედ სხვა ნარატიული წყაროებიც. იმდენად დიდი მუშაობაა ჩატარებული, რომ წიგნი — „ქართული სამართლის ისტორია“ დღესაც საფუძვლად ითვლება. დრო რომ გადის, წყაროებიც იცვლება და მეთოდებიც, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომები დღესაც აქტუალურია. მათ სტუდენტები და მაგისტრანტები სასწავლო და კვლევით ლიტერატურად იყენებენ. საერთოდაც, ქართული სამართლის მკვლევარი ივანე ჯავახიშვილს გვერდს ვერ აუვლის. ჩემი აზრით, მას რომ მხოლოდ ეს ერთი ნაშრომი დაეტოვებინა, იმდენად ღრმად და საფუძვლიანად აქვს სამართლის ისტორია შესწავლილი, მაინც დიდ მეცნიერად ჩაითვლებოდა.

## **ივანე ჯავახიშვილი და ანატომიის ტომიწოდება ქართულად**

უნივერსიტეტის ისტორიის ერთ ფურცელზე სულ ორი წინადადებითაა მითითებული, რომ უნივერსიტეტში სწავლის დან-

ყების საწყის ეტაპზე პროფესორმა ალექსანდრე ნათიშვილმა ქართულად პირველად წაიკითხა ლექცია ანატომიაში. ლექციის მომზადებას თავისი პატარა ისტორია ჰქონია, რომელიც თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ გვიამბო: „უნივერსიტეტი ახალი გახსნილი იყო და ბატონი ალექსანდრე ანატომიაში ლექციის წასაკითხად ემზადებოდა. ერთი დღით ადრე მასთან სტუმრად მისულა ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც უკითხავს, რა ენაზე აპირებდა ლექციის წაკითხვას. რუსულადო — უპასუხა თურმე ბატონმა ალექსანდრემ, რადგანაც ქართულად ანატომიის ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. „მე და შენ ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ დარჩენილ დროში ტერმინოლოგია დავადგინოთ და პირველი ლექცია ქართულად წაიკითხო. ასე იქნება ყოველი ლექციის წინ და ანატომიაში ლექციის ქართულად წაკითხვის პრობლემა აღარ იარსებებსო,“ — უთქვამს ივანე ჯავახიშვილს. მართლაც, ორი ბუმბერაზი მეცნიერი მთელი დღე და ღამე მუშაობდა თურმე ტერმინოლოგიის დადგენაზე. შედეგად — ალექსანდრე ნათიშვილმა ქართულად წაიკითხა პირველი ლექცია. ციკლის დასრულების შემდეგ კი უკვე არსებობდა ანატომიური ტერმინოლოგია, რის საფუძველზეც შეიქმნა ქართულენოვანი სახელმძღვანელო — ალექსანდრე ნათიშვილის „ადამიანის ნორმალური ანატომია“, რომელიც დღეს უკვე ქრესტომათიული იშვიათობაა, მაგრამ ანატომიის სწავლების მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

## ივანე ჯავახიშვილი და მუსიკა

ცალკე აღნიშვნის ღირსია ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლაში. ნაშრომში, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938 წ.) მან გააანალიზა ქართული ფოკლორისა და საეკლესიო საგალობლების ისტორია და პარალელები გაავლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მუსიკალურ ტრადიციებთან.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი რევაზ სირაძე ნაშრომში „ქართული კულტურის საფუძვლები“, წერს: „ქართული კულტურის ისტორიის კომპლექსში ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუსიკის ისტორიის საკითხებს.



ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები,  
ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფი

ის ქართულ მრავალხმიანობას ქართული წარმართული სინამდვილიდან მომდინარედ მიიჩნევს. ამით მიჯნავს მას აღმოსავლურობისგან და ამასთანავე, დასავლეთეევროპული პოლიფონიისაგან მის განსხვავებულობასაც წარმოაჩენს. ივანე ჯავახიშვილს ნაჩვენები აქვს მუსიკაში საერო და სასულიერო ნა-

კადთა ურთიერთმიმართება და კეთილმყოფელური ურთიერთზეგავლენა, ასევე, მათ შორის არსებული დაპირისპირება და განვითარების შეფერხებაც. კერძოდ, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ საეკლესიო პრაქტიკაში ფსალმუნთა დანერგვას ცალხმა საგალობლის გავრცელება გამოუწვევია. ასე გრძელდებოდა მე-7 საუკუნემდე. ივანე ჯავახიშვილს წარმართული ტრადიციების გამარჯვებად მიაჩნია, რომ შემდგომში ქართული საგალობლების მრავალხმიანობა აღდგა. ეს რომ ბერძნულის გავლენით არ მომხდარა, ძველქართული წყაროებით დასტურდება. საერთოდაც, ივანე ჯავახიშვილი მრავალი მაგალითით გვიჩვენებს, თუ რაოდენ შეგნებული ჰქონდათ ძველ საქართველოში ქართულსა და ბერძნულ საგალობლებს შორის არსებული განსხვავება.

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის ძიებანი ქართული მუსიკის მაგალითზეც გვიჩვენებს აღმოსავლურისაგან გამიჯვნის კულტურულ-ისტორიულ ტენდენციას და ეს სრულიად არ იყო გამოწვეული სპარსეთისადმი პოლიტიკური დაპირისპირებით. პირიქით, ლიტერატურაში სპარსოფილობას ყველაზე მკვეთრად ამჟღავნებდა თეიმურაზ პირველი, რომელიც პოლიტიკურად სპარსეთს უპირისპირდებოდა. აღმსარებლობა არ იყო ამ შემთხვევაში წამყვანი, მთავარი იყო ქართული შინაგანი ბუნების ტიპოლოგიური განსხვავებულობა აღმოსავლურობისგან.“

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ივანე ჯავახიშვილი ჩართული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც ქართული მუსიკის განვითარებას, მომავალი მუსიკათმცოდნეებისა და სამემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა აღზრდას ითვალისწინებდა.

ბევრმა შესაძლოა არც იცოდეს, რომ საქართველოს კონსერვატორია ივანე ჯავახიშვილის დიდი მხარდაჭერითა და ძალისხმევით დაარსდა. ის დაინტერესებული იყო ამ მუსიკალური სასწავლებლის რაციონალური მოწყობით, რის გამოც 1922 წელს საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს. ივანე ჯავახიშვილი მკვეთრად გამოჰყოფდა იმ ორ მიზანს, რომელიც საქართველოს კონსერვატორიას უნდა ჰქონოდა. იგი წერდა: ერთი მხრივ, კონსერვატორია „მუსიკალური შემოქმედებისა და კვლევა-ძიების იმ კერად უნდა გახდეს, რომელიც სხვებს ახალ გზებს დაანახვებს, საუკეთესო მაგალითს მისცემს და მუსიკის ხელოვნების წარმატებას სათავეში ჩაუდგება“, მეორე მხრივ კი „კონსერვატორია უნდა იყოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი“. ივანე ჯავახიშვილის აზრით, კონსერვატორიაში ყურადღება უნდა მიქცეოდა ძველი ქართული მუსიკის მეცნიერულ შესწავლას და ახლის განვითარებას, ასევე მეზობლად მცხოვრები ხალხების — სომხების, მთიელთა, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლას. ივანე ჯავახიშვილი კონსერვატორიის სასწავლო გეგმას სამ ნაწილად ჰყოფდა: 1) მუსიკის თეორიული საგნები, მუსიკალური შემოქმედების თეორია და ისტორია, 2) საკრავების მუსიკა, 3) სიმღერა-გალობა. ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრებები პრაქტიკული და არსებითი ხასიათისა იყო. ის ნათლად ხედავდა, როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოში მუსიკალური ხელოვნების განვითარება და ამიტომაც მის წვლილს კონსერვატორიის დაარსებასა და სასწავლო პროგრამების შედგენაში დღესაც არ ივინყებენ.

ჩვენ გავესაუბრეთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს, ცნობილ მუსიკოსსა და პიანისტს **მანანა დოიჯაშვილს** და ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვით შეეფასებინა ივანე ჯავახიშვილის დამსახურება კონსერვატორიისა და ზოგადად ქართული მუსიკის წინაშე:

— **ქალბატონო მანანა, ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა დიდი ამაგი გასწია კონსერვატორიის დაარსებისა და მის მოწყობისათვის. თქვენ როგორ შეაფასებთ მის ღვაწლს, რამდენად ახსოვთ ივანე ჯავახიშვილი ამ კედლებში?**

— შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ივანე ჯავახიშვილის მოდელით შეიქმნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. დარგები, რომელიც მან თავიდანვე დაგეგმა, დღესაც



ხელნართა ეროვნულ ცენტრში დაცული ვიოლინო ივანე ჯავახიშვილის პირადი ნივთებიდან

მუშაობს. მისი შორსმჭვრეტელობა, მისი გონი, მისი არაჩვეულებრივი ქუჩა და გამჭრიახობა გაოცებას იწვევს.

გარდა იმისა, რომ ის დაეხმარა კონსერვატორიას — ყოფილიყო კავკასიაში პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, თავადაც ბევრი რამ შესძინა მუსიკის ისტორიას. ცნობილია, რომ ის დადიოდა ექსპედიციებში და აგროვებდა პოლიფონიურ სიმღერებს, რაც შემდეგ გააანალიზა და შესანიშნავი ნიგნი გამოსცა ამ საკითხებზე.

იმდენად დახვეწილი მუსიკალური გემოვნების პატრონი იყო, რომ ზაქარია ფალიაშვილი ენდობოდა და რჩევას სთხოვდა. ფალიაშვილს და ივანე ჯავახიშვილს დიდი მეგობობა აკავშირებდა, ამიტომაც დაისის“ და „აბესალომ და ეთერის“ პირველი მოსმენები ივანე ჯავახიშვილის თანდასწრებით გაიმართა.

— **ამბობენ, რომ თავადაც შესანიშნავად უკრავდა...**

— დიახ, ასე იყო. მას ჰქონდა მაშინ საქართველოში ერთადერთი სტრადივარიუსის ვიოლინო, რომელზეც უკრავდა. ეს ვიოლინო დღეს მუზეუმში ინახება.

— **არის თუ არა კონსერვატორიაში რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია, რომელიც სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილის ღვანლს შეახსენებს?**

— ჩვენ ბატონი ივანეს სახელთან სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს. ამიტომაც მისი გარდაცვალების

თარიღი კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტით აღვნიშნეთ და დავამთხვიეთ სწორედ იმ დღესა და იმ წუთებს, როცა ის ლექციას კითხულობდა. სიმბოლური იყო, რომ კონცერტის დღეს, დაახლოებით 10-ის ნახევრისთვის, როცა ის გარდაიცვალა, გლოვის ზარიც კი დავრეკეთ მისი ხსოვნის საპატივცემულოდ.

ივანე ჯავახიშვილი კონსერვატორიის ყველა პროფესორ-მასწავლებლისა და სტუდენტისთვის დიდი ფიგურაა და მისი სახელი თაობიდან თაობაზე უნდა გადადიოდეს, რომ არ გაქრეს ის ღვანლი, რაც მან გასწია კონსერვატორიის დაარსების საქმეში.

**მანია ტორაძე**

*გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
 ყურნალისტი, ასოცირებული პროფესორი  
 „თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*



ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი



## ივანე ჯავახიშვილი ემპირიული სოციოლოგიის სათავეებთან საქართველოში

ივანე ჯავახიშვილს თავისი ფასდაუდებელი წვლილი არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის, არამედ მე-20 საუკუნის ქართული სოციოლოგიური აზრის განვითარებაშიც აქვს შეტანილი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციოლოგიური აზროვნება საქართველოში, ძირითადად, თეორიულ განზომილებაში მოძრაობდა, ემპირიული სოციოლოგია (კონკრეტული სოციოლოგიური კვლევები) თითქოს არც მიიჩნეოდა სერიოზული მეცნიერული საქმიანობის შემადგენელ ნაწილად. ეს არ იყო მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი ტენდენცია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თვით დასავლეთში (ევროპასა და ამერიკაში) გამოყენებითი სოციოლოგია სათავეს იღებს თომასისა და ზნანცეკის სახელგანთქმული გამოკვლევებიდან „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“, რომელიც რამდენიმე ტომად 1918-1921 წლებში გამოქვეყნდა. თუმცა, დასავლეთმა გაცილებით უფრო ადრე გაიგო ემპირიული სოციოლოგიის „გემო“, ვიდრე საქართველომ. გამოყენებით სოციოლოგიას საქართველოში დიდხანს, მე-20 საუკუნის დასასრულამდე გაჰყვება ერთგვარი „მარგინალური დისციპლინის“ სტიგმა, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებითი სოციოლოგიის ერთ-ერთი პირველი კათედრა ყოფილ საბჭოთა კავშირში სწორედ საქართველოში ჩამოყალიბდა 1968 წელს (პროფესორ ვენორი ქვაჩახიას ხელმძღვანელობით).

ემპირიული სოციოლოგიის მიმართ ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობისას (პრივატ-დოცენტის სტატუსით) 3 ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა. ერთი ეძღვნება ქართული სოფლის პრობლემების შესწავლას („სოფლური განსახლების შემეცნებას“), ხოლო შემდეგი ორი — იმ ქართველ ახალგაზრდობას, რომელიც სასწავ-

ლებლად იმყოფებოდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. ორივე თემა საკმაოდ აქტუალური იყო იმდროინდელი საქართველოსთვის: საქართველო, რომელიც უპირატესად აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, რეალურად იდგა ახლად ჩასახული კაპიტალიზმის და ინდუსტრიალიზაციის გამოწვევების წინაშე. დისკუსიები იმართებოდა იმის გარშემო, თუ რა პერსპექტივა აქვს ქართული სოფლის განვითარებას, რა ბედი ეწევა ქართველ გლეხს კარს მომდგარი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პირობებში. აქტუალური იყო ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების არარსებობის გამო, ქართველ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღება უხდებოდათ რუსეთსა და ევროპაში. ივანე ჯავახიშვილს აინტერესებდა, რა გავლენას ახდენდა რუსული და ევროპული გარემო ქართველ ახალგაზრდებზე, ხდებოდა თუ არა მათი დისტანცირება საქართველოსგან, წარჩუნდებოდა თუ არა მათში „ქართლული სული“ და საქართველოს ინტერესებისთვის სამსახურის მოტივაცია.

ქართული სოფლის პრობლემების ემპირული სოციოლოგიური შესწავლისათვის ივანე ჯავახიშვილმა 1910 წელს შეადგინა ანკეტა, რომლის დიზაინიც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (№117). ეს იყო კომპლექსური ანკეტა, რომელიც მოიცავდა შეკითხვებს ქართული სოფლის ეკონომიკურ, სოციალურ და ყოველდღიურ ცხოვრებაზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, სოფლის მაცხოვრებლების საგანმანათლებლო ცენზზე, სოფლის ადმინისტრაციის, აგრეთვე, ეკლესიის გავლენაზე და მათი შენახვის ხარჯებზე, სოფლის ოჯახის შემოსავლებსა და დანახარჯებზე, მიწისადმი დამოკიდებულებაზე და ა.შ. მთლიანობაში ანკეტა შედგებოდა 31 თემატური ბლოკისაგან. სავლელ სამუშაოების განმახორციელებლად (ინტერვიუებლად) ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია ქართველი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, ძირითადად, პედაგოგები, აგრეთვე, რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ზაფხულის არდადაგებს ატარებდნენ საქართველოში. ემპირიული კვლევა ჩატარდა გურიის, ქართლის, იმერეთისა და კახეთის შემდეგ 9 სოფელში: ასკანა, ექადია, დვაბზუ (გურიის სოფლები); ქვიტირი, მათხოჯი, სანულუკიძეო, სიმონეთი (იმერეთის სოფლები); არადეთი (ქართლში) და გრემი (კახეთში). სოციალური კვლევის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, ძნელია ილაპარაკო

ივანე ჯავახიშვილის მიერ სოფლის პრობლემებზე ჩატარებული კვლევის რეპრეზენტატულობაზე, თუმცა, ეს კვლევა უდავოდ ღირებული და უნიკალურია იმდროინდელ ქართულ სოფელზე (ზოგადად, რურალურ ყოფაზე) ემპირიული მონაცემების შეგროვების და მათი გაანალიზების თვალსაზრისით. ეს მოკლე სტატია არ არის განზრახული კვლევის შედეგების აღსაწერად. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის კვლევების საფუძველზე აღწერილი სოფელი გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების სტრუქტურაში, ასევე, სოფლის მცხოვრებთა სოციალური სტატუსი (დასაქმების, თემის ცხოვრებაში ჩართვის, მოტივირებულობის და სხვ. თვალსაზრისით) გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება, ვიდრე ეს სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და სოფლის მცხოვრებთა მოტივირებულობაზე შეიძლება ითქვას.

რაც შეეხება სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემების სოციოლოგიურ შესწავლას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნული კვლევის განხორციელებას 1912 წლიდან იწყებს. კვლევის ობიექტია როგორც რუსეთის, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტები. კვლევა აქაც ანკეტირების ფორმით ტარდება. ივანე ჯავახიშვილმა ორი კითხვარი მოამზადა: ერთი 15 შეკითხვისაგან შედგებოდა, ხოლო მეორე — 57 შეკითხვისაგან. ჯერჯერობით მოძიებულია 15 შეკითხვისაგან შემდგარი ანკეტა, რომელიც მიზნად ისახავს „ქართველი სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას“. ანკეტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქართველი სტუდენტების შესახებ როგორც ობიექტური (სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათის) ინფორმაციის (უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, სპეციალობა, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.), ისე განწყობითი და ატიტუდური მონაცემების მოპოვება (სტუდენტების კავშირი ეროვნულ კულტურასთან, სამშობლოში დაბრუნების და იქ მოღვაწეობის, ქართულად მეტყველების, ჩვევების შენარჩუნების სურვილი და ა.შ.). კვლევის ჩატარებას ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობა შეხვდა: რუსეთის ცარიტული რეჟიმის ჟანდარმერია ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი ნებისმიერი არარუსი ეროვნების მოქალაქეთა კოლექტიური (მათ შორის — წერილობითი) კავშირების მიმართ, სტუდენტებისაგან ითხოვდა ნებართვის აღებას ნებისმიერ კოლექტიურ საქმიანობაში (მო-

ცემულ შემთხვევაში, გამოკითხვაში) ჩართვისათვის; ანკეტირებას ხელს უშლიდა, აგრეთვე, სტუდენტების მობილობა ერთი ქალაქიდან მეორეში, რის გამოც ანკეტები ადრესატამდე ვერ აღწევდა, უარყოფითი გავლენა იქონია ასევე ქართველ სტუდენტთა გარკვეული ნაწილის გულგრილობამაც გამოკითხვაში მონაწილეობაზე, კითხვარის დანუნებამ და ა.შ. მიუხედავად სიძნელეებისა, ივანე ჯავახიშვილმა მაინც შეძლო 1000-მდე სტუდენტის გამოკითხვა. სამწუხაროდ, გამოკითხვის შედეგების ანალიტიკურ ანგარიშს ჯერეჯერობით ქართველმა მეცნიერებმა ვერ მიაკვლიეს (ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა პროფესორი ედუარდ კოდუა, რომელმაც პირველად იკვლია ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს ასპექტი და 1997 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“).

ის საკითხები, რომელთა კვლევაც ივანე ჯავახიშვილმა ემპირიული სოციოლოგიური კვლევის მეთოდებით განიზრახა, დღესაც საკმაოდ აქტუალურია. საქართველოში სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკა გვკარნახობს, რომ ქართველი სოციოლოგები არ არიან დამოუკიდებელნი კვლევის თემატიკის არჩევაში და, როგორც წესი, ეს დონორთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება. სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოტენციალი და რესურსები არ არის ეფექტურად გამოყენებული ემპირიული სამეცნიერო კვლევების წარმოებისთვის. არადა, უდავოდ საინტერესო იქნებოდა ქართული სოფლის და უცხოეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდების პრობლემების სოციოლოგიური შესწავლა, რაც 100-წლიანი ინტერვალის (რაც ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებულ კვლევებთან გვაშორებს) გათვალისწინებით, შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა, სულ მცირე, ტენდეციების ცვლილების დონეზე.

## ივანე ჯავახიშვილი

*თსუ-ის პროფესორი, სოციოლოგიისა და  
სოციალური მუშაობის მიმართულების  
ხელმძღვანელი*

*„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.)*



## მიჩქმალული სიმართლე რუსეთ- საქართველოს ურთიერთობაში

რუსეთის ხელისუფლების იმპერიალისტური ბუნება და მისი მუდმივი ცრუ დაპირებების დამლუპველი შედეგები არ გამოპარვია ივანე ჯავახიშვილს, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას იკვლევს და თავის ნაშრომებში უტყუარი ფაქტების მოშველიებით ცდილობს — თვალი აუხილოს რუსეთის დაპირებების მარადიულ მსხვერპლს — ქართველობას. ივანე ჯავახიშვილმა, იმ პერიოდში, პირველმა მოახერხა ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, სასუნთქი არხი გაეხსნა და საზოგადოება ისტორიული სიმართლისათვის ეზიარებინა. მეცნიერის ამგვარი მცდელობა, რუსეთის იმპერიის არსებობის პირობებში, მართლაც, პრინციპული და უშიშარი გადანყვეტილება იყო. რუსეთის „მფარველობით“ გაბრუებული ქართველი მეფეების პოლიტიკური შეცდომებისა და თვით 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ კრახის აღიარება რისკი იყო იმ მეცნიერისთვის, რომელიც არც თუ დაცულად გრძნობდა თავს დამოუკიდებელ საქართველოში. მართალია ეს ნაშრომები ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს დაწერა, მაშინ, როცა რუსეთს ჩვენთვის მაინცდამაინც არ ეცალა, მაგრამ მალევე დადგა ამ გამოკვლევათა განსჯის დროც, თუმცა ივანე, მისი ავტორიტეტის წყალობით, რეპრესიებს გადაურჩა და მხოლოდ დევნილად იქცა მისსავე დაარსებულ უნივერსიტეტში.

გავრცელებულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ივანე ჯავახიშვილმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი ორივე ნაშრომი — „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ (1919 წ.) და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში (1919 წ.)“ დაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის დაკვეთით, რის გამოც, თითქოს, ამ ნაშრომებს სერიოზული მეცნიერული ღირებულება

არ გააჩნიათ. მავანი და მავანი დღესაც ამტკიცებს, რომ ივანე ჯავახიშვილმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია ისე წარმოაჩინა, როგორც ეს საბჭოთა რუსეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას სურდა. ამ შეხედულების მომხრენი იშველიებენ ერთადერთ არგუმენტს: ივანე ჯავახიშვილი არ იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მკვლევარი და რატომ მაინცდამაინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1919 წელს, გაუჩნდა ამ საკითხის კვლევის სურვილი? — ჯავახიშვილის ცილისმწამებელთა ინტრიგანული გამოსვლები სწორედ იმის დასტურია, რომ ივანე ჯავახიშვილმა მიზანში გაარტყა და მოგვცა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ობიექტური სურათი. აღსანიშნავია, რომ მისი ყველა დასკვნა მეცნიერულია და გამომდინარეობს არსებული დოკუმენტებიდან და მასალებიდან. ივანე ჯავახიშვილმა სავსებით სწორად წარმოადგინა რუსეთის კავკასიური პოლიტიკა XVII-XVIII საუკუნეებში, მეფეების თეიმურაზ I-ის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის ურთიერთობა რუსეთთან. ამასთან ერთად ივანე ჯავახიშვილმა სანდო დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით აჩვენა ქართული სამეფო სამთავროებისათვის პრორუსული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დამღუპველი შედეგები.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ ეძღვნება ერთ კონკრეტულ საკითხს — თეიმურაზ I-ის ურთიერთობას რუსეთის სამეფო კართან. უფრო ზუსტად, ნაშრომი იწყება 1635 წლის ამბებით და მთავრდება 1649 წლის მოვლენებით, ე.ი. მოიცავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მხოლოდ თოთხმეტწლიან პერიოდს.

ნაშრომის უმთავრესი დასკვნა ასეთია: რუსეთის სამეფო კარს აზრადაც არ მოსვლია უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი, ირანის შაჰისაგან დევნილი თეიმურაზ I-ისა და კახეთის სამეფოსათვის სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური დახმარება. ამასთან ერთად, რუსეთის მეფე ცრუ დაპირებით აღწევდა იმას, რომ თეიმურაზ I-ს პრორუსული ორიენტაცია არ შეეცვალა, რაც ირანის მორიგი აგრესიის მიზეზი ხდებოდა.

რა კონკრეტულ ბრალდებას უყენებს ივანე ჯავახიშვილი რუსეთის სამეფო კარს? რუსეთის მიერ კახეთის სამეფოს მიმართ



თეიმურაზ I



ვახტანგ VI



ერეკლე II

პოლიტიკური მხარდაჭერის გამოხატვა და სამხედრო დახმარების აღმოჩენა, ცხადია, რუსეთისათვის დიდ საფრთხეს (ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას) მოასწავებდა. რუსეთის სამეფო კარი რომ კახეთის სამეფოსათვის ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას ერიდებოდა, ამაში მოულოდნელი არაფერი იყო. ივანე ჯავახიშვილი რუსეთის სამეფო კარს ბრალს სდებდა იმაში, რომ თეიმურაზ I-ს რეალური დახმარება არ აღმოუჩინეს და მხოლოდ ცრუ დაპირებებით ანუგეშებდნენ. ეს კი თეიმურაზ I-ს ხელს უშლიდა, რუსეთის მხრიდან სრული გულგრილობის ვითარებაში, ხელი აეღო პრორუსულ ორიენტაციაზე და ქვეყნის ხსნის სხვა გზა აერჩია — ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობა მოეგვარებინა.

ივანე ჯავახიშვილი არა მარტო რუსეთის მეფის მიხედვით რომანოვის პოლიტიკას, საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩებისა და სამღვდელოების მოღვაწეობას ამხელს, არამედ აშკარად მიანიშნებს თეიმურაზ I-ის მიერ დიპლომატიურ სარბიელზე დაშვებულ შეცდომებზე. ერთ-ერთ ასეთ კონკრეტულ შეცდომად მკვლევარს რუსეთში

გაგზავნილი ელჩობის მეთაურად ბერძენი მიტროპოლიტის — ნიკიფორეს დანიშვნა მიაჩნია. ივანე ჯავახიშვილი სერიოზულად დაინტერესდა „ვილაც ოსმალთა ბერძენი ბერის“ (მიტროპოლიტ ნიკიფორეს) პიროვნებით. იგი კახეთის მეფის ელჩს „ყოვლად უმწეო და უბადრუკ“ პიროვნებად მიიჩნევს. გარდა ამისა, მკვლევარი მიტროპოლიტ ნიკიფორეს ყალბისმქმნელად თვლის. ცხადია, თეიმურაზ I-ის ელჩი რუსეთის სამეფო კარის მიერ იყო გადაბირებული და თეიმურაზ I-სა და მისი დიდებულებისა და მღვდელმთავრების წინაშე რუსეთის ინტერესებს იცავდა.

ივანე ჯავახიშვილმა სავსებით კანონზომიერად დასვა კითხვები: რას ემყარებოდა თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაცია? რატომ ჰქონდა კახეთის მეფეს რუსეთის დახმარების იმედი? იცნობდნენ კი ქართველები იმ ქვეყანას (რუსეთს), ვისი დახმარების იმედიც ჰქონდათ? საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის დასკვნა იმის თაობაზე, რომ რუსეთის შესახებ კახეთის სამეფო კარზე არსებულ არაობიექტურ (არასწორ) ინფორმაციას დაემყარა არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსი. გაუზარებელ, დაუსაბუთებელ პრორუსულ საგარეო პოლიტიკურ



კურსს თეიმურაზ I-თვის და კახეთის სამეფოსათვის ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაციით გალიზიანებული ირანის წინაშე კახეთის სამეფო მარტოდმარტო დარჩა. სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: შექმნილ ვითარებაში შეიძლებოდა თუ არა თეიმურაზ I-ის პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას რაიმე დადებითი შედეგი მოჰყოლოდა? ცხადია, არა! უფრო მეტიც. თეიმურაზ I-მა კატასტროფის პირამდე მიიყვანა კახეთის სამეფო და, საბოლოოდ, მთელი საქართველო.

აგრძელებს თუ არა ამ ნაშრომს იდეურად და შინაარსობრივად ივანე ჯავახიშვილის მეორე ნაშრომი: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“? მასში ივანე ჯავახიშვილს კიდევ უფრო რთული, საჭირობოროტო კითხვებისათვის უნდა გაეცა პასუხი. შესაფასებელი იყო ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის პრორუსული პოლიტიკა.

ნაშრომს „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ საფუძვლად დაედო, როგორც ქართული საისტორიო წყაროები — მათიანეები (სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე), ისე რუსეთის არქივებში პ. ბუტკოვის, ა. ცაგარელის, ნ. დუბროვინის, ს. ბურნაშევის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული პირველხარისხოვანი მასალები, მათ შორის ქართველი მეფეების მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილი წერილები.

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომს იწყებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პირველი პერიოდის დახასიათებით. მართალია, ივანე ჯავახიშვილი ვერ მალავს თავის აღტაცებას ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით, მაგრამ ამასთან ერთად მას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე: სწორი იყო თუ არა „რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედება ვახტანგ VI-ის დროს საქართველოში“ და როგორი იყო მისი შედეგები?

1722 წელს რუსეთის იმპერატორ პეტრე I-სა და ქართლის მეფის ვახტანგ VI-ს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას ივანე ჯავახიშვილი შეცდომად მიიჩნევს. იგი სავსებით სწორად თვლის, რომ 1722 წლისათვის რუსეთი ირანთან ომს არ აპირებდა და, ამდენად, ვახტანგ VI-ს ირანის აგრესიისგან ვერ დაიცავდა. პეტრე I-ის მიერ 1722 წელს ირანზე ლაშქრობის შეწყვეტა და ვახტანგ VI-ის ირანის წინააღმდეგ მარტოდმარტო დატოვებას ივანე ჯავახიშვილი მოულოდნელად არ მიიჩნევს. მეცნიერი თვლის, რომ ვახტანგ VI-ს მეტი წინდახედულება უნდა

გამოეჩინა, გაეთვალისწინებინა ქართლის სამეფო დარბაზის აზრი და საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა. რუსეთის საიმპერატორო კარის კავკასიურ პოლიტიკაში ჩაუხედავი ქართლის მეფე გაუმართლებელ რისკზე წავიდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ვახტანგ VI-მ გვიან შეიტყო, რომ პეტრე I ირანის წინააღმდეგ ლაშქრობას წყვეტდა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის იმპერატორმა ქართლის მეფესთან თათბირის გარეშე მიიღო.

ივანე ჯავახიშვილი ვახტანგ VI-ის პროორუსულ ორიენტაციას საბოლოოდ ასეთ შეფასებას აძლევს: „მეორე მხრით, განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად „არის მტერი შენი“, რომ „ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა“ და „ამოსწყვიტა სჯულისა შენისა მოსავნიო“. საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუფარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ძარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა განეული და ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, პეტრე I-ისაგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ“, — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნა ეჭვს არ იწვევს, თუმცა მას არ იზიარებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია, რომელიც დიდის მონდომებით ცდილობს გაამართლოს პეტრე I-ის მოქმედება. ივანე ჯავახიშვილისათვის კი პეტრე I-ის მოქმედებას არანაირი გამართლება არ ჰქონდა: „როდესაც პეტრე I-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 12 ივნისს, 1724 წელს, სწრაფად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა. ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა: ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით“, — ვკითხულობთ ნაშრომში.

პეტრე I-ის „სრული პროგრეტის“ შექმნის მიზნით ივანე ჯავახიშვილი წერს: „პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისთვის შესაფერისი თავშესაფარისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ნებავდა. როდესაც ვახტანგ VI-ემ თავისი ოჯახობით აშტრახანში დასახლების ნებართვა ითხოვა, პეტრე I გარისხებული იყო: დახედეთ, უბედურების დროსაც მეფე მაინც ამპარტავნობას არ იშლისო. რუსეთის მეფის აზრით, ვახტანგ VI სადმე საქართველოს საზღვრის მახლობლად უნდა დასახლებულიყო და სწორედ ასეც მოხდებოდა, აშტრახანის გუბერნატორს რომ გულუბრყვილობა არ გამოეჩინა და ხელმწიფის დაუკითხავად პეტრეს სახელით ვახტანგისათვის მისი სურვილის ასრულება არ აღეთქვა“.

როგორ შეიძლება შეფასდეს ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია და ქართლის სამეფოსა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი? ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია არ ემყარებოდა რეალურ გათვლებს, სამხრეთ კავკასიაში ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირების შედეგად იმხანად შექმნილი ვითარებისა და მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების ანალიზს. ივანე ჯავახიშვილის ამ დასკვნის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. როგორ შეიძლება შეფასდეს პეტრე I მოქმედება? პეტრე I-მა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მარტოდმარტო მიატოვა თავისი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ვახტანგ VI და არა თუ სამხედრო ძალით, არამედ დიპლომატიური საშუალებებითაც კი არ უცდია მოკავშირის დაცვა. ეს იყო ღალატი! — ივანე ჯავახიშვილის ვერც ამ დასკვნის ჭეშმარიტებას დააყენებს ვინმე ეჭვქვეშ.

ივანე ჯავახიშვილი არ სვამს საკითხს, თუ რამ აიძულა ერეკლე II მომგებიანი პროირანული პოლიტიკა დიდი რისკის შემცველი პრორუსული პოლიტიკით შეეცვალა. სამაგიეროდ, ნაშრომში სავსებით ცხადადაა მინიშნებული, რომ ერეკლე II საბედისწერო ნაბიჯს არ გადადგამდა და რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში არ ჩაებმებოდა, რომ არა დაწოლა რუსეთის მხრიდან. ერეკლე II-ის რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმა ივანე ჯავახიშვილს მაინც გაუმართლებლად მიაჩნდა. ერეკლე II აშკარად აჩქარდა, მან რუსეთის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიაში რეალობად მიიჩნია. ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის მხარეზე ომში მონაწილეობით ქართლ-კახეთის სამეფომ არა

მარტო ოსმალეთი ამხედრა, არამედ ირანთანაც გაირთულა ურთიერთობა. მოგებული დარჩა მხოლოდ რუსეთის იმპერია: „რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის განევა თითქოს დაივიწყა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, საქართველოს ისევ თავისი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებელი გაფუჭებული დამოკიდებულება“, — ვკითხულობთ ნაშრომში.

ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.). იგი გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილ პარაგრაფში არ სვამს საკითხს: მომგებიანი იყო თუ არა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გეორგიევსკის ტრაქტატის დადება? წარმოადგენდა თუ არა გეორგიევსკის ტრაქტატი ქვეყნის ხსნის გზას? შეიძლებოდა თუ არა ხსნის სხვა გზა აერჩია ერეკლე II-ს? სამაგიეროდ, მომდევნო პარაგრაფი („1783 წ. ხელშეკრულების შედეგი“) პირდაპირ ასეთი დასკვნით იწყება: „1783 წ. ხელშეკრულების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ შეექმნათ „შიშნეულობა მხედრობის გამო რუსეთისა“ აზერბაიჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, მეფე ერეკლესთან კარგი განწყობილება ჰქონდა. მათ საღი ალლოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა“. ამ მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე აზერბაიჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტერობა დაივიწყეს და შეექმნათ ერთიერთმანეთისადმი „დაფარვით დინ-თასლიბისა თანხმობა“. როგორც ვხედავთ, გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგებს ივანე ჯავახიშვილი უარყოფითად აფასებს.

1783-1795 წლებში ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობის გაუარესებას და სამეფო ხელისუფლების დასუსტებას ივანე ჯავახიშვილი არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსის (გეორგიევსკის ტრაქტატის) უშუალო შედეგად თვლის. ალა-მაჰმად

ხანის ლაშქრობას, კრწანისის ბრძოლაში ქართველთა მარცხს და თბილისის აოხრებას (1795 წ.) მეცნიერი რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიიჩნევს.

რუსეთის დამოკიდებულება ქართველი ერის ბედისადმი და რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნამდვილი მიზნები სავსებით ცხადი იყო ივანე ჯავახიშვილისათვის: „რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დანიინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს სრული გულახდილობით გამოთქმული გრაფ. ნ. პანინის პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი ნადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართულიო. მაშასადამე, რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად“.

რა მიზეზებმა განაპირობა ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციის მარცხი? მიზეზი ბევრია. მათგან ერთ-ერთად ივანე ჯავახიშვილი ქართველი პოლიტიკოსების, ქართველი დიპლომატების მიერ დაშვებულ შეცდომებს მიიჩნევს. რუსეთის საიმპერატორო კარის ვერაგულ ზრახვებს ალლო ვერ აუღეს ქართველებმა: „მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკიოდა და მისი მნუხარება თავის მნუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადი-

ანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ“.

რამდენადაც მწარე არ უნდა იყოს ჩვენთვის ივანე ჯავახიშვილისეული დასკვნა ქართველი პოლიტიკოსებისა, ქართველი დიპლომატების არაპროფესიონალიზმის, პირდაპირ ვთქვათ, უუნარობის თაობაზე, იგი ზუსტად ასახავს სინამდვილეს და არანაირად არ შეიძლება გადაჭარბებულად, მიკერძოებულად ჩაითვალოს. ივანე ჯავახიშვილი ლოგიკურ კავშირს ხედავს ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციის მარცხსა და ქართლ-კახეთის სამეფოში შიდაპოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას შორის. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება (1801 წ.) ივანე ჯავახიშვილს წამგებიანი პრორუსული ორიენტაციის კანონზომიერ შედეგად მიაჩნდა. არც ამ დასკვნის ჭეშმარიტებაში შეიძლება ეჭვის შეტანა.

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომებით „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ მეცნიერული, არგუმენტირებული პასუხი გასცა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მიკერძოებულ, ტენდენციურ შეხედულებას საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. ბოლო მოელო სიცრუის იმგვარ განუყოფელ ბატონობას, როგორსაც თითქმის ერთი საუკუნე დიდის გულმოდგინებით ამკვიდრებდა რუსული ისტორიოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები შეიძლებოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ობიექტური კვლევის საფუძველი გამხდარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. 1921 წლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკვალული გზით ქართული ისტორიოგრაფია ველარ ნავიდოდა. საბჭოთა პოლიტიკური სისტემა, კომუნისტური იდეოლოგია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ობიექტურ კვლევას არ დაუშვებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის გაშუქება პრაქტიკულად რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული საქმეებისა და დასკვნების მიხედვით წარმართა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ისტორიის ფალსიფიკაციის პროცესში კიდევ გადააჭარბა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას. ასე

აღმოჩნდა ქეშმარიტების მაძიებელი ივანე ჯავახიშვილი სიცრუის მთესველი ორ ისტორიოგრაფიულ სკოლას — რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიასა და საბჭოთა ისტორიოგრაფიას შორის. ივანე ჯავახიშვილი, როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მკვლევარი, ჯეროვნად ვერ დაფასდა საბჭოთა წყობილების დამხობისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. თავისუფალი საქართველოს ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა თუ უარყოფითი არა, გულგრილი დამოკიდებულება მაინც ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებისადმი. ჩვენი მიზანი სწორედ ამ უარყოფითი თუ გულგრილი დამოკიდებულების უსაფუძვლობის დამტკიცება იყო.

**ვასტანბ გურული**

*ისტორიკოსი*

*„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

## დამოკიდებულება მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდანვე ქართული ეროვნული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელად იქცა. უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურ როლს ასრულებდნენ რესპუბლიკის ყველა დონის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში. 1918 წელს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმა, სადაც იგი ვრცლად საუბრობდა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც ამ ფაკულტეტს ეკისრა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

„ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც უნდა იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი ან სიბრძნისმეტყველების, ან კიდევ ფილოსოფიურ ფაკულტეტთან სალექციო გეგმა და ნასაკითხი საგნების სია უნდა იყოს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს... და მის ერთადერთ მიზანს საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობისა, საეკლესიო სამართლისა და ზნეჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა იყოს. ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს, სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩაითვლება“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ეს პროგრამა დიდი სჯაბაასის საგანი გამხდარა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინაშე. ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა, რასაც, ბუნებრივია, კამათიც მოჰყოლია. სწორედ ამის გამო ივანე ჯავახიშვილი გაბედულად ასაბუთებდა თავის მოსაზრებას და ამით იგი უპირისპირდებოდა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს, ვინც ცდილობდა, რელიგიისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თავს მოეხვია უნივერსიტეტის პროფესურისათვის. მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაც-

ერად უყურებენ. ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯაბაასიც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამნუხაროა ვნებათა აღრევა და გაუგებრობა... ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება ან უარყოფა, ურწმუნობა, რწმენა ყოველი ადამიანის პირადი შეგნებისა და, რასაკვირველია, გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნობათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერი შემოქმედების ერთ-ერთი უძლიერესი დარგის გამოხატულობაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. ამიტომ თეორიით მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნობათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას, რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერი შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა,“ — ივანე ჯავახიშვილი თავისი პოზიციის ამგვარი გამოხატვით ცდილობდა, წინ აღდგომოდა მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იყო რელიგიის სწავლების წინააღმდეგ უნივერსიტეტში.

ადგენდა და იხილავდა რა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალ სამოქმედო გეგმას, ივანე ჯავახიშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, განსაზღვრავდა აგრეთვე იმ მომავალი საგნების სიასაც, რომელიც აქ უნდა წაკითხულიყო:



საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველების და საეკლესიო მწერლობის ისტორია, ქართული ძველი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია, საეკლესიო სამართალი. ლექციები უნდა წაკითხათ ღვთისმეტყველების მაგისტროსს, პროფესორ კორნელი კეკელიძესა და პროფესორ იოსებ ყიფშიძეს. მაგრამ მთავარი იყო იმ კათედრის სახელწოდების შერჩევა, რომელიც შემდეგ ამ საქმეს უხელმძღვანელებდა.

1920 წლის იანვარში ივანე ჯავახიშვილის მიერ უნი-

ვერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაისვა საკითხი, რათა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გამოყოფილიყო განსაკუთრებული ჯგუფი „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა შესასწავლად. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ სახელის გამოძებნა



კორნელი კეკელიძე

ამ დარგისა, გარკვევა მისი სამეცნიერო დისციპლინებისა და შემდგომ სამოსწავლო გეგმის შედგენა“. 1920 წლის 11 თებერვლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომათა დღიური გვამცნობს: „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დაარსების შესახებ, შემდეგის დამატებით: შეტანილ იქნეს რელიგიის ფილოსოფიის კურსი“.

ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურ მუშაობას აწარმოებდა სასულიერო განათლებამიღებული კორნელი კეკელიძე. მან დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით შეიმუშავა სარწმუნოების დარგის მონყობის გეგმა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს განსახილველად 1920 წლის 29 ივნისს წარუდგინა. ამრიგად, საარქივო მონაცემებით, უნივერსიტეტში შეიქმნა „სარწმუნოებრივი მეცნიერების ახალი დარგი, ხოლო მომავალი სემესტრიდან მხოლოდ საქრისტიანო სარწმუნოების განყოფილება, რომელიც თავის თავში მოიცავდა საქრისტიანო სარწმუნოების სფეროს, მოგვიანებით მას ემატება რელიგიის ფილოსოფიის კურსიც“.

თითქოს წინასწარმეტყველებასავით გაისმა საქართველოს ეკლესიის მამამთავარ კირიონ II-ის ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეს წარმოთქმულ სიტყვაში გამჟღავნებული სურვილი, რომ „ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გაიხსნას ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი... სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქერდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებას“.

ქართველი სასულიერო ფენა იმედოვნებდა, რომ ახლად-ფეხადგმულ უნივერსიტეტში საეკლესიო პირებსაც ექნებოდათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ქართველ მრევლს ამიერიდან ეყოლებოდა ეროვნულ განათლებას ნაზიარები სამღვდელთა. საარქივო მასალებმა შემოგვინახეს ცნობები იმ საეკლესიო მსახურთა შესახებ, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა „ეკლესია-მონასტრებში მღვდელმსახურებთან ერთად ირიცხებოდნენ უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელებად“. ჭრუჭის ეკლესიის არქიმანდრიტი პავლე, რომელიც ათონის მონასტერშიც იმყოფებოდა 2 წლის განმავლობაში, ითხოვდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად მიღებას: „რადგან მოვესწარი ქართულ უნივერსიტეტს, სურვილი მაქვს არ მოვაკლდე სწავლა-განათლებას და ვიქნე უფრო ერთგული მსახური ჩვენი ერისა და ეკლესიისაო“, — სწერდა არქიმანდრიტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

1918-1921 წლებში ქარველ მეცნიერთა ყურადღება, ზოგადად, რელიგიისა და, განსაკუთრებით, ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისაკენ იყო მიმართული. ცარისტული პოლიტიკის შედეგად საქართველოში ბევრი ტაძარი გაიქურდა, ბევრიც კირით გადათეთრდა, ხოლო მოგვიანებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაცემული განკარგულების შედეგად, დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტერი, დაიტაცეს და სახლებში წაიღეს უნიკალური საეკლესიო სარიტუალო ნივთები და ხატები. საჭირო იყო დარჩენილის გადარჩენა და, ბუნებრივია, ამ საქმის მეთაურადაც უნივერსიტეტის მეცნიერები მოეწოდნენ. დაარსდა სამუზეუმო ფონდი, რომელმაც, ფაქტობრივად, ბევრი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთი გადაურჩინა ერს.

დაწესდა წამახალისებელი პრემიები იმ სასტუდენტო თემისთვის, რომელიც ქართულ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეეხებოდა. აი, რას წერდა 1920 წლის 15 მარტით დათარიღებულ განცხადებაში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი: „ამასთანავე ვადგენ 4000 მანეთს და გთხოვთ ეს ფული ხელუხლებელ თანხად დაიდოს, რომლის სარგებელი უნდა მოხმარებულ იქმნას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მიერ სარწმუნოების და ეკლესიის ისტორიის დარგიდან დროგამოშვებით გამოცხადებულ თემაზე სტუდენტთა მიერ საუკეთესო თხზულებათა დასაჯილდოებლად... ჩემი სურვილია, რომ ჯილდოს

ჩემი განსვენებული მეუღლის ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ ორბელიანის სახელი ჰქონდეს.“ ამ დოკუმენტს ახლავს რექტორის მინაწერი: „უნივერსიტეტის გამგეობამ სასურველად სცნო თუ თქვენი დასტურიც იქნება თანხის სარგებელი ერთდორიულ დახმარებად ეძლეოდეს თქვენ მიერ შერჩეულ მოსწავლეს“.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა გამოყო კომისია ა. შანიძის, დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძის შემადგენლობით და დაავალა მათ, შეემუშავებინათ წესდება საპრემიო თხზულებათა შესარჩევად. ასე უწყობდა ხელს თბილისის უნივერსიტეტი სტუდენტებში მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მეცნიერული ინტერესის გაღვივებას.

იმდროინდელი მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ცდილობდა „განათლების ეკლესიისაგან გამიჯვნას, ამით ისინი ფაქტიური გზამკვლევი აღმოჩნდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკისა საქართველოში. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება საერო სასწავლებლებზე გამახვილდა, სადაც სასულიერო დისციპლინების სწავლება იზღუდებოდა“.

1919 წლიდან სასწავლო პროგრამებიდან ამოღებული იქნა საღვთო სჯულის სწავლება. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ამ პოლიტიკამ საბოლოო ლახვარი ჩასცა იმ ეროვნულ სასკოლო განათლებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად საქართველოში არსებობდა.

ნიშანდობლივია, რომ საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საერო სასწავლებლის პედაგოგთა შორის, ისევე საკათალიკოსო საბჭოს წევრებში, რომლებმაც 1920 წლის 21 აპრილს დახმარებისათვის მიმართეს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. საკითხის სათანადო შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საკათალიკოსო საბჭოს ამცნო, რომ „საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში სასწავლო გეგმის საკითხია“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტის პროფესურა არ ეთანხმებოდა ხელისუფლების საგანმანათლებლო რეფორმას და ქართული ტრადიციის ერთგული რჩებოდა.

ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმის გატარებაში აქტიურად ჩაებნენ უნივერსიტეტის მეცნიერები. ეროვნული

განათლებისა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლების დაშვება-გამართლებისათვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოქმედების ნაირსახოვან ფორმებს მიმართავდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახალხო განათლების კომისიის წევრმა გრიგოლ ნათაძემ შემოიტანა წინადადება „საღვთოსჯულის მაგიერ შეტანილი ყოფილიყო პროგრამაში რელიგიათა ისტორია და ეთიკა. ნ. ნანეიშვილს კი მიაჩნდა, რომ რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებულია რელიგიის წარმოშობის სხვა საკითხებიც, ეს პრობლემები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ფილოსოფიასთან. ბოლოს კი სარწმუნოების ისტორია რელიგიის ფილოსოფიის ისტორიის სახეს მიიღებს“.

თუ გადავხედავთ იმ პერიოდის საარქივო მასალასა და პერიოდიკას, დავინახავთ, როგორ ცდილობდა წინ აღდგომოდა ქართული საზოგადოება მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. სასულიერო ფენა, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ცდილობდა, ლავირების გზით გადაეჭრა ეს პრობლემა. ხობის ეკლესიის არქიმანდრიტი იოანე კანდელაკი სწერდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას: „ყველაფერზე უფრო შემძლები და შეუდარებელი მოსწავლეების ზნეობრივი აღზრდისას წარმოადგენს სარწმუნოება. ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას, რათა საღმრთოსჯული საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში ისევ იქნეს მიღებული სასწავლო საგნად. ვინაიდან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და ამ ეკლესიის მსახურნი წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანესებულებას, ვინაიდან სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხოლო ეკლესია კი ზნეობრივად ამალღებს ცხოვრებას ქრისტეს ჭეშმარიტების შეცნობით“.

ამრიგად, ქართულ საზოგადოებას დაუშვებლად მიაჩნდა ქართული ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების უგულვებელყოფა, რადგანაც ეკლესია და სახელმწიფო ერთი განუყოფელი ნაწილია და თუ ქართველი ერი ფიზიკურად და ზნეობრივი თვალსაზრისით გადარჩა, ამაში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. „ეკლესია არ უნდა იქნეს განცალკევებული სახელმწიფოსაგან, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო კანონების მფარველობით და მატერიალური მხრით უნდა იყოს უზრუნველყოფილი“.

თუ თვალს გადავავლებთ 1918-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტე-

ტის მოღვაწეობას, რომლის დეკანიც კ. კეკელიძე იყო 1919 წლიდან, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი შრომა მიუძღვის მას „ქართული ეკლესიის ისტორიის, ზოგადად, სარწმუნოებრივ მეცნიერებათა შესწავლის, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების დამკვიდრების მიმართულებით უნივერსიტეტში“. შეიძლება ითქვას, რომ ამ რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას ქართული უნივერსიტეტის პროფესორამ ჩინებულად გაართვა თავი.

**ივანე ჯავახიშვილი**

*თსუ-ის მუზეუმის თანამშრომელი*

**ზურაბ ბაიკარაშვილი**

*თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი*

*„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

## გადასახლებული სტუდენტების წერილი თუ დაბეჭდილი საფანგი?!

1937 წლის განუკითხაობას მრავალი ახალგაზრდა შეეწირა, მათ შორის, უნივერსიტეტის სტუდენტები. ზოგისთვის ძნელი შესაგუებელი იყო ცხოვრების საბჭოური წესი, ზოგი ჩუმად ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მათგან მცირედი ბედავდა ხმამაღლა ამის გაცხადებას თუ მოქმედებას, თუმცა ბევრი მათგანი მოხვდა ციხეში, საკონცენტრაციო ბანაკებში, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

მკითხველს ვთავაზობთ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცული ერთი წერილის კუბლიკაციას, რომელიც ივანე ჯავახიშვილისთვის შუა აზიაში გადასახლებულ სტუდენტებს მოუწერიათ. დიდხანს ეს დოკუმენტი საიდუმლო გრიფით ინახებოდა და მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი იყო. წერილი ჩადებულ იყო კონვერტში, მარკის გარეშე. კონვერტს აქვს მხოლოდ თბილისის საფოსტო დამლა. რუსულად მელნით აწერია: „Гор. Тбилиси, Ваке. Уваж. Професору Ивану Джавахишвили. Лично. Из Узбекистана“. ამავე კონვერტზე განსხვავებული ხელით მიწერილია: „Ул. Калинина, 66“ - ივანე ჯავახიშვილის სახლის მისამართი. უნდა ვივარაუდოთ, რომ წერილი უნივერსიტეტში მიიტანეს და უნივერსიტეტიდან გადაუგზავნეს ადრესატს, სწორედ ამიტომ აქვს კონვერტს საფოსტო დამლა.

უცნობი დარჩა სტუდენტების ვინაობა, რომლებმაც ეს წერილი დიდ მეცნიერს გამოუგზავნეს. არც ისაა ცნობილი, ბარათი ნამდვილად გადასახლებული და განწირული ახალგაზრდების ხელითაა დაწერილი, თუ ეს წერილი ივანე ჯავახიშვილისთვის დაგებული ხაფანგი იყო. სამწუხაროდ, ისიც უცნობია, თუ როგორ მოიქცა ივანე ჯავახიშვილი, განაცხადა თუ არა წერილის მიღების შესახებ, სცადა თუ არა სტუდენტების დახმარება? ერთი კი ფაქტია, ივანე ჯავახიშვილმა წერილი არ გაანადგურა და მას სახლში ინახავდა. თუნდაც ეს ფაქტი, იმ დროს, გმირობის ტოლფასი იყო.

უნუგეშო ახალგაზრდების წერილში მეტად თვალშისაცემია მათგან არაადეკვატური ემოციების გამოვლინება — ჯალათური მოპყრობის მიუხედავად, სტუდენტები მაინც სტალინსა და ბერიასზე ლოცულობდნენ და უგზო-უკვლოდ ეძებდნენ დამსჯელთ. წერილის შინაარსის გაცნობა უკეთ შეგაძლებინებთ შესაბამისი დასკვნების გამოტანასა და ანალიზს.

„1938 წ. 5/XII სპეცლაგერი

ჩვენო უძვირფასესო დიდო პროფესორო პატივცემულო ივანე!  
სალამი შუა აზიის უდაბნოებიდან!

პირველად დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, რომ რამოდენიმე წუთი უნდა წაგართვათ თქვენი ძვირფასი დროიდან, მაგრამ იმედი გვაქვს, გვაპატიებთ.

პატივცემულო პროფესორო, ჩვენ ერთმა ჯგუფმა სტუდენტებმა, რომლებიც უმართებულოთ დაგვაპატიმრეს, შემდეგ კი უკანონოდ გადმოგვასახლეს აქეთ, გადავწყვიტეთ მოგვემართნა თქვენთვის და თქვენი საშუალებით ჩვენი სიალალმართლე, სავსებით უდანაშაულობა გვეცნობებია ჩვენი მამისათვის — დიდ სტალინისათვის და მის ერთგულ მოწაფის დიდათ პატივც. ბერიასათვის (ჩვენ აქედან არა ერთხელ დაუგზავნეთ საჩივრები, მაგრამ მთელი 100% ვართ დარწმუნებული, რომ აღნიშნული წერილები მათამდე არ მივიდა, ვილაც მტერმა უსინდისოთ გადაყლაპა ისინი).

პატივცემულო პროფესორო, ჩვენი სამშობლოს სიამაყევ, ჩვენ კარგათ გვესმის თქვენი გულის ნადები, თქვენი კეთილშობილება, თქვენი მაღალ-ჰუმანური გრძნობები და იმიტომაც გწერთ.

გვიშველეთ, ვიღუპებით, ბევრი ახალგაზრდა უკვე სამუდამოთ გამოეთხოვა ამ მუხთალ წუთისოფელს, სიკვდილის მომენტში მათ გამხდარ, ათრთოლებულ ტუჩებზე მხოლოდ და მხოლოდ ის ეკერა „ჩვენ უდანაშაულო ვიყავით, მუხთალმა მტერმა ჩაგვყარა, გადაეცით დიდ სტალინს, ბერიას, ფ. მახარაძეს, რომ ცამდე ალალმართალი ვიყავით, არასოდეს გვიფიქრია სამშობლოს



ღალატი და ამ უდაბნოში ვკვდებით როგორც საუკეთესო სამშობლოს ერთგულნი, მშვიდობით მიწა-წყალო, მშვიდობით ჩვენო უტკბილესო უნივერსიტეტო, მშვიდობით ჩვენო დაჩაგრულო და გაუბედურებულო მშობლებო. გადაეცით მხურვალე სალამი ჩვენს პროფესორებს, განსაკუთრებით კი დიდ პროფესორს პატივც. ივანე ჯავახიშვილს“...

აი, პატივიც პროფესორო, ვინა ვართ და რათ ვიტანჯებით ტყუილ-უბრალოთ, გვიშველეთ, ვინც ჯერ ცოცხალნი ვართ, პირში სულები შეგვრჩა, ვგავართ ნამდვილ აკლდამიდან ამოღებულ ჩონჩხებს, გეხვეწებით, გემუდარებით შეგვიბრალეთ. ჩვენ ერთი მუჭა მტვერი ვართ სტალინის ფეხისა, ვკვდებით, ჩვენი თვალით ვხედავთ ხმაღ ამოღებულ სიკვდილის აჩრდილს, შიმშილმა, წყურვილმა (ნეტა ერთხელ კიდევ დაგვალევიან ჩვენი სამშობლოს დიდი მდინარის მღვრიე მტკვრის წყალი, ერთხელ მაძღრისად გაგვადლო ჩვენი ქართული პური, ერთხელ კიდევ გვაყნოსია ჩვენი სამშობლოს ჰაერი), სიცივემ, 45 გრადუსი ყინვებია, ჩვენ კი ტიტვლები ვართ თითქმის აღარც ცხვირპირი შეგვრჩა, აღარც ხელ-ფეხი, მთელი სხეული, ეს დაძაბუნებული ჩვენი ლემი, მოძრულია, ჭკვა-გონება დაგვეჩლუნგა, ნერა-კითხვა დაგვაგინცდა, ნიგნის ასოები რა ფერისაა აღარ ვიცით, სულიერათ დაცემული ვართ არავითარი მიწერ-მოწერის ნებას არ გვაძლევენ ჩვენიანებთან, არც იმათ იციან სადა ვართ და არც ჩვენ ვიცით მათი მდგომარეობა, აგერ ნელინადი, 2 ნელინადი უსრულდება ზოგს და ამ ხნის განმავლობაში მონყვეტილი ვართ მათგან, რა არი ეს, ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რომ ეს ყველაფერი იცოდეს დიდმა სტალინმა და არაფერი ზომები არ მიიღოს ასეთ არანორმალურ და ბარბაროსულ მდგომარეობის გამოსასწორებლათ. არ გვჯერა არა და არა. დიდი სტალინი, პირველყოფლისა ხომ ადამიანია, იმასაც აქვს გული, ჰუმანური გრძნობები, ისიც მშობელია და ადვილათ მიხვდება ყველაფერს. რაც ადამიანი დიდია, ბუმბერაზი, მით უფრო ლმობიერი ხდება და კეთილშობილი.

პატ. ივანე, ჩვენ უნივერსიტეტში არ ყოფილა არავითარი ფაშისტული ორგანიზაცია, ჩვენ არ ვიცით და არც გვსმენია ასეთი რამ, ჩვენ დაგვაპატიმრეს 1938 წლის იანვარ-თებერვალში და რა დიდი იყო ჩვენი განცვიფრება, როცა შინსახკომში აუტანელი ინკვიზიციური წამების შემდეგ წინადადება მოგვცეს ხელი მოგვენერა განაჩენზე, რის შემდეგ გადმოგვასახლეს აქეთ. იტყვიან თუ რათ მოვანერეთ, მართალია დიდო პროფესორო, არ უნდა მოგვენერა, მაგრამ ჯერ ერთი იმ წამებას ათასჯერ გვერჩია, მერე ჩვენ ხომ ჯერ გაუფორმებელი ადამიანები ვიყავით, ბავშვები (ძველი დროის 30-35 წლ. კაცები ხომ არ ვიყავით). ცუდი არასოდეს გვენახა მუდამ ვცხოვრობდით დიდი სტალინის და ბერიას გამთბარი მზრუნველობის ქვეშ. ეხლა კი როცა ასეთი სიმწარე ვიგრძენით, უნდა გამოვტყდეთ — შევშინდით, ავკანკალდით, ავცახცახდით და ჩვენც ჩვენდაუნებურათ რაზე მოვანერეთ ხელი, არ გვახსოვს.

ტროიკამ 10-10 წლით გადმოგვასახლა აქეთ, რატომ, რისთვის, დღესაც არ ვიცით, ვფიცავთ ჩვენ ახალგაზრდობას, ვფიცავთ დიდი სტალინის უმანკო სახელს, ვფიცავთ მის დედის საფლავს, რომ ჩვენ 100% ალალ-მართალი ვართ, ყველანი სწავლის ფრიადოსნები ვიყავით, ნე-სიერი კომკავშირლები, საზოგადო მოღვაწეები და სწორეთ მტერმაც ჩვენ გამოგვარჩია ბრინჯივით. გვიშველეთ, გკოცნით ხელებზე ჩვენო მამა, გააკეთეთ ისტორიული დიდი საქმე და გვიხსენით ახალგაზრდები სიკვდილისაგან.

ტაშკ. მხარეს გადასახ. სტუდ.“

## ზურაბ ბაიპარაშვილი

თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი

„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.



ივანე ჯავახიშვილის ძეგლთან უნივერსიტეტის ეზოში დღეს ხშირად დაინახავთ ძეგლის მახლობლად ჩამომსხდარ სტუდენტებს. მართალია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც პოეტურ თვალეში ცეცხლ-ანთებული ახალგაზრდები უნივერსიტეტის ბაღში ქართველ პოეტთა თუ მწერალთა შემოქმედებას კითხულობდნენ და მიმოიხილავდნენ, მაგრამ ბალი დღემდე სავსეა სტუდენტებით. ყველა მათგანმა ივანე ჯავახიშვილის მნიშვნელობისა და ღვაწლის შესახებ, შესაძლოა, ზედმინევნით არ იცოდეს, მაგრამ უნივერსიტეტის პანთეონში ივანე ჯავახიშვილის ძეგლს კი ყველა ნამდვილად ცნობს და მისადმი პატივისცემა ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც დღეს ტელეეკრანებიდან მხოლოდ პოლიტიკური შოუებით აწვდიან „საზრდოს“ და ღირებულს — ნაკლებად თულა ასწავლიან... სწორედ ამ ფონზეა საინტერესო დღევანდელი სტუდენტების დამოკიდებულება უნივერსიტეტის დამაარსებლისადმი და ჩვენს კრებულში სწორედ ამიტომ შევიტანეთ ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტის წერილი ივანე ჯავახიშვილზე.



ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი თსუ I კორპუსის ფოიეში.  
მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

## ❧ 12 ❧

### ის, რაც არ ცვდება დღევანდელი სტუდენტის თვალში...

არაერთი ევროპული სახელმწიფოს ნაციონალური იდენტობა განაპირობა რიგმა ისტორიულმა მოვლენებმა. დასავლეთში საერთო ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას გარკვეულ ისტორიულ ნარტივებსა თუ თავგადასავლებს უკავშირებენ. საფრანგეთი ბასტილიის აღებითა და აბსოლუტიზმის სანინაღმდეგო რევოლუციით იწონებს თავს, დიდი ბრიტანეთი კი — მეჩვიდმეტე საუკუნეში მყარად დაფუძნებული კონსტიტუციური მონარქიით. გერმანელები, მათი იდენტობის ხელახლად ფორმირების გზაზე, მთავარ მოვლენად ქვეყნის გაერთიანებასა და ბერლინის კედლის დაცემას მიიჩნევენ. ალბათ, საინტერესო იქნება, თუ საქართველოსა და ქართული საზოგადოების ეროვნულ ნარატივზეც ვისაუბრებთ. ცხადია, უამრავი ომისა და ბრძოლის გახსენება შეგვიძლია. არაფერს დავაშავებთ, თუ საკვანძო მოვლენის ძებნას მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში დავიწყებთ. თუმცა, ეროვნული ნარატივის აღმოჩენა უახლეს ისტორიაში, მოდერნის ეპოქაშიც შეგვიძლია.

ჩემთვის დემოკრატიული საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირება პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებით იწყება. ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და დეკოლონიზაციის მიმართულებით მთავარი ნაბიჯი ქართულენოვანი, სეკულარული და მრავალეროვანი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტის დაარსება გახლდათ. უნივერსიტეტმა ჩვენს საზოგადოებას, საქართველოს მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა — ნებისმიერი მოვლენის (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ბუნებრივი და ა.შ.) ცოდნის საფუძველზე გააზრებისა და განვითარების ახალი, შესაბამისი პერსპექტივების დასახვისა. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ივანე ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის დამფუძნებელი, უპირველეს ყოვლისა, ქართული სამოქალაქო ნაციონალიზმის ბურჯი გახლავთ, რომელმაც წარმატებით და ყველაზე ადეკვატურად გააგრძელა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული საქმე.

შეუძლებელია ივანე ჯავახიშვილის ისტორიული ფიგურა სოლიდარობის თვალსაზრისითაც არ განვიხილოთ. უნივერსიტეტის დაარსებამდე პროფესორმა ჯავახიშვილმა მთელ მსოფლიოში დააგზავნა სპეციალური ანკეტები. ანკეტები სხვადასხვა სასწავლებელში მიმოფანტულმა ქართველმა პროფესორებმა მიიღეს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პედაგოგი მათ წარმატებული კარიერის დროებით მიტოვებისა და სასწავლო-სამეცნიერო კერის დასაფუძნებლად საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. ჯავახიშვილის განსაკუთრებული მონდომებისა და შემართების წყალობით, რამდენიმე ათეული მეცნიერი საერთო მიზნით გაერთიანდა და საქართველოში დაბრუნდა. არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ მაშინ საქართველოსა და რეგიონის მომავალი ბუნდოვანი გახლდათ; რუსეთის ყოფილი იმპერია უმძიმესი სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა; საქართველოს მოსახლეობა აუტანელ სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებაში ცხოვრობდა; ყოველდღიურად იზრდებოდა ინფლაცია და არსებობდა სერიოზული რისკი პირველადი საჭიროების საგნებზე დეფიციტის წარმოქმნისა. მიუხედავად ამისა, წარმატებული მეცნიერები საქართველოში დაბრუნდნენ და უნივერსიტეტი დააარსეს. უნივერსიტეტის დაარსება მეცნიერთა სოლიდარობის შედეგად მოხერხდა. აღნიშნული სოლიდარობის მთავარი ორგანიზატორი და უმთავრესი სულისჩამდგმელი კი სწორედ ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის პირადი ცხოვრებაც. თბილისში დაბადებულ და გაზრდილ მოქალაქეს საქართველოს დედაქალაქში საკუთარი სახლიც კი არ ჰქონია. წლების განმავლობაში იგი საერთო ბინაში, ფარდით გამოყოფილ ოთახში ცხოვრობდა. ყოველგვარი გადაჭარბებისა და უცნაური ემოციების გარეშე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ პროფესორი თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი პალტოთი და ერთი ხელჩანთით სარგებლობდა. უნივერსიტეტში მისი კაბინეტიც კი პატარა კუთხეში, რამდენიმე კვადრატულ მეტრიან ოთახში იყო მოწყობილი. აღნიშნული დეტალების გახსენებით მხოლოდ ჯავახიშვილის იდეალიზმზე მიგანიშნებთ. პროფესორი ნამდვილი იდეალისტი გახლდათ, რომლისთვისაც პირადი სიმდიდრე და კეთილდღეობა, ფუფუნება მეორეხარისხოვანი იყო. მისთვის მთავარი უნივერსიტეტი და მისი განვითარების შესაძლებლობები გახლდათ. იგი ინდივიდუალისტურ მოთხოვნებზე მალლა საჯარო სიკეთეს აყენებდა.

მე არც ისტორიკოსი გახლავართ და არც ეთნოგრაფიის სპეციალისტი. შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ ავიღებ. თუმცა, ნამდვილად შემძლია უნივერსიტეტის დამფუძნებლის შეფასება პოლიტიკის მეცნიერების პერსპექტივიდან. 1919 წლის 27-28 აპრილს პროფესორმა თსუ-ში ლექცია ნაიკითხა, რომელიც მაშინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკას უკავშირდებოდა. ჯავახიშვილმა ზედმინევენით, მთელი სიზუსტით გააანალიზა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება. რაც მთავარია, მან უზუსტესი გაფრთხილება მისცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ჯავახიშვილს საქართველოს საგარეო პოლიტიკის „გულუბრყვილობის“ ემინოდა. იგი დაუშვებლად მიიჩნევდა რომელიმე იმპერიის დეკლარირებული განზრახვებისადმი ნდობის გამოვლენას. პროფესორი ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთთან გასაფორმებელი ხელშეკრულების განხორციელების შესაძლებლობას და ქართულ საზოგადოებას განსაკუთრებული სიფრთხილისა და სიფხიზლისკენ მოუწოდებდა. ლექციიდან ერთი წლის შემდეგ მართლაც გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. საქართველოს მთავრობას ოკუპაციის დაწყებამდე გულუბრყვილოდ სწამდა ხელშეკრულების ხელმომწერთა უანგარობისა და პატიოსნების. საუბედუროდ, 1919 წელს ნაკითხული ლექციის თითქმის ყველა დასკვნა რეალობად იქცა. აღნიშნული მოხსენების საფუძველზე ნამდვილად შეგვიძლია, საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებულ ანალიტიკურ შესაძლებლობებზე ვიმსჯელოთ.

მამასადამე, ჩემთვის, როგორც რიგითი სტუდენტისათვის, ივანე ჯავახიშვილი გახლდათ შესანიშნავი ანალიტიკოსი და მამაცი იდეალისტი, რომელმაც მეცნიერთა სოლიდარობის ორგანიზების ხარჯზე დემოკრატიული საქართველოს ეროვნული ნარატივი დაწერა.


## **ივანე ლორთქიფანიძე**

*თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა*

*ფაკულტეტის მაგისტრანტი*

*„თბილისის უნივერსიტეტი“, №5, 2015 წ.*

ივანე ჯავახიშვილის მისალოცი წერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულად ცნობასთან დაკავშირებით, 1922 წ.



## პიროვნული უტრისებით „ნაქარნი“ ივანე ჯავახიშვილი

აუცილებელია დიდი პიროვნების წარმოსაჩენად მისი ყოფითი, მიწიერი ან, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობდა — „ადამიანური, ჭარბად ადამიანური“ ბუნების ჩვენება. ამით, არა მგონია, ივანე ჯავახიშვილზე ჩვენი ამაღლებული წარმოდგენის „დამინება“ მოხდეს, თუმცა მასთან დაახლოებას, მისი ხატების გაადამიანურებას კი უეჭველად შევძლებთ.

რატომ ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს თავის დროზე ესოდენ დიდი სახელი? რატომ იმსახურებდა თანამედროვეთა პატივისცემასა და აღიარებას? რატომ გამოსჭვივის გარშემო მყოფთა მოგონებებში უდიდესი მონინება მისდამი? რატომ იქმნებოდა მთარული მითები მის შესახებ? (მაგალითად, ამბობენ, ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველი ესტუმრა ტყეში გაჭრილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ამით თავისი თანადგომა დაუდასტურაო — ეს მითია თუ რეალობაც შეიძლება იყოს?) — მსგავს კითხვებზე პასუხების გასაცემადაა სწორედ საჭირო — ჩავუღრმავდეთ ამ ადამიანს... ვინ იყო იგი? რა ხასიათი, ბუნება, ზნე, მორალი, თვისებები მოსდგამდა?

ივანე ჯავახიშვილზე მისი უფროსი კოლეგა და მეგობარი ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „იშვიათია კაცი, რომელსაც ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილს კი, სანთლით რომ გეძებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოუჩენდით. ის სრული ღირსების მქონე ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემმატკივარი...“

რა მოგონებები შემორჩა ისტორიას, რომელზეც ივანე ჯავახიშვილის შთამომავლები, მეგობრები, ახლობლები, მწერლები და უბრალოდ ნაცნობები წერენ? — ფრაგმენტულად მათი მოგონებების წარმოჩენა ერთგვარ შთაბეჭდილებას შეგიქმნით ივანე ჯავახიშვილზე, როგორც პიროვნებაზე, რომელიც უყვარდათ, რომელსაც აფასებდნენ, რომლის სიმაღლემდეც ვერ ადიოდნენ — ფეხი უსხლტებოდათ და ცვიოდნენ... რა სიმაღლეზე ვსაუბრობთ? — ამაზე ჩვენი „მოგონებანი“ შეგიქმნით წარმოდგენას.

## ბაასის თემა — საქართველო და მისი წარსული

1876 წლის 11 (23) აპრილი...

ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახმა ვაჟიანობა იზეიმა...

დაიბადა ივანე ჯავახიშვილი...

ჯავახიშვილთა ძირძველ გვარს კიდევ ერთი ვაჟი შეემატა.

როგორც ისტორიული საბუთებიდან დგინდება, ჯავახიშვილთა გვარი თორელებისგან მომდინარეობს. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა (XIV ს.), რომლის შთამომავლები ინოებებიან თორელ ჯავახიშვილებად ან, ჩვეულებრივ, ჯავახიშვილებად. ჯავახიშვილები შუა საუკუნიდან მოყოლებული ჩანან საქართველოს ისტორიაში, როგორც მნიშვნელოვანი ფეოდალური საგვარეულო. ჯავახიშვილთა ერთი შტოს სამფლობელო ჩანს ხოვლე, იმ შტოსი, რომლის შთამომავალიც ივანეს მამა ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო. დედა — სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი ლამაზ გარეგნობასა და სიდარბაისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა.

ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ.

9 წლის ივანე 1885 წელს თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, 1888 წელს, გიმნაზიის მეორე კლასში მიიღეს. მას გიმნაზია არ მოსწონდა. სწავლით კი კარგად სწავლობდა. მაშინ გიმნაზიებში იდევნებოდა ყოველივე პროგრესული, რაიმე ეროვნულზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ივანე თურმე ვერ ეგუებოდა ამგვარ ატმოსფეროს და თავის სულიერ მოთხოვნილებას გიმნაზიის გარეთ, ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლაში იკმაყოფილებდა.

ივანე ჯავახიშვილის შესახებ დანერჩლ მოგონებაში კოტე მაყაშვილი წერს: „სიყრმიტგან ვიცნობ და სიყრმიტგანვე პატივსა ვცემ ვანო ჯავახიშვილს. მოგონებას გადავყავარ წარსულში: ასე 13-14 წლის ვიქნები, ავლაბრის ბოლოში ვცხოვრობ. ყოველ დღე დავდივარ კუკიაში ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ყოველდღე ჩავუვლი და ამოვუვლი ხოლმე ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელს, სადაც ინსპექტორობს ალექსანდრე ჯავახიშვილი. ვიცი, რომ შვილები ჰყავს. ერთი მათგანი, ვანო, ჩემი ხნისაა. ვაჟთა პირველ გიმნაზიის მონაფე.

ვანო ჯავახიშვილი გაცნობისას ქართულად მელაპარაკება. მრცხვენინან, რომ ქართულადვე პასუხის გაცემა არ შემიძლია. უკვირს და სწყინს, მაგრამ მალე ნება-უნებურად ურიგდება ამ გარემოებას. შეხვედრის დროს ჩვენი ბაასის თემა ყოველთვის ერთია: საქართველო, მისი წარსული, აწმყო, მისი ლიტერატურა...

დიდის ყურადღებით, გულდასმით ვუსმენ ვანოს, მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი. გაოცებული ვარ, როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს. მასზე დაკვრას სწავლობს. მუსიკა ჰყვარებია... მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა.

ვამთავრებ გიმნაზიას და საზაფხულოდ მივდივარ დაბა ახალქალაქში (გორის მაზრა) ჩემს დასთან. რამდენიმე ხნის შემდეგ მახლობელ სოფელ ხოვლედან ჩამოდის ვანოც. მასაც დაუმთავრებია გიმნაზია და ზაფხულის მინურულში აპირებს პეტერბურგში წასვლას უნივერსიტეტში მეცადინეობის დასაწყებად. ახალქალაქში ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყავს. ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანმე. შუაში ვანო უზის. იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უამბობს დამსწრეთ საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე; მოუწოდებს ახალგაზრდობას შეჰქმნან სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები, მოუწოდებს ყველას ქართული აპათიისაგან გამორკვევასა და თვითგანვითარების გზაზედ შედგომას... და გაათავებს ბაასს. მერე შესკუპდება თავის ცხენზე და ნახევარ საათში ისევ თავს ამოჰყოფს მშობლიურ სოფელში, სადაც იგი მოღვაწეობს ამგვარადვე და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა. ჭაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმედე“.

### ჩვენი კლასის სინდისი

როგორ იგონებს ივანე ჯავახიშვილის მოწაფეობის წლებს მისი კლასის ამხანაგი, ცნობილი ექიმი გაბრიელ სერგის ძე ფონდოვი:

„მე და ვანო ჯავახიშვილი ერთად ვსწავლობდით თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრეთ 1895

ნელს. ვანო ჯავახიშვილი არათუ ჩვენი საერთო საყვარელი ამხანაგი იყო, იგი იყო ჩვენი კლასის სინდისი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თუ კი რაიმე საკითხი გვანუხებდა ჩვენ, ვჩქარობდით, თუ რას იტყოდა ვანო ჯავახიშვილი. თუ რომელიმე ამხანაგი რაიმე უდიერ საქციელს ჩაიდენდა, მისი საქციელის კოლექტიური გარჩევის ინიციატივა ვანოსგან მომდინარეობდა; მასზე მიანდობდა-ხოლმე კლასი საკადრისად გაეკიცხა ის ამხანაგი. ვანოსთან წარმოუდგენელი იყო, ვინმეს ორჭოფული ლაპარაკი გაეხა ან უნმანური ანეგდოტი ეთქვა: თუ გიმნაზიელების წრეს ვანო უახლოვდებოდა, მაშინვე შეწყდებოდა ხოლმე ამგვარი ბაასი. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ვანოს მოსმენა დასვენების დროს: ის დიდის ხალისით გვიზიარებდა, რაც წინა დღეს წაეკითხა ან თეატრში ენახა. სწორედ ვანო ჯავახიშვილი იყო, რომ ცუდი ქცევისაგან თავს შეგვაკავებინებდა-ხოლმე. მასწავლებლებს ყველას, უკლებლივ, უყვარდათ ვანო, როგორც უაღრესად პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოწაფე. იგი ყველა ჩვენგანზე ადრე მიხვდა, რომ გიმნაზია ყველაფერს ვერ შეგვასწავლიდა. მიხვდა, რომ მოწაფემ თავის განვითარებაზე თვითონ უნდა იზრუნოს, სკოლის გარეშე მეცადინეობით უნდა დაწინაურდეს... ამას ის ახორციელებდა დიდის ალტაცებით და თავისი მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია მოწაფეს ამ გზით.

მისი წერითი სამუშაოები რუსულ ენაზე ძალიან შინაარსიანი იყო და მაღალ შეფასებას ღებულობდა მკაცრი პედაგოგებისაგანაც კი, რომელიც მის ნამუშევარს სანიმუშოდ გვიკითხავდა ჩვენ. მაგრამ განსაკუთრებულად უყვარდა ვანოს ისტორია: თვით ისტორიის მასწავლებლებსაც უყვარდა ვანოს პასუხების მოსმენა, რომელიც არასდროს არ იყო გაზეპირებული და ტრაფარეტული. ეს პასუხები ყოველთვის ამომწურავად გადმოგვცემდნენ იმ ეპოქის სულს, რომელზედაც მოგვითხრობდა ვანო“.

## კალინინის 66

1917 წლიდან ივანე ჯავახიშვილის ოჯახი ყოფილი კალინინის ქუჩაზე — 66 ნომერში ცხოვრობდა. ამ ქუჩას დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია. ახლა იქ ივანე ჯავახიშვილის შვილთაშვილები ლევან ცინცაძე და მისი მეუღლე, ქალბატონი მანანა

ტყემალაძე ცხოვრობენ. ეს სახლი 1852 წელს აუშენებიათ და ვინმე იფსიმე პაპანასოვას ეკუთვნოდა. ხოლო 1870 წელს დამტკიცებული პროექტით უკვე მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა და მისი მეუღლის ალექსანდრე ორბელიანის საკუთრება გამხდარა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილის მეუღლის ანასტასია ორბელიანის მამიდა, ერეკლე მეორეს შვილთაშვილი ყოფილა. ქალბატონ მარიამსა და ალექსანდრეს საკუთარი შვილები არ ჰყოლიათ და უამრავ ახლობელსა თუ უცხო ადამიანს უვლიდნენ. 1918 წელს ალექსანდრე ორბელიანი გარდაცვლილა, რევოლუციის შემდეგ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს „პრაქტიკულად მთელი ნათესაობა მოუწვევია აქ საცხოვრებლად.“ სწორედ ამ პერიოდში პეტერბურგიდან გადმოსახლებულან მარიამის ძმისშვილი ანასტასია და მისი მეუღლე ივანე ჯავახიშვილიც. ამ სახლში დაბადებულა მათი პირველი შვილი ნათელა, შემდეგ კი კახა და ალექსანდრე (ლალი). ამავე სახლში ცხოვრობდა ანასტასიას უფროსი და თეკლე და მისი მეუღლე — ქართული ლიტერატურის კრიტიკის ფუძემდებელი კიტა აბაშიძე. ქვედა სართულზე კი ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილის დის — ალექსანდრას ოჯახი. ალექსანდრა რჩეულიშვილების რძალი იყო. სწორედ ამ სახლში გაჩნდა მისი ვაჟი, გურამ რჩეულიშვილი და აქ ცხოვრობდა სკოლის დამთავრებამდე. ამგვარი ხალხმრავლობის თაობაზე ერთხელ ივანე ჯავახიშვილის ვაჟს — ალექსანდრეს (ლალი) ხუმრობით უთქვამს: მარიამ ორბელიანმა ეს სახლი ნოეს კიდობანს დაამსგავსაო.

## ანასტასია

ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ანასტასია, ანუ როგორც შინაურები ეძახდნენ — სტაზია ორბელიანს — თბილისის ქალთა გიმნაზია და მერე სამუსიკო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. თავი-



ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი  
ჯავახიშვილისა



ანასტასია და მარიამ ჯამბაკურ-  
ორბელიანები

სუფლად ფლობდა ფრანგულ-სა და გერმანულ ენებს. ანასტასია სავიოლინე განათლების მქონე პირველი ქართველი ქალი იყო. იგი თურმე ხშირად უკრავდა ვიოლინოზე, თუმცა მის სახლში გაცილებით მეტი მხიარულება რევოლუციამდე სუფევდა, როდესაც მუსიკოსი მეგობრები იკრიბებოდნენ და კონცერტებს მართავდნენ. რევოლუციის შემდეგ კი ენ-თუზიაზმი გამქრალა — ბოლ-

შევიკების შემოსვლამ შიში და ძარცვა მოუტანა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილი და ანასტასია, შეხმატკბილებული მეუღლეების გარდა, ერთმანეთისთვის სულიერი მეგობრებიც ყოფილან. ცნობილია მათი სასიყვარულო მიმოწერის ისტორიები, როცა ივანე ჯავახიშვილი მას პეტერბურგიდან წერდა. „კარგად მახსოვს როგორ ღელავდა დედა მამის გამო და, საერთოდ, მთელი ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებები დაკავშირებულია დედას გამუდმებულ წუხილთან მამას ჯანმრთელობის გამო“ (ჟურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.), — ასე იხსენებდნენ ანასტასიას მეუღლისადმი (ივანე ჯავახიშვილისადმი) დამოკიდებულებას შვილები.

ქალბატონი ანასტასია ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ თურმე ასე მოძღვრავდა ხოლმე შვილიშვილებს: ის, რომ ვანო თქვენი პაპა იყო და თქვენ მისი შვილიშვილები ხართ, თქვენი დამსახურება როდია. უმთავრესი, რაც გვევალე-ბათ, ისაა, რომ ისეთი არაფერი ჩაიდინოთ, რითაც მის ხსოვნას ჩრდილს მიაყენებთო.

### ადამიანური მამა

(ნათელა ჯავახიშვილის მოგონებიდან)

„უმეტესად ადამიანში ორი არსებაა — ერთია საზოგადოებრივ სარბიელზე, მეორე — ოჯახში, პირად ცხოვრებაში. მამაჩემის არსებას „უკულმა“ მხარე ისეთივე ჰქონდა, როგორც

„პირი“. ჩემი მეხსიერების მთელ მანძილზე მე მახსოვს — მამა უაღრესად კეთილი, ალერსიანი, გულისხმიერი... ასეთად იგონებს მას ყველა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია ოდესმე. მაგონდება, ერთხელ მოწაფეთა საღამოზე ვარლამ დონდუას, მაშინ იმ სკოლის მასწავლებელს, ჩემი თავი გააცნეს: — როგორ, ბატონ ივანეს შვილები ჰყავსო? — დიდი გაოცებით წარმოთქვა მან. მე მივხვდი, რომ ბატონ ვარლამს ვერ დაეკავშირებინა ივანე ჯავახიშვილთან ვერაფერი მიწიერი. დიახ, ბატონ



ალექსანდრე (ლალი) და ნათელა ჯავახიშვილები

ივანეს ჰყავდა შვილები და იგი უაღრესად ადამიანური მამა იყო. მამა, რომელსაც დედასთან ერთად ღამეები უტეხია ბავშვის სანოლთან, მამა, რომელსაც, დიდი დატვირთვის მიუხედავად, ერთი წუთით არ მოუკლია ზრუნვა, სიტბო, სიტკბო და დიდი გული“ (ჟურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

### საკუთარი ხელით აწყობილი მერხები

(ნათელა ჯავახიშვილის მოგონებებიდან)

„მახსოვს, ერთხელ სახლში დაბრუნდა და უფროსებში დიდი შეშფოთება გამოიწვია მისმა შეხედულებამ. გამოირკვა, რომ უნივერსიტეტში მერხების გადაზიდვის დროს, რომელშიც თვით მამა, ყიფშიძე, შანიძე და სხვები ღებულობდნენ მონაწილეობას, უკეთ რომ ვთქვათ, თვითონ ეზიდებოდნენ, ერთი მერხი გადმოვარდნილიყო, მამას დასცემოდა და კინაღამ მოეკლა. ასე, საკუთარი ხელით აწყობდა აქეთ-იქიდან მოგროვილი მერხებითა და ხელსაწყობით მამა და მისი თანამებრძოლები უნივერსიტეტის შენობას, სადაც იმ ხანად ჯერ კიდევ ნაწილობრივ სამხედრო ჰოსპიტალი იყო მოთავსებული. მაგრამ ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობით აღფრთოვანებული მამა აღარც თავის ავად-

მყოფობას იმჩნევდა, აღარც დალლას. გაჭირვება, სიცივე, ბავშვების ავადმყოფობა... — ყველაფერს ფარავდა უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინი“ (ჟურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

### **როდის იქმნაოლა სამეცნიერო შრომაში**

(ნათელა ჯავახიშვილის მოგონებიდან)

„მამა ყოველ დღე 7 საათზე უკვე მაგიდას უჯდა ხოლმე და მუშაობდა. 9-10 საათზე უკვე სახლიდან გადიოდა. სამუშაოდან დაბრუნებისას და სადილის შემდეგ არასოდეს ისვენებდა და-ნოლილი. აივანზე ბოლთის ცემით, ზურგზე ხელებშემონყო-ბილი გაივლ-გამოივლიდა და კვლავ მაგიდას მიუჯდებოდა. ასე მუშაობდა ღამის 10 საათამდე. 10 საათზე უკვე სანოლში იწვა. როდესაც ქალაქში გასული სახლში ბრუნდებოდა, რაც უნდა დაღლილი და შეუძლოდ ყოფილიყო, მაშინვე საგარეო ტანსაც-მელსა და ფეხსაცმელს გამოიცვლიდა, თვითონვე გაბერტყავდა და დააბინავებდა. თუმცა ჩვენი ოჯახის მრავალრიცხოვნობის გამო ფართი საკმარისი არ გვქონდა, მამას, რასაკვირველია, ცალკე კაბინეტი ჰქონდა. ერთ ხანობას დიდ სასტუმრო ოთახში კარებით გადაღობილი კუთხე, რომელიც უფრო გვიან ცალკე ოთახად გადაკეთდა, მაგრამ ძალიან იშვიათ შემთხვევაში მუშ-აობდა ხოლმე მამა თავის სანერ მაგიდასთან. ამ დროს მამას



ივანე ჯავახიშვილის სამუშაო მაგიდა, ხელნაერთა ეროვნული ცენტრი

ძმა, გიორგიც, უნივერსიტეტის პროფესორი, ბუნებისმეტყველი, უკვე ჩვენთან იყო გადმოსული და აი, სასადილო მაგიდას ერთი თავში, ხოლო მეორე — ბოლოში მიუსხდებოდნენ ხოლმე და საერთო ხმაურში, ბავშვებისა და უფროსების ლაპარაკსა და სიარულის დროს იქმნებოდა მამაჩემის სამეცნიერო შრომები“ (ყურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

### **ქესტი**

(ნათელა ჯავახიშვილის მოგონებიდან)

„შუა მუშაობაში იყო ხოლმე მამა, გაიღებოდა კარი, პაპიდაჩემი გამოიხედავდა თავისი ოთახიდან და იკითხავდა: „ვანოჯან, რომელი საათია?“ მამაჩემი იმავ წუთს ფეხზე წამოიჭრებოდა, თუ დილა იყო, ხელზე ეამბორებოდა და ისე მოახსენებდა პასუხს, თუ ეს დღის განმავლობაში ხდებოდა (და ხდებოდა არაერთხელ), მამა ყოველთვის წამოდგებოდა და ისე პასუხობდა. ხშირად ამას სხვა შეკითვებიც მოსდევდა ხოლმე და მამა ასევე ფეხზე ამდგარი უპასუხებდა“ (ყურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

### **მიზნობის სვედრი**

(ნათელა ჯავახიშვილის მოგონებიდან)

„მამა სრულიად რეალური ადამიანი იყო, ყოველგვარ ყალბ შეხედულებებსა და აზრებს მოკლებული. მისი „წმინდანობა“ იყო მის უაღრესად მაღალზნეობრივ პრინციპებში, მის უსპეტაკეს პირუთვნელობასა და პატიოსნებაში და რადგან თვითონ იყო ასეთი წმინდა ბუნების, ის სხვების სიყალბეს ხშირად ვერ ხედავდა, ყველაფერს ისე ღებულობდა, როგორც მას აჩვენებდნენ. ვერ წარმოედგინა, რომ ადამიანი ხშირად პატიოსნების ნიღბის ქვეშ მეორე, საწინააღმდეგო სახეს მალავდა და ამიტომაც ბევრჯერ ცდებოდა ადამიანთა შეფასებაში. ხოლო მაშინ კი, როდესაც ძალაუნებურად რწმუნდებოდა თავის შეცდომაში, ეს გარემოება მას დიდ ზნეობრივ ტანჯვას აყენებდა.

მამას ხასიათის საწინააღმდეგო ბუნებისა იყო ბიძაჩემი გიორგი. იგი უკვე ზედმეტად ეჭვიანი იყო. ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, განსაკუთრებით გიორგის. მისი სიყვარუ-

ლი მამაჩემისადმი პირდაპირ ავადმყოფური იყო. იგი ხშირად აფრთხილებდა მამას, არ ყოფილიყო ასეთი მიმნდობი და გულახდილი ზოგიერთებთან და ამ ნიადაგზე ხშირად შეეკამათებოდა ხოლმე მამა ბიძაჩემს, ეუბნებოდა, რომ არ შეიძლება ასე უნდობლად და ეჭვით ეპყრობოდე ადამიანებსო, მაგრამ გიორგი მაინც თავის აზრზე რჩებოდა და უნდა ითქვას, სამწუხაროდ, ბევრი რამ მისი ეჭვიანობიდან მართლდებოდა...“ (ჟურნალი „ნეკერი“ 2-4, 1990 წ.).

### **„მამის კული“**

(ალექსანდრე ჯავახიშვილის მოგონებიდან)

„სკოლის პერიოდში ჯავახიშვილის შვილობას ჩემთვის არავითარი პრივილეგია არ მოუცია რაიმე შეღავათის თვალსაზრისით. ერთხელ ჩვენი ახალგაზრდა „საზმეცის“ მასწავლებელი გვიმტკიცებდა — ნამდვილი ისტორია პროლეტარიატმა უნდა დაწეროს, ყველა სხვა ისტორია ყალბიაო — მათ შორის, ცხადია, ჯავახიშვილის ისტორიულ გამოკვლევებსაც გულისხმობდა. მაშინ მამა უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და მისი კრიტიკის, უფრო სწორად, განქექვის პერიოდი იწყებოდა. ერთხელ გამიძახა მასწავლებელმა და, როცა საკითხი ისე მოვუყევი, როგორც მნამდა და როგორც მესწავლა, კარებზე მიმითითა — შენც მამაშენს მიგაყოლებთ კუდში, დაიკარგე აქედანო.

### **სტალინის სურათზე თავაზიანი უარი**

(ალექსანდრე ჯავახიშვილის მოგონებიდან)

ეს ოცდაათიანი წლების მიწურულს მოხდა, როცა უეცრად, თითქოსდა ვილაცის ჯადოსნური კვერთხის დაქნევით, გაახსენდათ ივანე ჯავახიშვილის არსებობა: აირჩიეს აკადემიაში, დააჯილდოვეს, წააყენეს დეპუტატად — მოცვივდნენ, დაგვიყენეს ტელეფონი, სახლი სახელდახელოდ გაგვირემონტეს, შემოვარდა კინოსტუდიაც. უნდოდათ გადაეღოთ მამა შინ, მუშაობის დროს. „კაბინეტი“ რომ ნახეს, შეცბნენ... ცოტა ხნის შემდეგ გააჩინეს ყვავილები, რომლებიც ფანჯარასთან „ჟარდინიერში“ მოათავსეს, მოიტანეს სტალინის უზარმაზარი სურათიც — კე-



დელზე დასაკიდებლად; რეჟისორის ჩანაფიქრით, მას შთამბეჭდავი, მომგებიანი ფონი უნდა შეექმნა კადრში მომუშავე ივანე ჯავახიშვილისათვის. სტალინის სურათზე მამამ თავაზიანი უარი უთხრა...

როგორც იქნა, მოაწყვეს ნამდვილი ინსცენირება და გადაიღეს — როგორ მუშაობს ივანე ჯავახიშვილი შინ. ეს კადრები დღესაც არსებობს... არადა, სინამდვილეში მამა სულ სხვაგვარად მუშაობდა.

### ნაკუნებად ქცეული ფურცელი

(აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოგონებიდან)

1939 წლის სექტემბერში, როდესაც უნივერსიტეტში ჩავი-რიცხეთ მე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კილურაძე და კიდევ რამდენიმე ჩვენი ამხანაგი, დავიწყეთ ლექციების ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ძებნა. აღმოვაჩინეთ, რომ იგი იურისტებს ქართული სამართლის ისტორიას უკითხავდა. ვითხოვეთ, რომ მოგვცემო-და ივანე ჯავახიშვილის ლექციებზე დასწრების უფლება. თვალ-წინ მიდგას მისი აუდიტორიაში შემოსვლის სურათი — შემოვი-დოდა დიდი სასმენი აპარატით და შავი „პორტფელით“.

მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: ივანე ჯავახიშვილი ყოველი ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთს ტოვებდა შეკითხ-ვებისთვის. რადგან ცუდად ესმოდა, გვთხოვდა, რომ შეკითხვე-ბი წერილობით მიგვეწოდებინა. უეცრად მას გადასცეს ფურცე-ლი. ბატონმა ივანემ ფურცელზე დანერილი შეკითხვა ხმამაღლა წაიკითხა: „არსებობს სტალინის მოძღვრება, რომ ქართველები ერთად ჩამოყალიბდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში, თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას?“. ხომ წარმოგიდგე-ნიათ, რა სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა აუდიტორიაში... ყვე-ლას ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში — რა მოხდება? ბატონმა ივანემ წყნარად აიღო ეს ფურცელი, დაკეცა, წვრილ ნაკუნებად

აქცია, სამელნეში ჩაყარა, თავისი ნივთები ჩაალაგა, მოჰკიდა „პორტფელს“ ხელი და აუდიტორიიდან გავიდა. გაოგნებულნი გამოვედით გარეთ. ჩემი მეგობრები მანყნარებდნენ — ივანე ჯავახიშვილის ეს საქციელი ამ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო. მერე და მერე მივხვდი, რომ, მართლაც, ეს ყველაზე მართებული ქმედება იყო — ჯავახიშვილმა შეკითხვის ავტორი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა.

საბედნიეროდ, რეპრესიების ტალღა უკვე ჩავლილი იყო. თანაც, ივანე ჯავახიშვილი, მაშინ, აკადემიკოსი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და ასეთი რამ აღარ ემუქრებოდა, თორემ ეს ამბავი რომ სათანადო ადგილამდე მიაღწევდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

### **ნინო კაკულია**

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ჟურნალისტი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

## ლექციის კითხვისას დასრულებული სიტყვება

*„ნათელი კაცო, სიკვდილის ფრთა  
ვერ დაგაბნელებს,  
შენ საქართველოს ისტორიის  
ხარ რჯულმდებელი!“*

ლადო ასათიანი

ივანე ჯავახიშვილს უყვარდა ხალხური — „კაი ყმა ლაშქარს  
მაჰკვდების“...

ივანე ჯავახიშვილს ლექციის კითხვისას გაუსკდა გული.  
უკანასკნელი სიტყვა, რასაც სული ამოაყოლა, იყო — „თათარი“.  
ეს იყო 1940 წლის 18 ნოემბერი.

ერთხელ პეტერბურგიდან ივანე ჯავახიშვილს წერილი  
გაუგზავნია მეუღლისთვის, რომელშიც ნაამბობი იყო, რომ ივანე  
დასწრებია ერთ ლექციას, რომლის კითხვისას პროფესორი იქვე  
უეცრად გარდაცლილა. ამ სურათით შთაგონებული ინერე-  
ბოდა: უბედნიერესი კაცი ყოფილა, თავისი საყვარელი საქმის  
შესრულებისას გარდაიცვალაო. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ბე-  
დად ასეთი სიკვდილი უწერიან... გავიდა წლები და ივანე ჯავახ-  
იშვილს სწორედ ამგვარი სიკვდილი არგუნა ბედმა — მოკვდა  
ლამაზად, მისი მონაფეების ხელებზე გადასვენებული...

უნივერსიტეტის თანამშრომელი გიორგი კვიციანიშვილი პი-  
რადად შეესწრო ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების ფაქტს,  
რასაც თავის მოგონებაში საკმაოდ ემოციურად აღწერს:

„18 ნოემბერს, ორშაბათს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების  
მუშაკთა სახლში დანიშნული იყო აკადემიკოს ივანე ჯავახ-  
იშვილის ლექცია შემდეგ თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა  
და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“.  
ივნისს აქეთ ბატონი ივანე მე არ მენახა და გადავწყვიტე მოხ-  
სენებაზე წასვლა. თანაც გულში იმედი მიღვივდებოდა, მოხ-  
სენების პირველ ნაწილს რომ გაათავებდა, პირადად ვნახავდი  
და ვისაუბრებდით, როგორც ჩვეული ვიყავი ამას. იმ საღამოს



ჩემთან მოვიდა ჩვენი ასპირანტი ნ. ნიკოლაიშვილი და ორივენი ერთად წავედით მოხსენებაზე. კიბეზე რომ ავდიოდით, შემოგვიერთდა ლექტორი გიორგი ჭუმბურიძე და ერთად შევედით დარბაზში. 8 საათს 15 წუთი უკლდა, დარბაზი კი ცარიელი იყო: საზოგადოება დაგვიანებით იყრიდა თავს, ვინაიდან საქმის დღე იყო და ბევრნი საღამოს სამსახურით იყვნენ დაკავებულნი. მე და გიორგი ჭუმბურიძე პირველ რიგში დავსხედით, რომ უფრო გულმოდგინედ მოგვემინა მოხსენება. მალე გა-

მოჩნდნენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გოგი (გიორგი ვასილის ძე) წერეთელი და მათაც პირველ რიგში დაიკავეს ადგილები. აგერ ელექტრონის ზარმა დაინკრიალა და ხალხიც დალაგდა, დაჩუმდა. ცხრის 20 წუთი იყო, როდესაც გვერდითა ოთახის კარი გაიღო და გამოჩნდა ბატონი ივანე, რომელიც ნელის ნაბიჯით, პორტფელით ხელში, შავ „შტატსკურ“ ტანისამოსში გამონყობილი, გაემართა მაგიდისაკენ (მაგიდა იდგა სცენის შუაგულზე ტრიბუნის მაგივრად). საზოგადოება მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა და, სანამ ბატონი ივანე არ დაბრძანდა სკამზე და საზოგადოებას დინჯად თავი არ დაუხარა მაღლობის ნიშნად, ტაშის ცემა არ შეწყვეტილა. მას შემოჰყვა ახალგაზრდა მეცნიერი ვლადიმერ მაჭავარიანი და ორთავემ დაიკავეს ადგილი მაგიდასთან.

როდესაც ბატონ ივანეს შეეხედე, შემეშინდა; თითქოს კაცი კი არა, მარმარილოს ძეგლი შემოვიდა: გაფითრებული უმოძრაო სახე, ვერცხლივით თეთრი თმა, უღვაშები, ნარბები, გაქვავებული მზერა, გამხდარი სხეული.

თავი ვერ შევიკავე და გიორგი ჭუმბურიძეს ვუთხარი: შეხედე, კაცო, მარმარილოს ქანდაკებას არა ჰგავს-მეთქი? გიორგი დამემონმა. მაშინვე თავში გამიელვა აზრმა — ამ კაცის დღეები დათვლილია-მეთქი... თურმე ნუ იტყვით, საათები ყოფილა დათვლილი.

ვ. მაჭავარიანმა გახსნა კრება. გამოაცხადა მოხსენების საგანი და თვითონ აღარ გაჩერდა იქ, ჩამოვიდა ძირს და პირველ რიგში დაჯდა კედელთან. ბატონმა ივანემ გახსნა თავისი პორტფელი, ამოიღო სამაგიდო კალენდრის მსგავსი პატარა ფორმატის ნაწერები, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, დაუწყო ხელებს სრესა, თავი მაღლა ასწია, თვალი გადაავლო კრებას და დაიწყო ლაპარაკი. თითქოს ახლაც მესმის ყურში მისი დინჯი საუბარი, მისი ხმის სასიამოვნო ტემბრი, მჭიდროდ დალაგებული წინადადებები... არსად ზედმეტი სიტყვა, აზრის თავისუფლად გაშლა ტკბილი ქართული ენით, — ყველაფერი ეს მომხიბლავი იყო, მომაჯადოებელი. მხოლოდ ბატონ ივანეს შეეძლო მეცნიერული ლექციითა და შესანიშნავი ქართულით დაეტკბო სერიოზული ქართველი საზოგადოება ისე, რომ ყველა სულგანაბული უსმენდა.

ბატონი ივანე გადაშლის თავის ხელნაწერს და კითხულობს ციტატას „ამირან-დარეჯანიანიდან“, სადაც ნახმარია სიტყვა თათარი. ციტატის წაკითხვის შემდეგ ბატონი ივანე აპირებს რაღაც წინადადების თქმას: „ამგვარად, თა...“ ამ დროს აღმოხდა საზარელი ხმა — „ოოოჰ“ — ჯერ მარცხნით გადააქანა თავი და თვალები გადაატრიალა, მერე მარჯვენა ხელი მიაშველა თავს, ახლა მარჯვნივ გადმოაქნია თავი, დასდო ხელისგულზე იდაყვზე დაყრდნობით, კისერი მოეკეცა და თვალები დახუჭა და ის იყო სკამიდან უნდა გადავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს მივარდნენ ა. შანიძე, მაჭავარიანი და სხვები, აიყვანეს სკამიდან, მაგრამ ფეხზე უკვე ვეღარ დგებოდა, ფეხები მოწყვეტილი ჰქონდა... მაშინ მოხვიეს ხელები ფეხებსა და ტანზე და გადაიყვანეს დასასვენებელ ოთახში, გვერდით.

მთელი დარბაზი ერთბაშად წამოიშალა, წამოცვივდნენ სცენისაკენ. სახეზე ყველას გაკვირვება და შიში ეტყობოდა. დაიძახეს: „ექიმი, ექიმი, ვინ ხართ აქ ექიმი?“ დარბაზში აღმოჩნდა ერთი მოხუცებული ექიმი კალანდარიშვილი, გამოიწვიეს ტელეფონით სასწრაფო დახმარება. ავადმყოფი დაანვინეს მაგიდაზე და დაუწყეს ხელებისა და ფეხების სრესა, ზელა. დარბაზში ხალხს ჰგო-

ნია, რომ მეცნიერს გული წაუვიდა და მალე მობრუნდება. ბატონ ივანეს გული სუსტი ჰქონდა და ამავე დროს 1 საათი და 15 წუთი დაუსვენებლად ლაპარაკობდა. ავადმყოფთან შესვლისა გვერიდება, რომ სირუმე არ დაირღვეს, ყოველ გამოსულს ოთახიდან ვეკითხებით: „როგორაა საქმე?“ — „ჯერ ვერ მოვიდა გონს“, — ისმის პასუხი. აგერ სასწრაფო დახმარებაც მოვიდა, ახლა ქაფურს შეუშხაპუნებენო. ხალხი მოუთმენლობას იჩენს, ყოველწუთი საუკუნედ გვეჩვენება, გვინდა სანუგეშო ამბავი გავიგოთ.

გაუკეთეს ქაფური, სხეულმა ქაფური არ მიიღო და... სათნოების დას წამოსცდა — მკვდარია! იქვე იდგა ბატონი ივანეს ქალიშვილი ნათელა. გაიგონა თუ არა ეს საშინელი სიტყვა, შეჰქმნა კვილი. მოჰკიდეს ხელი და გამოიყვანეს დარბაზში, შემოეხვივნენ გოგი წერეთელი და სხვები, ამშვიდებდნენ: „დამშვიდდი, სათნოების დამ რა იცის, მოუცადოთ ქაფურის მოქმედებას, ექიმები მოვლენ კიდევ“.

მთელი დარბაზი შეშფოთებულია, ნერვებაჭიმული, ყველას შიშის გამომეტყველება აქვს სახეზე, ზოგი ცრემლს ვერ იკავებს.

ამასობაში გავიდა 15 წუთი. გამოვიდა გიორგი ჭუმბურიძე, შემოგვხვით: „აბა რას იტყვი?“ „ექიმები ამბობენ — უნუგეშო მდგომარეობააო, გვამი ცივდება“, — ძლივს თქვა ყელში სისხლმობჯენილმა და თვალცრემლიანმა გიორგიმ. შემდეგ გამოვიდნენ აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა: „გათავდა!“

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედა ამ გულშემზარავმა სიტყვებმა საზოგადოებაზე: ზოგი აქვითინდა მწარედ, განსაკუთრებით ქალები. ზოგს სახე გაჰშეშებოდა და თვალეები მიეშტერებინა იმ ოთახისაკენ, სადაც მეცნიერის გვამი ესვენა. ზოგი სიმწრით ხელებს იმტვრევდა, ზოგი გახევებული იდგა, ზოგი თავჩაქინდრული და ნელმონყვეტილი სკამზე იჯდა და მალლა ახედვა, სინათლის დანახვა არ უნდოდა. რამდენიმე წუთს ასეთ მდგომარეობაში იყო ხალხი. ამავე დროს მეცნიერი გვამს სასწრაფო დახმარება მოსავდა და წასასვენებლად ამზადებდა.

დარბაზის კარებთან ხალხი ამოძრავდა, შემოვიდა 2 ვაჟი, ისინი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ განსვენებულის ოთახისაკენ. „ბატონი ივანეს ვაჟები არიან“, — გაისმა დარბაზში და ამას მოჰყვა ხალხის მწარე ქვითინი.

შვილები ჩაეკონენ მამის გვამს, ტიროდნენ გულამოსკვნით, ძლივს მოაშორეს გვამს. „ბატონი ივანეს მეუღლე ხომ არ

მოსულა?“ — კითხულობენ დარბაზში. „არ შეუტყობინებიათ, ეშინიათ, უეცრად გული არ გაუსკდესო“, — ისმის პასუხი. „კი, მაგრამ, გვამი ხომ სახლში უნდა წაასვენონ?“ „არა, ამალამ გვამს სამკურნალო კომბინატში წაიღებენ და იქ უნდა გაკვეთონ“... „ეჰ, რა მეცნიერი მოგვიკვდა!!!“ „ლამაზი სიკვდილი სანატრელია“, — ვთქვი მე. „ან აქამდე როგორ



ივანე ჯავახიშვილის ნიღაბი, ოსუ მუზეუმი

გასძლო — ნაწლავების დაავადების გამო 15 წელიწადია მანვნი-სა და სუხარის მეტი პირში არაფერი ჩასვლია. მერმე კიდევ ეგ დალოცვილი სულ მუშაობდა. წუთით არ დაუსვენია“, — თქვა ერთმა... „ვერ მოვუარეთ, ჩვენ ვართ დამნაშავე: რამდენჯერ სხდომა და შეხვედრა იქნებოდა, უსათუოდ მისთვის უნდა დაგვეძახნა. კაცი იღლებოდა ამ შეკრებებზე, სუსტდებოდა“... „გუმინ აქ, ამ დარბაზში ახალგაზრდა მეცნიერი გაბუნიას პან-აშიდზე რამდენიმე საათი ფეხზე იდგა, მერე მიცვალებულს გაჰყვა, უთუოდ გაცივდა, ამბობენ, დღეს დილით შეუძლოდ იყო, მაგრამ, რადგანაც, გაზეთებში უკვე გამოცხადებინათ დღევანდელი მოხსენება, ამიტომ უკან ველარ დაიხია და კიდევაც შესწირა მოვალეობას თავი“, — თქვა ვილაცამ. „სხვას თავი დავანებოთ, გულდასუსტებულმა ადამიანმა საათი და 15 წუთი განუწყვეტილად ილაპარაკა, საათებზე ხომ ვიყურებოდით? რომ შესრულდა 40 წუთი, რატომ არ მოაგონეთ, შეენწყვიტა ლაპარაკი, დაესვენა 10-15 წუთი მაინც, მაშინ, შეიძლება, ეს უბედურება არც მომხდარიყო, გული დაისვენებდა“, — თქვა ერთმა. „გვერდში არავინ უჯდა და ჩვენ კი ვერ გავბედეთ“, — იყო პასუხი.

ამ დროს დარბაზში გაისმა ხმები: „მთავრობის წევრები მოვიდნენ, ფილიპე მახარაძე მოვიდა!“ ხალხმა მიაშურა დასასვენებელ ოთახს: განსვენებულის გვამი უკვე საკაცეზე იყო თავის ტანისამოსში, ხელებდამწყვდეული გულზე. ფილიპე დასჩერებოდა გვამს, მას უყვებოდა ამბავს აკაკი შანიძე, უკვე აპირებდნენ საკაცის აწვევას, რომ ამ დროს კიდევ მივარდა მამას ერთ-ერთი ვაჟი, ჩაეკონა მკერდში და ყრუდ ქვითინებდა რამდენიმე წამს. შემდეგ გვამს გადააფარეს შავი სუდარა, ასწიეს და ნელ-

ნელა ჩამოასვენეს კიბეზე, გაიტანეს და შეასვენეს სასწრაფო დახმარების ეტლში. იქნებოდა 11-ის ნახევარი; ქუჩა მთლად გავსილიყო ხალხით, ზოგნი, ახლად მოსულნი, კითხულობდნენ — ვინ მოკვდაო და, როდესაც გაიგებდნენ, ვინც გარდაიცვალა, გაკვირვებასა და მწუხარებას გამოთქვამდნენ.

აგერ დაიძრა ეტლი და ჩვენი მეცნიერის გვამი წაიღეს სამკურნალო კომბინატში. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, ვბრუნდებოდით სახლებში თავჩალუნული და ნელმონყვეტილი“. (გიორგი კვიციანიშვილის ეს მოგონება დაბეჭდილია ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986 წ.)



ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელ ლექციას ესწრებოდა აკაკი შანიძის 14 წლის ქალიშვილი მზექალა შანიძე (ამჟამად უკვე ცნობილი პროფესორი), რომელიც მამამ წაიყვანა ლექციის მოსასმენად. „იმ საბედისწერო დღეს ჩემი თვალით ვნახე, როგორ წამოიქცა კაცი...“ — გვითხრა მზექალა შანიძემ და გაიხსენა: „ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე მამაჩემმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ასეთი რამ აღნიშნა: ახლა უნდა ვთქვა ის, რაც მის სიცოცხლეში ვერასოდეს გავბედეო. იგულისხმებოდა ივანე ჯავახიშვილის ხასიათი და თავმდაბლობა. ბატონ ივანეს არ უყვარდა მის სიდიდეზე საუბარი და არასოდეს იგუებდა პირში შექებას. მამაჩემმაც კი მხოლოდ მაშინ გაბედა ამაზე საუბარი, როცა მის საფლავთან იდგა და ასე მიმართა მას: „დიდო ივანე!“ იგი არ იყო ჩვეულებრივი კაცი. მეცნიერიც ბევრია და ორგანიზატორიც, მაგრამ ეს შინაგანი ძალა, მიზანდასახულობა, უაღრესი თავმდაბლობა, საქმისადმი ურყევი ერთგულება, ერთ კაცში თავმოყრილი, ხშირად არ გვხვდება. ამით იყო ყველასაგან გამორჩეული“.

## ნინო კაკულია

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ჟურნალისტი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.*

15

## თსუ-სთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭება იყო საზოგადოება უნივერსიტეტის ეროვნული ხასიათისა

1989 წლის 15 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო — უნივერსიტეტს მისი დამფუძნებლის და ქართული მეცნიერების მესაძირკვლის — ივანე ჯავახიშვილის სახელი მიანიჭა.

ამ მოვლენას წინ უძღოდა 1988 წელს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მიერ უნივერსიტეტის 70-ე წლის იუბილეზე წამოყენებული წინადადება უნივერსიტეტისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, რაც ერთი წლის შემდეგ აღსრულდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ კომუნის-



თამაზ გამყრელიძე

ტური ნომენკლატურის ინტერესების გამო მაშინდელი ხელისუფლების წრეებში ფარულ წინააღმდეგობას უწევდნენ თამაზ გამყრელიძის წინადადებას. ეს წინააღმდეგობა უნივერსიტეტმა დაძლია.

„ამ კეთილშობილური აქტის განხორციელებაზე კარგა ხანი ვფიქრობდით, მაგრამ წლების მანძილზე გამოტარებული ამ დიდი სურვილის ხორცშესხმა რომ დღეს მოხდა, შემთხვევითი სულაც არაა, პირიქით, ნიშანდობლივიცაა. როგორც მოგეხსენებათ, შობილს რომ გაუჭირდება, პირველ რიგში მშობელს მონახავს. ასევე ჩვენ, ჩვენი ხალხისთვის ამ მეტად მძიმე პე-

რიოდში მოვიგონეთ ის ადამიანი, ის დიდი პიროვნება და დიდი ქართველი, რომელმაც საფუძველი დაუდო ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს განათლებას,“ — განაცხადა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ნოდარ ამალ-ლობელმა.

სხდომაზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს ივანე ჯავახიშვილის ღვანლი და აღნიშნეს, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, სათავეს თბილისის უნივერსიტეტისაგან იღებს და ნასაზრდოებია ივანე ჯავახიშვილის დიდი გენიით, მეცნიერული და გონებრივი შესაძლებლობებით. „მინდა ყველას მოგაგონოთ ივანე ჯავახიშვილის მიდგომა უნივერსიტეტის სტატუსისადმი. იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ უნივერსიტეტი გადაერჩინა ხელყოფისა და შეურაცხყოფისაგან. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონაც ვერ გადაურჩა ამას და სიცოცხლეში არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა, მაგრამ მას ასულდგმულებდა იმის გააზრება, რომ უბედურებას აცილებდა თავიდან უნივერსიტეტს,“ — განაცხადა ნოდარ ამალლობელმა („თბილისის უნივერსიტეტი“, 1989 წ.).

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მოუსმინა ასევე იდეის ავტორს — აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, რომელმაც გამოვლაში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების აქტი არის უნივერსიტეტის ავტონომიის ერთ-ერთი პირობა. „ჩვენი უნივერსიტეტისათვის მისი დამაარსებლის სახელის მიკუთვნება ამავე დროს არის ხაზგასმა უნივერსიტეტის ეროვნული ხასიათისა, ხაზგასმა იმისა, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ზევიდან კი არ არის ნაბოძები, როგორც ეს მოხდა სხვადასხვა რესპუბლიკებში მათი გასაბჭოების შემდეგ, არამედ იმისა, რომ ეს უნივერსიტეტი თვით ქართველმა ხალხმა შექმნა, შექმნა მეცნიერების ის ტაძარი, რომელშიც ინყო აღორძინება ქართულმა მეცნიერებამ და კულტურამ... თბილისის უნივერსიტეტის მნიშვნელობა ამ აქტით, ჩემი აზრით, ძალიან გაიზრდება. ის ჩადგება მსოფლიოს წამყვან სახელობით უნივერსიტეტთა რიგში,“ — განაცხადა თამაზ გამყრელიძემ.

სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ერთსულოვნად გამოხატეს ნება — თბილისის უნივერსიტეტს მიენიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელი.

## შთაბონების წყაროდ ქცეული ქებლი

უნივერსიტეტის ეზოში გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს ივანე ჯავახიშვილის ძეგლს. ძეგლის ავტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახალხო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი.

„ეს ძეგლი ჩემი სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ. ამით მსურდა გამომეხატა ჩემი უდიდესი მოწინება და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილის პიროვნების მიმართ, — ამბობს ჩვენთან საუბარში ღვანლმოსილი მოქანდაკე. ალბათ ახალგაზრდა მოქანდაკის სადიპლომო ნამუშევარში ჩაქსოვილმა უდიდესმა განცდებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ნიკო კეცხოველს ივანე ჯავახიშვილის სწორედ ეს ძეგლი მოსწონებია და შუამდგომლობა გაუწევია, რათა იგი უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის საფლავზე აღემართათ.

ჩემს ბავშვობაში მთელი აქცენტი სსრკ-ს ისტორიის სწავლებაზე იყო გადატანილი, საქართველოს ისტორიას კი მხოლოდ ოჯახებში ასწავლიდნენ. სწორედ ჩემმა მამიდამ, ქალბატონმა ანა ღვინიაშვილმა ჩამინერგა განუსაზღვრელი სიყვარული საქართველოს ისტორიისადმი“, — იხსენებს ბატონი თენგიზი. მისი მეუღლე, ქალბატონი თათული მასხარაშვილი-ღვინიაშვილი კი ბავშვობაში ივანე ჯავახიშვილთან შემთხვევით შეხვედრის შთაბეჭდილებას ჰყვება: — მერვე კლასში ვიყავი. ბაფთით თავზე, სასკოლო ფორმაში გამონყობილი, დედასთან სამსახურში — სახელმწიფო მუზეუმში მივიჩქაროდი. ზღურბლზე უნდა გადამეხიჯებინა, როდესაც ივანე ჯავახიშვილი დავინახე და, რა თქმა უნდა, გზა დავუთმე. არაფრის დიდებით არ გამოვიდა შენობიდან, მეც მოწინებით ვიდექი, მაშინ ხელი მომიკიდა, მუზეუმში შემიძღვა და მითხრა: რა ასაკშიც არ უნდა იყოს ქალი, მამაკაცმა ყოველთვის უნდა დაუთმოს გზა.

ასეთი პიროვნება რომ იყო, ალბათ, იმიტომაც ანიჭებდა ბევრს ივანე ჯავახიშვილთან ურთიერთობა სულიერ სიამოვნებას. ცნობილია ასეთი ფაქტიც, უნივერსიტეტის ეზოში ივანე ჯავახიშვილის ძეგლს თვალს ვერ წყვეტს შალვა ნუცუბიძე. ამ

დროს მას უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ნიკო კეცხოველი მიუახლოვდა და ჰკითხა — რაო, შალვა, მოგწონს ივანეს გვერდით ადგილი? შენს გვერდით დგომას, ივანეს გვერდით ნოლა მირჩვენიაო, — უპასუხია მისთვის შალვა ნუცუბიძეს.

სამომავლოდ ივანე ჯავახიშვილის ძეგლი თამაზ ჭილაძისათვის შთაგონების წყაროდ იქცა. შემოქმედმა დაწერა ლექსი „ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში“. პოეტს უძნელდება გადმოგვცეს ის ემოციები, ამ ლექსის შექმნას თავის დროზე რომ ახლდა და დღეს, წლების გადასახედიდან, ორიოდ სიტყვით ასე გამოხატავს საკუთარ განწყობას: — განა შეიძლებაოდა, ივანე ჯავახიშვილზე ლექსი არ დამეწერა?!



## ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში

გეხვევა ჭადრის ფოთლების სითბო,  
 ამდენი წყლული რამ დაგაჩნია...  
 ყველა ბრძოლაში დაეცი თითქო  
 და ყველა ბრძოლამ გადაგარჩინა!  
 მონღოლის ცეცხლით თმაგატრუსული,  
 აი, მობრუნდი ჩვენთან ისევე,  
 და ვიდრე სახლში შემოხვიდოდი,  
 თითქოს ეზოში ჩამოისვენე ...

**თამაზ ჭილაძე**

17

## სად „ცხოვრობს“ დღეს ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი და მემორიალური ნივთები დღეს საქათველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია თავმოყრილი. აქ ფუნქციონირებს მისი კაბინეტი, რომელიც სულაც არაა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებისგან შემდგარი ოთახი — აქ მისულ მკვლევარს ან უბრალოდ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ჩვეულებრივ, ისარგებლოს დიდი მეცნიერის ბიბლიოთეკით.

ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი 70-იან წლებში მეცნიერის ქალიშვილმა — ნათელა ჯავახიშვილმა ისტორიის ინსტიტუტს გადასცა. მოგვიანებით არქივმა ხელნაწერთა ინსტიტუტში (დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაიდო ბინა.

1976 წელს მეცნიერის 100 წლის იუბილეზე წიგნად გამოიცა „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა“, რომელიც პროფესორმა ანა ბაქრაძემ და ნათელა ჯავახიშვილმა შეადგინეს. მასში მოცემულია სრული ნუსხა, როგორც გამოქვეყნებული შრომებისა, ისე წიგნებისა თუ საგაზეთო სტატიებისა. წარმოდგენილია 4 ათასი საარქივო ერთეული, რომელიც თემატურად და ქრონოლოგიურადაა დალაგებული. იგი მოიცავს ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველ მასალას, მიმონერას და ა. შ.

როგორც წიგნის — „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა“ შესავალში მეცნიერის ქალიშვილი და პროფესორი ანა ბაქრაძე აღნიშნავენ, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის მოძიება და შესწავლა მისი გარდაცვალების პირველივე თვეებში დაიწყო. არქივზე მუშაობისას, უპირველეს ყოვლისა, გაკეთდა ზოგადი აღწერა იმ ნაშრომებისა, რომელიც საწერი მაგიდის უჯრებში და კარადებში იყო თავმოყრილი, შედგა სამეცნიერო შრომების სია.

არქივის შესწავლამ მრავალი საინტერესო და მანამდე უცნობი მასალა გამოავლინა. არქივის საფონდო ერთეული გადანაწილებულია სხვადასხვა შინაარსის ჯგუფებად და 7 კარისგან



ხელნაერთა ეროვნული ცენტრი

შედგება: I კარი შეიცავს ივანე ჯავახიშვილის და მისი ნათესაობის ცხოვრების ამსახველი მასალების აღწერას, II კარი — სამეცნიერო მემკვიდრეობის აღწერილობას მოიცავს და 10 თავისაგან შედგება. III კარში განხილულია მასალა, რომელიც ასახავს ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობას სხვადასხვა სამეცნიერო დანესებულებებში. IV კარი ეთმობა მეცნიერის საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი მასალების აღწერილობას და, ძირითადად, ეხება მის ურთიერთობას და თანამშრომლობას სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებთან და დანესებულებებთან. V კარში, რომელიც არქივის უდიდეს ნაწილად ითვლება, შესულია ივანე ჯავახიშვილის მიმონერა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებთან. VI კარში თავმოყრილი მასალა გაერთიანებულია სახელწოდებით „ნარევი“, რომელიც უშუალოდ არ ეხება ივანე ჯავახიშვილს, თუმცა მასთან დაკავშირებულია და შეიცავს სხვადასხვა დებულებებსა და სამუზეუმო-საორგანიზაციო საკითხებს. VII კარი კი არქივში დაცულ ფოტოსურათების აღწერილობას მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის არქივში დაცულია მეცნიერის თითქმის ყველა შრომის დედანი. გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, ნიგნი 1, მე-3 ტომის მოკლე და ვრცელი ვარიანტი, „მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“ და სხვა. ამ საარქივო მასალებით ზუსტდება ის დარგები, რომლებზეც მეცნიერი წლების განმავლობაში მუშაობდა.

განსაკუთრებით საინტერესოა მიმონერა, რომლის ქრონოლოგიური ფარგლები 45 წელს (1895-1940) მოიცავს. არქივში დაცული ნერილები ნათლად მეტყველებს მისი ინტერესების ფართო დიაპაზონზე. განსაკუთრებით საინტერესოა მიმონერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან. ნერილების ერთი ნაწილი ასახავს ქართველ მეცნიერთა საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ მეცნიერულ ინტერესებსა და მიმდინარეობას. ივანე ჯავახიშვილთან მიმონერა ჰქონიათ ისეთ ცნობილ პიროვნებებს, როგორებიც არიან: კიტა აბაშიძე, მიხეილ გედევანიშვილი, იასონ ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დავით კაკაბაძე, ალექსანდრე კალანდაძე, მოსე ჯანაშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, შალვა ღამბაშიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი,

სერგეი კარპოვი, იოსებ ანთიძე, დიმიტრი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, რობერტ ბლეიკი, კონსტანტინე გამსახურდია, გიგო გაბაშვილი, მიხეილ გობრინი, თამარ ვახვახიშვილი, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, ლეონიდე ეპისკოპოსი, იოსებ ოცხელი, ვიქტორ როზენი, ანდრეი სუდანეკი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, სიმონ ჯანაშია და სხვა.

ივანე ჯავახიშვილი ერთ კერძო წერილში პედაგოგს გიორგი კვიციანიშვილს წერდა: „მე დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია და ყველანაირად უნდა ვცადო, უმთავრესი ნაშრომების გამოცემა მაინც მოვახსნო. როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძნელია იმის გამორკვევა, თუ რანაირად დაამთავრებდა იგი, თვითონ რომ მოესწრო კვლევა-ძიების დასრულება. უფრო ძნელი გასარკვევი იქნება ჩემს დამთავრებულ ნაშრომებში გარკვევა, რადგან ბევრ სხვადასხვა სამეცნიერო დარგზე მუშაობის გამო წლების სხვადასხვა დროს მაქვს ნაწილ-ნაწილ დაწერილი, მოულოდნელობის გამო კვლევა-ძიება შეწყვეტილია და იმედია, შემდეგში მოვახერხებ იმის დაწერას, რაც ჩემმა მეხსიერებამ იცის. თუ ამასთანავე, იმასაც დავუმატებთ, რომ ჩემი ნაწერები სტამბაში მიცემამდის გვერდების პაგინაცია წესად არ მაქვს, ადვილად წარმოსადგენია, რომ უკეთესია ჩემთვის შრომების გამოქვეყნებისათვის მომენდომებინა ის მცირე დრო, რომელიც დამრჩა სიცოცხლის სარბიელზე“.

მეცნიერის პირად არქივს კარგად იცნობს ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი გოჩა საითიძე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის გერმანულ სამეცნიერო ურთიერთობებს იკვლევს. იგი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტთან შურთხია ბეროშვილთან ინტერვიუში აღნიშნავს: „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა სრულად არის წარმოდგენილი. თუმცა ზოგიერთი მათგანი, ძირითადად, მისი პირადი საქმე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახება. ცენტრალურ არქივში, ასევე, დაცულია მისი საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის ამსახველი მასალები, რომელთაგან ზოგიერთი ლიტერატურის მუზეუმშიც ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში დაცულია ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებითი პროცესის ამსახველი მასალა: მათი შესწავლის და გაც-

ნობის შემდეგ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მუშაობდა იგი თავის უკვდავ „ქართველი ერის ისტორიაზე“ და სხვა მასალებზე, — არ არსებობდა სფერო, არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ, ზოგადად, ყველა სფეროში, არქეოლოგიით დაწყებული მუსიკით დამთავრებული, რომ მას ნაშრომი არ მიეძღვნა.“

გოჩა საითიძე საარქივო მასალებზე დაყრდნობით ამბობს, რომ მასალების გაცნობა იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ივანე ჯავახიშვილი ახალ ნაშრომზე მუშაობას, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოგრაფიის შედგენით იწყებდა. იგივეს ურჩევდა იგი თავის მოსწავლეებსა და მომავალ მკვლევრებსაც. მას მიაჩნდა, რომ სწორედ სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა იყო საფუძვლიანი საქმის დასაწყისი. მეორე ეტაპზე, მეცნიერი, ამა თუ იმ წყაროდან ამონაწერებს აკეთებდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურიდან (იგი სრულყოფილად ფლობდა გერმანულს და რუსულს, ასევე, კარგად იცოდა ფრანგული და ინგლისური ენები). სხვადასხვა წყაროების დამუშავების შემდეგ კი ფუნდამენტური ნაშრომის შექმნას იწყებდა. „ივანე ჯავახიშვილის არქივში ინახება მისი მიმოწერა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერის პირადი ცხოვრების, ასევე, მისი მოღვაწეობის სრული სურათის აღსადგენად. როგორც ცნობილია, მისი მეცნიერული მიღწევები აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ: რუსეთში, ევროპის სამეცნიერო წრეებში, რაც კარგად ჩანს მის პირად წერილებში. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილზე არა ერთი გამოკვლევა დაინერა, მათ შორის — მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველის, ვახტანგ გურულის მონოგრაფიები, სერგო ჯორბენაძის წიგნი „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილსა“ და სხვა. სასიამოვნოა, რომ დიდი ივანეს მოღვაწეობისადმი ინტერესი არ ნელდება და ახალგაზრდა ისტორიკოსები დღესაც ინტერესდებიან საარქივო მასალებით,“ — განმარტავს გოჩა საითიძე.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ ბუბა კუდავას ინფორმაციით, ივანე ჯავახიშვილის მდიდარი არქივი, ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, პირადი ნივთები, ბეჭდური გამოცემები თუ მემორიალური ნივთები სხვადასხვა დროს სხვადასხვა გზით მოხვდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. „სა-

ბედნიეროდ, ბატონ ივანე ჯავახიშვილს მდიდარი არქივი დარჩა. ჩვენ ვამაყობთ, რომ შეგვიძლია მისი მოვლა-პატრონობა. მისი მოღვაწეობის გაცნობისას, რამაც შეგვიძლია გაგვაკვირვოს, ეს მეცნიერის უკიდევანო თვალსაწიერი და უზარმაზარი ენერჯიაა. მან სათავე დაუდო იმდენ დარგს, რომ თითოეულის დაფუძნებას ცალკე მკვლევარი სჭირდებოდა. იგი მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც მიუხედავად იმისა, რომ უმძიმეს პერიოდში მოუწია ცხოვრება. უნივერსიტეტის დაარსება პრინციპული საკითხი აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილისათვის, მას თავიდანვე გააზრებული ჰქონდა, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება. დრომ აჩვენა, რომ მისი კურსი სწორი იყო. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის კვლევა კვლავაც გრძელდება, ამისთვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ყველა პირობაა შექმნილი“, — აღნიშნა ბუბა კუდავამ.

ივანე ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკა და ნივთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 1958 წელს გადაეცა. კაბინეტში დაცულია 3. 003 ერთეული წიგნი და პერიოდული გამოცემა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. წიგნადი ფონდი განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ლიტერატურით. კაბინეტში ინახება უნიკალური პირველნაბეჭდი წიგნი — „ბაქარის ბიბლია“ (1743), ბიბლიები სხვადასხვა ევროპულ და სომხურ ენაზე, ასევე, ბერძენი ისტორიკოსების წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის არქივმა შემოინახა აფხაზური დედა-ენა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის დედაენის პრინციპითაა შექმნილი და ქართული ანბანითაა დაწერილი (აფხაზურ სკოლაში სწორედ ამ დედაენით ასწავლიდნენ 1937 წლიდან 1954 წლამდე, შემდეგ კი დამწერლობა კვლავ კირილიცათი შეიცვალა). გარდა უნიკალური გამოცემებისა, ივანე ჯავახიშვილის კაბინეტში მეცნიერის მემორიალური ნივთები ინახება.

ამ მემორიალური კაბინეტის მფლობელის — ივანე ჯავახიშვილის მთელი სიმდიდრე წიგნები ყოფილა, სხვა ყველაფერი კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას ემსახურებოდა. როგორც ცნობილია, მას საკმაოდ დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ დაიკარგა, როდესაც პეტერბურგიდან თბილისში მატარებლით გამოაგზავნა. წლების

განმავლობაში მეცნიერმა ბიბლიოთეკა კვლავ გაამდიდრა უნიკალური გამოცემებით. თითქმის ყველა წიგნს თან ახლავს მისი ავტოგრაფი.

ავეჯი, რომელიც ამჟამად ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ კაბინეტშია დაცული, ძირითადად, მისი შეკვეთით არის დამზადებული. განსაკუთრებით უყვარდა თურმე პატარა ბორბლებიანი მოძრავი კარადა, რომელშიც იგი საცნობარო ლიტერატურას, ლექსიკონებს და იმ წიგნებს ინახავდა, რომელიც ყველაზე ხშირად სჭირდებოდა. ეს კარადა ყოველთვის სამუშაო მაგიდის გვერდით იდგა.

ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ კაბინეტში ინახება რამდენიმე წიგნების კარადა, რომელთაგან ერთ-ერთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა.

ექსპონატთაგან მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი მხატვრის ავთო ვარაზის მიერ შესრულებული ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი, რომელიც 1940 წლით არის დათარიღებული. ცნობილია, რომ პორტრეტის შექმნისას ივანე ჯავახიშვილის ვაჟი — ალექსანდრე ჯავახიშვილი პოზირებდა.

დიდი მეცნიერი თურმე თავისუფალ დროს სიამოვნებით უკრავდა ვიოლინოზე. კაბინეტში დაცულია ხის, მუქი ნაბლისფერი ვიოლინო.

ოთახი, სადაც ის უმეტეს დროს ატარებდა, თურმე სადად იყო მოწყობილი. კაბინეტში ინახება ორი ხის ტყავგადაკრული სავარძელი და ორი ე. წ. „ვენური“ სკამი. მეცნიერის პირადი ნივთებიდან კი აღსანიშნავია სმენის გასაძლიერებელი სასმენი აპარატი, შავი ფერის, ოვალური ფორმის ქუდი, პლასტმასის თეთრ ჩარჩოში ჩასმული ლუპა, რომლითაც იგი წვრილად დაწერილ შრიფტს კითხულობდა, ოთხივე მხრიდან ოქროსფერი სირმებით და ბაფთებით განწყობილი შინდისფერი ხავერდის ბალიში, ე.წ. „ყურთბალიში“; მინიატურების ასლი ხელნაწერიდან „ქილილა და დამანა“; გარდაცვლილის სახიდან აღებული თაბაშირის ნილაბი; ივანე ჯავახიშვილის ფოტოსურათი, ხეზე ნაკვეთი პორტრეტი და სხვა. კაბინეტში ის გასაღებებიც შენახულია, რომლითაც მეცნიერი კარადების და საწერი მაგიდის კარს აღებდა.

განსაკუთრებულ ემოციას იწვევს ე.წ. „ფრანგული მაგიდის“ ხილვა, რომელთანაც ივანე ჯავახიშვილი სიცოცხლის ბოლო წუთებში, 1940 წელს, ხელოვნების მუშაკთა სახლში იდგა და

მის უკანასკნელ ლექციას კითხულობდა. მოგვიანებით დაწესებულებამ მაგიდა ოჯახს გადასცა, ოჯახმა კი — ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის კონსულტანტის, ნანა თარგამაძის ინფორმაციით, ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ კაბინეტში არსებული თითქმის ყველა ნივთი ცენტრს მეცნიერის ოჯახმა გადასცა. წლების განმავლობაში კაბინეტის გამგედ მისი ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი მუშაობდა. როგორც ქალბატონმა ნანამ საუბრისას გვითხრა, მემორიალურ კაბინეტს დღესაც ბევრი მნახველი ჰყავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენისა და განათლების დეპარტამენტი შეიქმნა, რომელსაც მჭიდრო კონტაქტი აქვს სკოლებთან და უნივერსიტეტებთან. ახალგაზრდები ინტერესით ათვალიერებენ დიდი მეცნიერის მემორიალურ კაბინეტს. უდიდესი მეცნიერის თითოეული ნივთის ხილვა მნახველს ისტორიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფურცელს უშლის თვალწინ.

მეცნიერის საყოფაცხოვრებო ნივთები: ტანისამოსი, ტახტი, სამოვარი და სხვ. სოფელ ხოვლეში, მის სახლმუზეუმში ინახება. ამჟამად მუზეუმის საკუთრებაა როიალი, რომელიც ივანეს რძალმა, ალექსანდრე ჯავახიშვილის მეუღლემ გადასცა. მუზეუმის კედელზე დღესაც კიდია მეცნიერის მიერ შედგენილი XI—XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური რუკა. აქვე ინახება სხვადასხვა დოკუმენტების ასლები, კადრების აღრიცხვის ჟურნალი და გიმნაზიის გამოშვების ალბომი.

## **მანია ტორაძე**

**ვაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
ჟურნალისტი, ასოცირებული პროფესორი  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 23 აპრილი, 2011 წ.**

## ივანე ჯავახიშვილის წარდგინება „საქართველოს დიდ ათეულში“

*თსუ-ის პროფესორ (ან გარდაცვლილ) მიხეილ ქურდიანს წილად ხვდა ივანე ჯავახიშვილის წარდგენა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთერთ გადაცემაში — „საქართველოს დიდი ათეული“, რომელიც 2009 წელს გადიოდა ეთერში. გთავაზობთ მიხეილ ქურდიანის გამოსვლის სრულ ვერსიას.*

„თუ საქართველოში არის ადამიანი, რომელიც მეცნიერებასთან არის დაკავშირებული, ის ვალდებულია აღიაროს, რომ ივანე ჯავახიშვილი მისი მამაა. საქართველოს დამოუკიდებლობა დაეფუძნა 3 ბურჯს: 1917 წელს აღდგენილ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, 1917 წელს შექმნილ საქართველოს მწერალთა კავშირს და 1918 წელს შექმნილ თბილისის უნივერსიტეტს, ანუ დაეფუძნა იგი რწმენას, დაეფუძნა კულტურას და დაეფუძნა მეცნიერებას. ივანე ჯავახიშვილი გახლდათ ამ უნივერსიტეტის შექმნელი, მაგრამ ეს მისი მთავარი დამსახურება არ არის, მისი მთავარი დამსახურებაა ის, რომ მან შექმნა ახალი ქართული



მიხეილ ქურდიანი

მეცნიერება. მე მინდა გითხრათ, რომ ყველა მეცნიერება ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. საქართველო ამ დროს მონყვეტილი იყო ევროპას და აი, ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელიც ქართულ ენაზე ქმნის მთელ კორპუსს მეცნიერებისას. მე ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმე წიგნს: პირველი: იგი წერს ქართველი ერის ისტორიას ხუთ ტომად (მიაქციეთ ყურადღება — წერს „ქართველი ერის ისტორიას“ და არა საქართველოს ისტორიას). თქვენ, ალბათ, იცით, რომ ბოლშევიკები სასტიკი წინააღმდეგეები იყვნენ იმისა, რომ ერი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო XIX საუკუნემდე. ჯავახიშვილი წერს ქართული მუსიკის ისტორიას, ქართული სამართლის ისტორიას, ქართული ეკონომიკის ისტორიას. იგი წერს წიგნს, რომელსაც ჰქვია: „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, რომელსაც ჰქვია „ქართული საფას-საზომ-თამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“. იგი წერს წიგნს „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. იგი წერს წიგნს ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესახებ. იგი წერს წიგნს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესახებ. ეს არის ადამიანი, რომელსაც ჰქონდა უაღრესად მაღალი დონის განათლება მიღებული არა მარტო ფილოლოგიასა და ისტორიაში, არამედ ბევრ სხვა მეცნიერებაში და მინდა, მისი მხოლოდ ერთი ლინგვისტური ნაშრომი გითხრათ. მას ერქვა: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ეს არის ლამის 800 გვერდიანი მონოგრაფია და მის გვერდით არსებობს მეორე წიგნი, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოსულა, ამ წიგნს ჰქვია: „საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.“ მინდა, ჩვენ აქედან დავინახოთ ივანე ჯავახიშვილი. მინდა გითხრათ, რომ იდეა კავკასიური ერთობისა მოდის მეფე ფარნავაზიდან. ამ იდეას ემხრობოდა ყველა ქართველი მეფე, ვისაც ჰქონდა ოდნავ მაინც წარმოდგენა საქართველოს სამეფო სტრატეგიაზე და მისი არსებობის არსზე; ყველა ქართველი, იქნებოდა ის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია და, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, უპირველეს ყოვლისა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ჩვენ და მთის კავკასიელი ხალხები ერთმანეთის სულიერი და სისხლისმიერი ნათესავეები ვიყავით. ეს იყო საგანი რწმენის. ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა პირველი კაცი, რომელმაც სცა-

და, რომ გადაექცია ეს კავკასიური თეორია რწმენის საგნიდან ცოდნის საგნად და მან ეს შეძლო. თუ დღეს არსებობს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და ის მყარად დგას ფეხზე, ეს არის დამსახურება ივანე ჯავახიშვილის და მისი მოწაფეებისა, არნოლდ ჩიქობავადან დღემდე.

ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მის მოწაფეების მოწაფეებში ვთვლი საკუთარ თავს და ამიტომ მიმაჩნია, რომ ის ჩემი მამა იყო და ეს ძალიან მნიშვნელოვანია — როდესაც შენ ინტელექტუალური მამა გყავს და ის პატრიარქია ქართული მეცნიერებისა. მაგრამ, ეს, ერთი მხარეა, მეორე მხარე არის მისი უკომპრომისობა — უკომპრომისობა ეროვნულ საკითხში, უკომპრომისობა ზნეობრივ და, რაც ყველაზე მთავარია, მეცნიერული უკომპრომისობა, რადგან მეცნიერება ვერ იტანს კომპრომისებს, მას სჭირდება ნათელი და ცალსახა ორიენტირები. და ეს ადამიანი გადაიქცა საქართველოსთვის სწორედ ასეთ ორიენტირად. როდესაც გაღარბდა საქართველო, როდესაც უკვე ყველაფერი იყიდებოდა საქართველოში და თავადები თავიანთ ბიბლიოთეკებს ყიდდნენ ბაზარში, იოსებ გრიშაშვილმა დაწერა ლექსი, სადაც ორ კაცს მოუხმო ამის მოწმედ. მან თქვა: აი, ქართლის ხმა სად იყიდება ჯავახიშვილო და ინგოროყვა...

სანამ იარსებებს საქართველო, მას უნდა ჰქონდეს ძალიან მკვეთრი ორიენტირი მეცნიერებაში, ძალიან მკვეთრი ორიენტირი ზნეობრიობაში და ძალიან მკვეთრი ორიენტირი ეროვნულ ფასეულობებში. ასეთი ორიენტირი საქართველოსთვის ივანე ჯავახიშვილია და მე ვამბობ: ივანე ჯავახიშვილი იმიტომ კი არ უნდა მოხვდეს ათეულში, რომ ის დიდი მეცნიერია, რომ მან შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ყველაფრის საფუძველი, არამედ უნდა მოხვდეს იმიტომ, რომ არ შეიძლება საქართველომ დაკარგოს ის ორიენტირები, რომლის უკანასკნელი და ყველაზე დიდი წარმომადგენელი საქართველოში სწორედ ივანე ჯავახიშვილი იყო.

## მიხეილ ქურდიანი

*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი 2010 წლამდე*

*საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა*

*„საქართველოს დიდი ათეული“, 2009 წ.*

## ბოლოთქმა

ივანე ჯავახიშვილი „დიდ ათეულში“ ვერ მოხვდა...

მიხეილ ქურდიანის ბრწყინვალე წარდგინებითა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით მას მხოლოდ მეთერთმეტე ადგილი ხვდა წილადა...

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი — დასაკარგავი?“

მაგრამ გადაცემა „საქართველოს დიდი ათეულით“ არც დაწყებულა და არც დამთავრდება ქართული საზოგადოების აზრისა და შეფასება-განსჯის უნარის კვლევა. ჩვენ, ეტყობა, მაინც დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ ამ გადაცემის ფინალურ ეტაპს... ალბათ, მხოლოდ იმ შედეგის გამო, რაც საზოგადოების ნაწილმა აჩვენა... და რამაც, უბრალოდ, გული გვატკინა... მაგრამ ჩვენ ამ კრებულით „ჩვენი“ ვაჩვენეთ საზოგადოებას — „ეს „ჩვენი“ არის ერის ის „შვილი“ — ივანე ჯავახიშვილი...“





გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქცია, 2015